# ლიტერატურული გაზეთი

№34 17 - 30 სექტემბერი 2010 გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეოგით ფასი 50 თეთრი

პაატა შამუგია
*IV-V*

დავით ქართველიშვილი
*VI-VII*

ლია სტურუა
*VIII*

ემზარ კვიტაიშვილი
*XII-XIII*



„ერთი მოთხრობის კონკურსის“ ჟიურის მიერ მოწონებული მოთხრობა

ლევან გელაშვილი

# ფრენა

გამარჯობა. მე ვარ ტყვია. სხვა მდაბიო ავტომატის ტყვიებისგან განსხვავებით მე ვარ დიდი ტყვია, სნაიპერის ტყვია. ჩემ შექმნაზე დაიხარჯა 20 ვოლტი ელექტროენერგია, სამი გრამი მეტალი, ორი გრამი რკინა. რადგან ხმაური ყველაფრის დასასრულია, მე ვცხოვრობ სიჩუმეში. ფინალური ხმაურისგან დაშორებული ხანგრძლივი მყუდროებით. მე ვარ უინტერესო, რადგან მე არ მაქვს ენა, რომ ვილაპარაკო, არ მაქვს ყურები, რომ რამე გავიგო. მე მხოლოდ ხმაური მესმის, ხმაური სიკვდილის წინ და ამ დროს ჩემი ცხოვრება სრულდება. მანამდე ვარ სიჩუმეში უძრავად. უძრაობა კლავს ტყვიას, ამ ლოგიკით მეც მკვდარი ვარ და მხოლოდ გასროლის დროს ვცოცხლდები რამდენიმე წამით, ფრენის მომენტში ვტკბები სიცოცხლით და მერე ძვლის გახეთქვის ხმაურის დროს ვკვდები. თუმცა რადგან უმოძრაობის დროს სიჩუმეშიც ვაზროვნებ, მაშასადამე ვცოცხლობ. ამ თქვენი საყვარელი ფრაზით დაგიმტკიცეთ, რომ ეხლაც ცოცხალი ვარ და მხოლოდ გასროლის დროს არ ვიბადები. უძრაობაში ყოფნა ცუდია, იმიტომ კი არა რომ უძრავად ხარ, არამედ იმიტომ, რომ სიჩუმეში ხარ. სიჩუმე ქმნის სიკვდილის სიმულაციას, მაგრამ სიჩუმე ავლენს დუმილის დაფიქრების შესაძლებლობას. უძრავად ყოფნა ცუდი იმითაც არის, რომ ბიოლოგიურ მოთხოვნილებებს ადგილზე იკმაყოფილებ და მერე სუნის გამო დისკომფორტში ხარ.

ისევე როგორც ყველა სნაიპერის ჭეშმარიტი ტყვიის სიცოცოხლე, ჩემი სიცოცხლეც ორ ნაწილად იყოფა. გასროლამდე და გასროლის მერე. გასროლამდე უმოძრაო ცხოვრებაში დუმილს მიცემული ვარ სიჩუმეში. თითქოს გძინავს და გასროლის დროს გადადიხარ აქტიურ ცხოვრებაში, თითქოს იბადები. ფრენის სიზუსტე და თვალისგან შეუმჩნეველი რკალი ფრენის დროს მანიჭებს სიამოვნებას და ვცოცხლობ ამ ფრენის მარადისობის განცდით. ეს აქტიური ცხოვრება სულ რამდენიმე წამი გრძელდება, მაგრამ სამყაროში, როგორც ყოველთვის, დროს არ აქვს მნიშვნელობა, არამედ დროში განხორციელებული მოძრაობის მნიშვნელობას. ხოდა, ამ წამებს ველოდები მთელი უმოძრაო სიჩუმის პერიოდში.

მე, როგორც ელიტარული სნაიპერის ტყვია, რომელიც დიდია სხვა წარაკუა ავტომატის ტყვიებისგან განსხვავებით, სიამაყით ვივისები მთელი ცოხვრება. და ვკვდები ყველაზე დიდი ცოდვის სიამაყის გამო. სიცოცხლის ბოლოს სიამაყით სავსე ვისჯები.

უმოძრაობაში და სიჩუმეში ტყვია ხდება ფილოსოფოსი, ყველა ნამდვილი ტყვია ასეა, მეც — მათ შორის. ნამდვილს იმიტომ ვამბობ, რომ ხალასტოი ტყვია ტყვიად არ ითვლება და ის ვინც ტყვიას ტყვიაში სვამს ნამდვილ ტყვიებს ისვრის და არა ხალტოის. სამყაროს აღქმა ტყვიის ფრენის დროს ყველაზე უნივერსალური შემეცნებაა ჩემი აზრით. ჭკვიანი ძაღლების მსავსად მეც მემკვიდრეობით მივიღე ცოდნა — თუ რა სიამოვნებაა ზუსტი ფრენა და უმოძრაობაში ყოფნა ფრენის მოლოდინში. რადგან ცხოვრება ფრენის დროს არის სამყაროს განცდის ორგაზმი.

* * *

გამარჯობა. მე ვარ მე. ჩემს შექმნაზე დაიხარჯა: ნახევარი ლიტრა ოფლი, გამოიყო ათი გრამი პროსტატას წვენი და შვიდი გრამი სპერმა. მე ვცხოვრობ გასაიდუმლოებულად, რადგან ელიტარული ქვედანაყოფის წევრი ვარ. სხვა უბრალოდ ჯარისკაცებისგან განსხვავევით მე მაქვს გაცილებით სერიოზული ფიზიკური და ფსიქოლოგიური მომზადება და მისიის შესრულების გარანტია. სპეცრაზმის ცხოვრება პროფესია არაა. ეს ცხოვრების სტილია, მე ვცხოვრობ ჩუმად, ყოველი დღე ვარჯიშით იწყება და ვარჯიშით მთავრდება, როდესაც დესანტს გადაგვსვამენ, მობილიზებული კამუფლიაჟში სნაიპერ მომართული მივაყურადებ, სიჩუმე და ნაზი მოძრაობა ჩემი ცხოვრებაა. ბუნებასთან შერწყმული შეუმჩნევლად გადავაადგილდები და საჭირო მომენტს ველოდები, და მხოლოდ მაშინ ვაჭერ სასხლეტს თითს, როდესაც ამის აუცილებლობას შინაგანი ინტუიცია და გამოცდილება მკარნახობს. სროლის დროს სუნთქვას შევიკრავ ხოლმე, რომ ჯვარში ჩასმული ობიეტი ზუსტად გავთვალო. როგორც ყველა ნამდვილი სნაიპერის ცხოვრება, ჩემი ცხოვრების რიტმიც, მოლოდინის და მოლოდინით გამოწვეული ფილოსოფია

ორ ნაწილად იყოფა; დუმილი, ნაზი მოძრაობების პერიოდი, ლოდინის, მდუმარების პერიოდი. თითქოს სიკვდილს მსხვერპლი კი არა, მე ველოდებიო და მერე გასროლის შემდეგ სწრაფი სირბილით დანიშნულების ადგილამდე მიღწევა, თითქოს ცოცხლდება თვითგადარჩენის ინსტიქტი და გარბიხარ, რათა სიკვდილს თავი დააღწიო. სნაიპერის სწრაფი აწყობა და გასაქცევად გამზადებას ხუთიდან ოც წამამდე სჭირდება. შემდეგ გავრბივარ, ხალხმრავალ ადგილას თუ მოვხვდები, ნაბიჯს შევანელებ და შუმჩნევლად გავეცლები იქაურობას. სამყაროში, როგორც ყველაფერში, აქაც მნიშვნელობა აქვს მოქმედებას დროში, ის რაც ეხლა დროულია, ორი წამის მერე დაგვიანებულია. მოკლედ, ყველაფერს თავისი დრო აქვს. ამ მომგებიანი ფრაზით დაგიმტკიცეთ, რომ დრო არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე მის ფარგლებში შესრულებული მოქმედება, რადგან სნაიპერი ცხოვრებაში ერთ შეცდომას უშვებს. მთელი ცხოვრება კი იმიტომ ცხოვრობს, რომ ის ერთი შეცდომა არ დაუშვას.

მე ცხოვრება მძულს, რადგან ურთიერთობები გაიძარცვა და გახდა ზედაპირული, ამიტომ საჭიროა სიმულაცია, სტიმული იმისათვის, რომ იგრძნო სამყარო რაღაცა ფორმით. სროლის მერე გაქცევა სწორედ ის გრძნობაა, როცა გარბიხარ და გრძნობ სამყაროს პულსაციას, სისწრაფე არ არის ადრენალინი, ნამდვილი სისწრაფე ორგაზმია სამყაროსი. რადგან კოსმოსი ასეა მოწყობილი, რომ არსებობს ნამდვილი და არანამდვილი რაღაცები. ხოდა იმის თქმა მინდა, ის, ვინც ნაღდია, ნამდვილ რამეებს გრძნობს და არა — ყალბს. უნდა ეცადო, ნამდვილი იყო. რადგან სიცოცხლე წყალობაა და არა — მსხვერპლი.

* * *

გამარჯობა. მე ვარ მსხვერპლი. ჩემი საჯარო გამოსვლის სამოცდამესამე სიტყვაზე ხალხის მყუდროებას და ხმოვან ტონალობას გასროლის ხმა დაარღვევს, ტყვია საფეთქლის ძვალს გახეთქავს. ხალხის პანიკას პოლიცია ვერ გაუმკლავდება. დაცვა არაადეკვატური იქნება, გამოძიება მოგვიანებით დაადგენს, რომ გასროლა განხორციელდა სნაიპერიდან, რომელიც დამზადებულია სპეციალური დანიშნულების რაზმებისთვის. გამოიყენებენ ქვეითების და მსუბუქი ჯავშანტექნიკის წინააღმდეგ.

კალიბრი.....7.62ხ51მმ NATO

მასა (ვაზნების გარეშე).....6.8კგ

სიგრძე.....1268მმ

ტყვიის საწყისი სიჩქარე.....900მ/წმ

მჭიდში ვაზნების რაოდენობა.....5ც

დამიზნების სიშორე.....1000მ

ჩემი მოკვლის გამო არავის გული ისე არ დაწყდება, როგორც — მეხორცეს, რომელთანაც ერთად საბავშვო ბაღში დავდიოდი ხუთი წლის ასაკში. უკვე დიდობაში მას დავეხმარე ბაზარში დახლის ყიდვაში, რის შემდეგაც თავის მეგობრად მთვლის, სინამდვილეში რატომ დავეხმარე, მეც არ ვიცი. იგი ბაზარში გამყიდველის მიერ ნაყიდი გაზეთიდან გაიგებს ჩემს სიკვდილს და იტირებს პირველად ბოლოს შვიდი წლის განმავლობაში.

პოლიტიკოსის ცხოვრება ისევე, როგორც ყველა ადმიანისა იყოფა ორ ნაწილად; სიკვიდლამდე და სიკვდილის მერე, სიკვდილამდე იგი ცხოვრობს როგორც ესმის და სიკვდილის მერე იგი მის გარშემო მყოფების მეხსიერებაში იწყებს ცხოვრებას, ისე — როგორც ხალხს ესმოდა მისი ცხოვრება.

ძნელია იფიქრო მაღალ მატერიებზე, იმიტომ, რომ ცხოვრება ნასიმინდარია, ტაქსის საჭადრაკო აბრაა, ბავშვისთვის განკუთვნილი გასაფერადებელი ნახატია, ცხოვრება ჰოლივუდია, ძაღლის მოჯმულისგან მონაბერი ნიავია, ობობას ქსელია, ყალბი ასდოლარიანია, ცხოვრება discover-ია.

შვიდი წელი ვმუშაობდი დიპლომატიურ სამსახურში, ოთხი წელი ელჩად, ორი წელი პრემიერად, უკვე მესამე წელია პრეზიდენტი ვარ. კარიერა აღმა სვლა არის, რაც მაღლა ადიხარ, დაცემა უფრო მწარეა. თუ დაცემას გადაურჩი, იწყებ ფრენას და გრძნობ სამყაროს მთელი შენი გულით და მთელი შენი გონებით. რადგან პირველითგან იყო ფრენა ,და ფრენა იგი იყო ღმრთისა თანა, და ღმერთი იყო ფრენა იგი. ეს ისეთი ფრენაა, რომელიც ყველა სულიერ და ხორციელ განზომილებაში გსიამოვნებს; ფრენა ფაფუკ ღრუბლებში, რომელიც შეიძლება ტრაგიკულად დამთავრდეს. ფრენის დროს თუ დაუშვი შეცდომა იწყებ ვარდნას, უამრავი თეორიის მიუხედავად, წინასწარ შეცდომების მზა სია არ არსებობს. შეიძლება ეს იყოს სითამამე, როგორც ბავშვი, რომელიც ჭყუმპალაობის დროს ზღვას უთამამდება და იხრჩობა, შეიძლება ყურადღების მოდუნებაც გახდეს ვარდნის მიზეზი. ან ყალბი გარემოცვა, რომელიც იმისთვის მოვიდა, რომ ამბორით გასცეს მფრინავი.

დაცემის მომენტშიც ფრენით გრძნობ სამყაროს. ეს კი ისეთი ფრენაა, როდესაც ცუდად ხარ ფრენისგან. ამ დროს ჭეშმარიტად შენც მათგანი ხარ, რადგან შენი ფრენაც გამჟღავნებს შენ. თუმცა მამლის სამჯერ დაყივლებამდე ამას ვერ იხსენებ.

ქარში ქალების ყურება ჯობია თუ გვირილებით მორთულ მინდორზე ფრანის გაშვება? კაბის აწევასაც და ფრანსაც ქარი ჭირდება. ქარი ხან ტყვიის მიმართულებასაც ცვლის ხოლმე, იმიტომ რომ ცხოვრება ტერორისტული აქტია, ჩაკბეჩილი ვაშლია, შოკოლადის ქარხანაა, მოფსმამდე შუანელში დავლილი ჟრუანტელია, თაფლი და კვერია, კოკაკოლაა, მეტროთი მგზავრობაა, მობილურით საუბარია, ცხოვრება ტელევიზორია, ნიღბების თეატრია, შიშველი ნატურაა, ცხოვრება ფლეიბოია, დახეული ნასკებია, ოქროს ლარნაკია, კომპიუტერული თამაშია. ცხოვრება დოზაა, სუფთა ფურცელია, უღრუბლო ცაა, ფსიქოლოგიური ტესტია, გაშლილი სუფრაა. ცხოვრება სექსია.

მწვერვალზე იფრინეთ და ილოცეთ, რომ არ შეხვიდეთ განსაცდელში; სული მხნეა, ხოლო ხორცი - უძლური. და ეცადეთ ხორციც გახდეს ძლიერი.

ცხოვრება სიცოცხლეა, სიცოცხლე გზა სიკვდილისკენ

## გასროლა

გამარჯობა. მე ვარ ტყვია. ფრენის სიზუსტე განუმეორებელ სიამოვნებას მომანიჭებს. მთელი ცხოვრება ველოდებოდი ამ წამს. თუ თქვენ გულშემამტკივრობთ, დამიმესიჯეთ ნომერზე 00 001, თქვენი თითოეული ზარი დამეხმარება, ფრენის ხანგრძლივობა გავზარდო.

გამარჯობა. მე ვარ მე. რამდენიმე წამში გასროლით შეძრულ მყუდროებას გაქცევით დავსერავ და ვიგრძნობ სამყაროს. თუ საჭიროდ ჩათვლით დამეხმაროთ, დამიმესიჯეთ ნომერზე 00 00 12, თქვენი თითოეული ზარი დამეხმარება, სისწრაფე გავზარდო გაქცევის დროს და შევიგრძნო სამყარო.

გამარჯობა. მე ვარ მეხორცე. თუ თქვენ გინდათ, გადაარჩინოთ პრეზიდენტის სიცოცხლე, დაუმესიჯეთ მას ნომერზე.

და წავიდა პრეზიდენტი ცოტა წინ და დავარდა პირქვე, ლოცულობდა და ამბობდა: ხალხო ჩემო, თუ შესაძლებელია, ამერიდოს მე ეს ტყვია, მაგრამ არა როგორც მე მსურს, არამედ — როგორც თქვენ.

**„ერთი მოთხრობის კონკურსის“ ჟიურის მიერ მოწონებული მოთხრობა**

ნინო სადღობელაშვილი

# ბოლოსწინა ღამე

შუა იანვარი იდგა და მთელი ქალაქი იმას ლაპარაკობდა, რომ ასეთი ოქროსფერი თოვლი არასდროს უნახავს. იისფერიც უნახავს (არა, კი არ უნახავს, წაუკითხავს), ვარდისფერიც, ბაცი ჟოლოსფერიც კი – მით უმეტეს, სადღაც ღრუბლებს მიღმა ჩამავალი მზის ანარეკლზე, მაგრამ ოქროსფერი – არავის.

ეს იყო დიდი სალაპარაკო თემა შუა იანვარში და, კიდევ ის, რომ თომა ტყემალაძის დაკრძალვა იქნებოდა ხუთშაბათს, პანაშვიდები კი წინა დღეებში შედგებოდა მოდინახის ჩიხში, რვა ნომერში, იქიდანვე გამოასვენებდნენ და წაასვენებდნენ ახალგაზრდა ოქრომჭედელს, ცნობილს – ღვინის და ღამისთევის სიყვარულით, ქალაქის ერთ-ერთ სასაფლაოზე (სულ ორი იყო), ცხონებული მშობლების და ძმიშვილის გვერდით.

თომა ტყემალაძემ კი ზუსტად ოთხშაბათ ღამეს, ანუ ხუთშაბათი რომ თენდებოდა, მძიმედ გაახილა ძმრიანტილოგადაფარებული თვალები, მძიმედვე წამოდგა კუბოდან და მხოლოდ ნახევარწუთიანი ელდის შემდეგ იგრძნო სახეზე ყრუ ტკივილი. ჯერ ყბები ატკივდა, ისე ძალიან, გეგონება კბილებში პატარა ნაღმები ჩაუწყვეს და ყველა ერთად აუფეთქესო, მერე — ცხვირი, შუბლი და ბოლოს თავის ქალა. საფეთქლებზე მიიჭირა ხელები და ახლა სუნი ეცა — წამლიანი ჰქონდა ხელებიც და მთელი ტანიც, ტანსაცმლიდანაც ეს სუნი ჟონავდა.

ოთახში მარტო იყო. კუბოს ქვეშ დადგმული ტახტის ერთი კუთხიდან ყვავილები გადმოცალა და იმაზე ჩამოჯდა. თავთან კანდელი ენთო, კანდელზე მისი ფოტო იყო მიყუდებული. მეტი შუქი არსაიდან ჩანდა და არც რამე ხმა ისმოდა. ყვავილების ერთი თაიგულიდან ტარაკანა გადმოცოცდა და თომას შარვალზე გადაუხვია.

— ოჰ, პირველი ჭირისუფალი! — მიესალმა. თან ხმა შეიმოწმა – ცოტა არაბუნებრივად ჟღერდა ბნელში და სიჩუმეში, მაგრამ მაინც თავისი იყო.

— სად არიან დანარჩენები? — ისევ გაუბა. ტარაკანა ძალიან მიზანსწრაფული აღმოჩნდა და თომას უკვე სახელოზე ეჯდა.

— არ გეშინია ჩემი? რა კარგია, რო არ გეშინია! ახლა მე, მაგალითად, გული მისკდება, ეს ჩემი ძმები რო შემოვიდნენ და ასე დამინახონ, რომელიმე ხელში არ ჩამაკვდეს...

ტარაკანა კუბოსკენ დაიძრა.

— არ გირჩევ ნამდვილად! — ფრთხილად გადმოსვა ისევ თავისთან — ა? რა ვქნა ახლა? სად არიან, შენ მაინც ხო არ იცი? ასე რანაირად მიმატოვეს?

კართან რაღაც გახმაურდა. სუნთქვა შეეკრა, გაიყურსა, მაგრამ ჩქამიც ვეღარ გაიგონა.

წამოდგა და ოთახში გაიარ-გამოიარა. ოთახი თითქმის ცარიელი იყო, მარტო ერთი ტრილიაჟი იდგა, იმისთვისაც სარკეზე ცელოფანი აეფარებინათ. ფანჯრებიც დაგმანული იყო. კარი — ალბათ ჩაკეტილი. კანდელთან მივიდა და ზეთი ჩაუმატა. თავის ფოტოს დახედა. ფხუკუნი აუტყდა.

— შეხედე! — ტარაკანას დაანახა, — ეს რა გაუდიდებიათ! ოხ შაკო, შენ რა გითხარი მე!.. შაკო იზამდა ამას, მთელი ცხოვრება ამ ფოტოზე მაშაყირებდა და, რა სახუმარო იყო ახლა ეს აქ! დაწყვიტა ხალხი ალბათ სიცილით! ფუი, რას ვგავარ... ეს ყურები მაინც, კაცო!.. რატო თუ იცი? ნიძლავი დავდეთ მე და შაკომ, ვინ უფრო მეტ წითელ წიწაკას შეჭამდა და მოვუგე და მთელი კვირა ყურები ვერ დავიცხრე, მუგუზლებივით მიღვიოდა. ოხ შაკო, მე არ ვიყო თომა ტყემალაძე, ეს შეგარჩინო! მოიცა, სად მიდიხარ!.. შენ რაღა გჭირს, რა დაგრჩა მაგ კუბოში გადავირიე! — და მეორედ ამოიყვანა თეთრ მიტკალზე არხეინად მოსეირნე ტარაკანა თავისი უწინდელი სამფლობელოდან.

— ისე, რომ ამბობენ ისაო და ესაო, არავითარი გვირაბი და იმის იქით სინათლე არ შემხვედრია მე! ხო მისმენ! პირდაპირ მივადექი რაღაც ღობეს, გადაღმა ვიღაცეები დაიარებოდნენ, პატარა გოგოს მოვკარი თვალი, იმანაც დამინახა, გამოექანა და ჩამიხტა მკლავებში და, მივეფერე მეც – ვისი ხარ-მეთქი, გენაცვალე და, მომიბრუნდა ეს კიკინებიანი ბავშვი და რას მეუბნება, იცი? ვეღარ მცნობ შე თავლაფდასხმულო, ბებიაშენი ვარო! გამივარდა შიშით ეს ბავშვი ხელიდან და, კიდევ კარგი, რბილად დაეცა, სიცილით გაექანა ისევ უკან, დანარჩენებისკენ... ყვავილები იყო რანაირი თუ იცი? ისეთი ბასრი ღეროები ქონდათ, ჯერ მარტო რო შეხედავდი თვალსაწიერს ფატრავდნენ... ამას არ მოვუყვები ჩემ რძალს თორე ხმას აღარ გამცემს – ერთიორი ძირი აქ გადმოსარგველად რატო არ წამომიღეო. მოიცა.. გაიარა ვინმემ თუ მომესმა?

კართან მივიდა. ფრთხილად დასწია სახელურს – დაკეტილი იყო. იქვე ჩაჯდა და ჭერს ააშტერდა.

კანდელის შუქისგან სინათლის ოვალი იყო გამოჭრილი, შიგვე, ზარის ენასავით პატარა, წვეტიანი ჩრდილი ეხატა. სახე ისევ ასტკივდა.

— ვიხსენებ, ვიხსენებ და არ მახსოვს... — საფეთქლები აისრისა, თავის თავს უთხრა, ხელისგულებში უმწეოდ გამომწყვდეულს.

მერე ისევ წამოდგა და ფანჯარასთან მივიდა. შავი ქაღალდი ჰქონდა აფარებული. ექვსშუშიანი ფანჯარა იყო და ერთი შუშის ზემოდან, საჩვენებელი თითით ქაღალდი გახვრიტა. ნახვრეტი გაადიდა და გაიხედა. გარეთ შუაღამე იდგა, მაგრამ რაღაც ისე არ ბნელოდა, როგორც ზამთრის ღამეებში იცის ხოლმე. კარგად არ ჩანდა, მაგრამ მაინც დაინახა, როგორ ბზინავდა არემარე, თოვლის ატლასი ედო სახლებსაც და ბილიკებსაც.

რაფაზე ფურცელი შენიშნა, აიღო და კანდელთან მიიტანა. გაკრული ხელით ეწერა:

ხორცი – საოსტრე, სახაშლამე
ბრინჯი — 2კგ
კარტოფილი — 10კგ
ფხალეულობა — წითელი, მწვანე
ნიგოზი — 2კგ
ლობიო — 3კგ
ყველი — ხაჭაპურისთვის,
სუფრისთვის
კიტრი-პამიდორი — 10-10 კგ

— აუ, გიას ვენაცვალე! — მაშინვე თავისი ერთადერთი თანამოსაუბრე მოძებნა და იმასაც წააკითხა, — ეს რა სუფრას შლიდა, ხედავ? ამხელა ხარჯი კაცმა გასწია და მე კიდე წყალში უნდა ჩავუყარო? ხოა საცოდაობა! მოიცა, ჯერ მარტო ღვინო ნახე – ადესა და ციცქა! ადესას რაჭიდან ჩამოატანინებდა, ზუსტად ვიცი, ღებში გვყავს ნათესავი და იმას აქვს უნიკალური ღვინო, სულ იმ ღვინით გვყავს გასტუმრებული ყველა წინაპარი ოჯახში. შაკო ცხვარს მოიყვანდა, შაკო უფრო მწყემსია ბუნებით, საქონელი უყვარს ძალიან, ცხოველები უყვარს, ყველაფერი იცის, მაგალითად, აიღე თუნდაც ავსტრალიური ქურციკი! იცის! წელწადში რამდენჯერ წყვილდება და დილა-საღამოს რისი ჭამა ურჩევნია იმ ჩვენს ენაზე – პეტელა თხას — გეტყვის! გია მევენახეა! გიამ რო ღვინო იცის, ტყუილია! ენის უკუაგდო, — ნათელში იყავი სულ შე საცოდავი შეეენ..— წაუტირა.

გიას სუნთქვაც იგრძნო. თითქოს ისაც მოეჩვენა, რომ ძალიან ჩააშტერდა გია, რაღაც არ მოეწონა, რაღაცას მიხვდა, მაგრამ ეს მოჩვენებაც მალევე გაქრა — სამივე სწრაფად გავიდა ოთახიდან და კარი ისევ გარედან დაიკეტა.

ღამე ძალიან ზანტად, მძიმედ გადადიოდა.

ერთხანს თავი დეპეშების კითხვით შეიქცია. თავქვეშ ამოდებული, ბალახისგან შეკერილი ბალიშის ძირში იპოვა — მთელი შეკვრა იყო.

„ვიზიარებ თქვენს მწუხარებას. ბოდიშს გიხდით ჩამოუსვლელობის გამო. ბორია ტყაბლაძის ოჯახი.”

„განვიცდით თქვენს ტკივილს და თქვენთან ვართ სულით და გულით. დიდთოვლობამ შეგვიშალა ხელი და ვერ ჩამოვალთ. მზიას დეიდაშვილები ირმა და სოსო”.

„ვიზიარებთ ასე უდროოდ დაღუპული კარგი მოქალაქის, პატიოსანი მამულიშვილის გარდაცვალებას. მე-2 სკოლის დირექცია.”

„ვიზიარებ... ვწუხვარ... ვიზიარებ...”

ტარაკანაც სადღაც გაქრა, აღარ იცოდა ვის დალაპარაკებოდა.

— რა ვქნა ახლა? — სამჯერ ჰკითხა თავის თავს და სამჯერვე სხვადასხვაგვარი პასუხი მიიღო. პირველი — გააღე კარი, დახსენი ფანჯრები, აანთე სინათლე და ყველა მიხვდება, რომ ცოცხალი ხარ. მეორე — დაელოდე გათენებას და პირველი ვინც შემოვა, იმას ახარე. მესამე – მობილური თუ დევს სადმე მანდ, შენს სიახლოვეს, ის აიღე და გაუგზავნე წერილი შენს რომელიმე ძმას, უფრო შაკოს, შაკოს მაგარი გული აქვს და გაუძლებს.

მობილური ვერსად იპოვა, ანუ მესამე პასუხი გამოირიცხა.

სამაგიეროდ, კანდელთან ახლოს იპოვა ერთად შეკრული რამდენიმე თაბახის ფურცელი, მიიტანა კანდელის ფოთლისხელა შუქთან და პირველ ფურცელზე რაღაც ბეჭედიც კი აღმოაჩინა — ოფიციალური საბუთი იყო. იმ სამი სტუმრის შემოსვლამდე არ უნახავს. ალბათ რომელიმეს დარჩა. ტახტის კიდეზე ჩამოჯდა და ხმამაღლა წაიკითხა:

### სანოტარო აქტი

სამკვიდრო მოწმობა

თომა ტყემალაძის სამკვიდრო ქონებაზე

*ნოტარიუსი არნოლდ დევდარიანი*

20... წლის ... იანვარს, მე, არნოლდ დევდარიანს, ჩემს სანოტარო ბიუროში, მომმართეს გია ტყემალაძემ (მცხოვრები...) და შალვა ტყემალაძემ (მცხოვრები...) რომლებმაც მოითხოვეს თავისი გარდაცვლილი ძმის თომა ტყემალაძის ძის სამკვიდრო ქონებაზე სამკვიდრო მოწმობის გაცემა.

ვადასტურებ, რომ თომა ტყემალაძის უძრავ-მორავი ქონება შეადგენს — სახლს (რომელიც მდებარეობს...), ავტოფარეხს და ავტომობილს – ჟიგული 011, სერიით აცხ 360. აგარაკს სახლთან ახლოს, და საოქრომჭედლო სალონს, რომელიც ამჟამად გაქირავებულია ბ.ზ-ზე და გახსნილია კომპიუტერული მომსახურების ოფისი.

თომა ტყემალაძის უძრავ-მოძრავი ქონება გაიყო ორად, გ... ტ-ძეზე და შ... ტ-ძეზე. შ... ტ-ძეს გადაეცა თ... ტ-ძის ავტომანქანა და ავტოფარეხი, ასევე აგარაკი (რომელიც მდებარეობს..). გ... ტ-ძეს გადაეცა სახლი (ორი სართული, აივნით და სამზარეულოთი), ასევე საოქრომჭედლო სალონი.

ვიხელმძღვანელე რა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით და 20... წ-ის ...იანვარს გავეცი წინამდებარე სამკვიდრო მოწმობა.

ფანჯარაში, შავი ქაღალდის ნახვრეტში რომ გაიხედა, აღარ თოვდა. ღამის წყვდიადი ვაშლში ჩამპალი მატლივით ჩაკვდომოდა თოვლს, ვეღარ ერეოდა მისი ოქროსფერი ათინათი, ბნელოდა და წამით ისეთი შეგრძნებაც კი დაეუფლა, რომ აღარასდროს გათენდებოდა.

მოკიდა ხელი ქაღალდს და ფანჯრიდან ჩამოხია. შუშებმა გაიწკრიალეს. ფანჯარასაც შეუხსნა საკეტი და ის იყო, უნდა გაეღო, რომ ქვევით ჭიშკარს ისევ ვიღაც მოადგა. გია იყო. გაუხარდა, რომ გია მარტო იყო, მარტო შემოვიდა ეზოში, მარტო

**დასასრული მე-7 გვერდზე**

## პაატა შამუგია

***„უპირატესობა", სინამდვილეში, ძველი ამბის შესახებ დაწერილი ახალი ამბავია. ათი თავი და ათი პატარა ამბავი ერთი გრძელი ამბის შესახებ. ნაცნობი დეკორაციებით, ისტორიებითა და განწყობებით. დავარქვათ მას მეტაამბავი. მოკლედ, ესაა საბჭოთა დღიური. თითქმის ასეც ერქვა თავიდან: "პოსტსაბჭოთა დღიური", სტეინბეკის "რუსული დღიურივით." მერე, რატომღაც, გადავარქვი სახელი და ასე შერჩა "უპირატესობა", ჩვენს დროში ტექსტს ერთი უპირატესობა მაინც უნდა ჰქონდეს.***

# უპირატესობა

*„როცა მოწყენილი ვარ, წვიმს" (ოდენი).*

მათ დათესეს ქარი ჩემს წარბებ შორის
და როცა კოპებს ვკრავ,
ხეები ფესვებიდან ამორბიან,
კორპუსები იწელებიან
და ადამიანები ცაში მიფრინავენ,
ხმას ვიმაღლებ და ჩემი კივილი
ფანჯრებში უხტება მძინარე მოქალაქეებს
და უშოლტავს ნებიერ სიზმრებს.
დიდია ჩემი მრისხანება,
უფრო დიდი,
ვიდრე დუმილი,
ვიდრე სიდჰართას დუმილი და მკვდართა დუმილი,
ვიდრე დუმილი ზოგადად და კერძოდ დუმილი.
დღეს მკაცრი ვარ და საქმიანი, როგორც ბურჟუა,
და ამორბიან მკვდრები საფლავებიდან
და სერავენ სტრატოსფეროს
გალაკტიონი, გროსმანი და შოთა გაგარინი.
სიკვდილსაც აქვს უპირატესობები,
ფრენას — მითუმეტეს.

**I**

*„დღეს უსაფრთხო ვარ" (პ.შამუგია).*

გაიქეცი! — მიყვირიან ისინი,
მათი მნიშვნელობები მოქნილია,
როგორც ტკივილი,
და კონკრეტული, როგორც შუქნიშანი,
და ყველა მათგანს აქვს საკუთარი მრავალი სახე,
რომელიც ჩემი მრავალი თვალით დავიმახსოვრე.

და როცა
ჩემი შიში ჩემზე დიდი ხდება
და სანქცირებულ სიზმრებს ვხედავ,
და ქარს ვხედავ ხეების თავზე,
ისინი მოდიან და მათი მრავალი სახიდან
გადმოსული მრავალი ღიმილი
სახეზე მეყრება
და აღვიძებს ჩემს ხსოვნას ღმერთზე,
რომლის სახელიც გადამავიწყდა
და ყველა ჩემი მისდამი წერილი
მისდის მავან სკლეროტიკ ბებერს,
რომელიც თავის ჯვარცმულ შვილზე
მწერს ბანალურ ისტორიებს.
გაიქეცი! - მაჯანჯღარებენ.
ბოლოსდაბოლოს, ხომ უნდა დამთავრდეს
ეს სრულიად ბანალური დრამა.
და აი, გავრბივარ
და ყველგან, სადაც ჩემი ჩრდილი შეაღწევს,
მხვდებიან სხვები,
თითქმის სხვები
და უფრო სხვები
და უკიდურესად კონკრეტული ნივთები
და ხორკლიანი მოგონებები,

***არააუცილებელი განმარტება ავტორისგან***

რომელიც ჩემმა სხეულმა დაიმახსოვრა
და შემხვედრ სხეულებს უნაწილებს,
როგორც გამოსავალს.
მე გავაუქმე ყველა ჩემი მნიშვნელობა
და არცერთი ჩემგანი აღარ არის ასე საშიში.
დღეს უსაფრთხო ვარ,
როგორც მკვდარი მოწმე,
როგორც უშნო შედარება.

**II**

ოდესღაც 6 წლისა ვიყავი
თანაც რამდენიმე წლის განმავლობაში ვიყავი ექვსის,
უბრალოდ, ასე გადავწყვიტე,
ახლა კი თითქმის ჩემხელა ვარ
და დუმილიც შევისწავლე.

**III**

განა რა არის უფრო დემაგოგიური, ვიდრე დუმილი?
შენ დგახარ ბართან, სავარაუდოდ, ქმართან ერთად,
ვისკის წრუპავ
და ჩუმად ხარ
და თვალებით მეკითხები: „როგორა ხარ?"
და მე თვალებით გპასუხობ:
„რა ვიცი, არა მიშავს, ბოლო დროს სიცხე მქონდა,
ამიტომ მაქვს თვალები ჩაშავებული,
თორემ საერთოდ ცისფერი თვალები მაქვს.
მგონი ვირუსი ავიკიდე,
მაგრამ ნუ გეშინია,
გადამდები არ უნდა იყოს.
აი, პაბედა
ჩემი პაბედა.
ჩემი წითელი ლურჯა.
საერთოდაც, ლურჯა ალბათ ლურჯი უნდა იყოს,
მაგრამ ჩემი წითელია,
არის ჩემში რაღაც ფროიდისეული.
ჰაჰა, ხომ არ გვეჟიმავა?
ხედავ, როგორი სიმპათიური ვარ?
გოგოები დომინოს პრინციპით ეცემიან ჩემზე,
და საერთოდაც, ნიჭიერიც ვარ,
დღეს ისეთი ლექსი დავწერე,
უეჭველი ნობელს ავიღებ."
შენ თვალებითვე მეუბნები: „895 92 15 27".

დუმილსაც აქვს უპირატესობა.

**IV**

ის, ვინც დუმილი გაიხადა საუბრის თემად,
დიდხანს ვერ იცოცხლებს
და სადარბაზოს ბნელ კუთხეში გაძვრება სული,
საკუთარ სისხლში ამოვლებულს,
არ არის ამაში საგანთა ლოგიკა,
მაგრამ არის ყოფითი პრაქტიკა,
რომელიც სწორედ ასეთია,
ჩვეულებრივი და ანონიმური,
როგორც სიკვდილი სადარბაზოს ბნელ კუთხეში.

მითუმეტეს, რომ
ეს ერთხელ უკვე იყო.

**V**

*„ხოლო მკვდრებმა დამარხონ თავიანთი მკვდრები"*
*(სახარებიდან).*

„ხოლო ცოცხლებმა ამომარხონ თავიანთი ცოცხლები,
ამოყარონ საფლავებიდან
და გზა დაუთმონ
ახალ ცოცხალთა საძვალეებს", —
ყვირიან ისინი
და მალაყებს გადადიან
და ჯვარს აკრავენ პირველსავე შემხვედრ ხეიბარს.
აი, შეხედე, მათი სახე... ეს... მათი სახე
ღიმილითაა დანაღმული
და სადაცაა აფეთქდება
და მათი სახის თითოეული ნაკვთი
სახეზე შემოგვეყრება,
როგორც პარპრიზის ნამსხვრევები,
როგორც ბავშვობის მოგონებები,
როგორც ბაბუაწვერებიანი ქარი,
როგორც ბაბუას ფერფლი.
ჰო, ბაბუა...
ეს ისაა, ვინც დუმილი გაიხადა საუბრის თემად,
და სადარბაზოს ბნელ კუთხეში გასძვრა სული,
საკუთარ სისხლში ამოვლებულს.

მას არ ჰქონდა უპირატესობები,
მას ჰქონდა ტკივილები წელის არეში.
და გაქცევის სამი მცდელობა.

**VI**

რეალობა ანონიმურია,
როგორც სხვის ომში მკვდარი,
როგორც, ზოგადად, მკვდარი.
გადი მდინარესთან,
ადრე თუ გვიან,
მტერს თუ არა, ოქროს თევზს მაინც ჩამოატარებს,
და ქვირითის სუნით დატენილი ტალღიდან
ამოიღე ის, რაც შენია.
ბოლოსდაბოლოს, ჩვენს დროში
ყველას უნდა ჰყავდეს პირადი ოქროს თევზი.

რეალობა ანონიმურია
და მისი გასაღები დევს ვეშაპის ხახაში.
ჩაყავი ხელი,
ამოიღე ის, რაც გეკუთვნის,
აი, შეხედე მებადურებს,
მათ ოქროს თევზი ჯერ ვერ იპოვნეს,
და დგანან ასე სიცივისგან დაკუჭულები,
მათი კანი ჰიროსიმაზე დამსკდარია,
მათი თვალები მკვდრისაზე ცივია,
მათი ღიმილი 25–ე კადრია,
უხილავად რომ აუდით სიფათზე.
და ისე გულმოდგინედ და საქმიანად ახველებენ,
თითქოს საკუთარი სხეულები გადასცდათ ყელში
და ცდილობენ, ამოახველონ
თავიანთი დამსკდარი და დაყინული
ქვირითისსუნიანი სხეულები,
რომლებმაც ყველა ბიოლოგიური ფუნქცია მიატოვეს
და მხოლოდ სივრცულ ფაქტურად იქცნენ
მათი კაფანდარა ფიქრებისათვის.

როდემდე უნდა გაგრძელდეს ასე?
აი, ღამეა,
პენსიონერი ღმერთი გამოდის
და ვარსკვლავებს სათითაოდ აჭედებს ცაზე,
და მოლოდინი ხდება უფრო დაძაბული
და ისტერია – შესამჩნევი.
მდინარეს კი მხოლოდ მტრების გვამები მოაქვს,
სად არიან ოქროს თევზები?!

VII

*„Ñêâî çü ãðî çû ñèÿëî í àì ñî ëí öå ñâî áî äû “.*

*აი, ეს თევზისთვალება კაცი*
*დიდი ხნის წინ გარდაიცვალა,*
*შორეულ და მიუდგომელ სიცივეში გარდაიცვალა.*
*ახლა ის ჩემს კორპუსში ცხოვრობს,*
*აქ გადმოსახლდა და ხანდახან*
*აივანზე მორაკუნდება*
*და აიფონმომარჯვებული*
*მუსიკას უსმენს,*
*ან ლექსს პრუტუნებს... ვეჭვობ, თავისას.*
*სახე კი არა, ლექსიკონი აქვს,*
*სადაც წვრილად განიმარტება*
*მისი ცხოვრების რომელიღაც ეპიზოდები,*
*ვთქვათ, ფრივოლური ეპიზოდები*
*ან რაინდული (იყო მაშინ ასეთი რამეც) ეპიზოდები*



*და პატარა ღაბაბი – მისი სახის უსაფრთხო სქოლიო –*
*სასაცილოდ ცახცახებს, როცა იცინის.*
*მაგრამ ის არასდროს იცინის*
*და მითუმეტეს, არ იცინის, როცა საუბრობს*
*და არც საუბრობს, კაცმა რომ თქვას,*
*თუ არ ჩავთვლით ერთ შემთხვევას,*
*როცა, საბედნიეროდ, მუცელი ატკივდა*
*და მონელების მიზნით ამბები ამოარწყია,*
*როგორც შხამიანი სოკოები:*

უნდა გვესმოდეს ზოგიერთი რამ,
კერძოდ კი, ყველაფერი.

უნდა გვესმოდეს, რომ
ზოგიერთი ჩვენგან გასული სიტყვა
ჩვენზე ჭკვიანია,
ჩვენზე ძლიერია
და მოქნეულ სილასაც ჩვენზე მარჯვედ იგერიებს.

უნდა გვესმოდეს ზოგიერთი რამ,
კერძოდ კი, ყველაფერი.

უნდა გვესმოდეს, რომ
ვინც მადლი ქნა და ქვაზე დადო,
გამოიარა და წინ დახვდა... ქვა.
და არა ერთი
და არა ორი
და მითუმეტეს, ღმერთო ჩემო, არა ასი ქვა,
არამედ დახვდა, რომ იტყვიან, ქვების გორები
მისი სახისკენ ოსტატურად დამიზნებული...
ბოლოს ერთ–ერთმა ხელებიც კი გადაიბანა.

უნდა გვესმოდეს ზოგიერთი რამ,
კერძოდ კი, ყველაფერი.

უნდა გვესმოდეს,
რომ პოეზია
საგნებისთვის ადგილის შეცვლაა
და მეტი არაფერი მოეთხოვება
და როცა მეტს ვთხოვთ,
ხდება კიდეც უფრო მეტი,
მაგრამ – უფრო ნაკლები, ვიდრე პოეზია.

ამიტომაც უნდა გვესმოდეს ზოგიერთი რამ,
კერძოდ კი, ყველაფერი.

უნდა გვესმოდეს, რომ პირველად იყო შიში.
გაურკვეველი და უცხო და მოულოდნელი,
როგორც მწუხარე მანეკენები
გამოდგმული ვერცხლისფერი ვიტრინებიდან
და ციდან თოვდნენ წითელი მგლები,
წითელენაგამოგდებული
და თოვდნენ და თოვდნენ და თოვდნენ მგლები
და მშიერი იყო მათი თვალები
და მშიერი იყო მათი მუცელი
და მშიერი იყო მათი კანის ყველა უჯრედი
და დიდი იყო ჩვენი შიში,
უფრო დიდი, ვიდრე ჩვენ ვიყავით.
და ვაძლიეთ მომავალი, როგორც ბეგარა,
რადგან ქალაქი დაიფარა მგლების ლორწოთი
და მწუხარე სახეებით დავაბიჯებდით
ამ ლორწოვან მდინარეებში,
რომელიც წელვით გვივარდებოდა სახლებსა და
ლოგინებში
და შორეულ სიცივეში გასახლებით გვემუქრებოდა
და იყო შიში.

ამიტომაც უნდა გვესმოდეს ზოგიერთი რამ,
კერძოდ კი, ყველაფერი.

უნდა გვესმოდეს, რომ წარსული აქვეა,
ჩვენს კისერზეა დაღირებული
და წითელი მგლებიც აქვე არიან,
და თოვენ და თოვენ და თოვენ
და მათი ლორწოვანი ენები
ალყასავით ერტყმიან ქალაქს
და ახალი და დროული და მყიფე სამყაროს
შექმნა ძნელდება,
და რომც შეიქმნას,
როგორ უნდა უმღერო ამ ახალ სამყაროს,
როცა ჩლიქებიც კი არა გაქვს
და შენი ენაც საკმაოზე მეტად ჩლუნგია
იმისათვის, რომ სატირა მოიგდო?!

ამიტომაც უნდა გვესმოდეს ზოგიერთი რამ,
კერძოდ კი, ყველაფერი.

## VIII

*„ვალუტის კურსებს ვუსმენ რადიოში“*
*(არნონ გრუნბერგი)*

ყოველი დღის ეგზეგეზა:
დილა ცხელი ყავით ისხნება
და იხურება ძილზე ფიქრით.
ოქროს თევზები ლომბარდიდან გამორბიან,
მეთევზეები დუმილში დაიმარხნენ
და მათი სამარხებიდან ოქროსფერი ფოსფორი ამოდის,
მანქანები პეპლებივით შერბიან გვირაბში,
სადაც ჩემი პოსტსაბჭოთა სიზმარი იწყება.
ერთი მეთევზე, ორი მეთევზე, სამი მეთევზე, ბევრი
მეთევზე...
ისინი უკვე ყოველღამე ჩნდებიან სიზმრად
ოღონდ, რატომღაც, რიცხვებად ქცეულან
და თითოეულს ჰქვია თავისი
უნიკალური რიცხვითი სახელი.
მე მიყვარს რიცხვები, მე მათით ვცოცხლობ.
დიდი ხანია, გადავწყვიტე, რომ
ტელეფონების ცნობარი საუკეთესო პოეზიაა,
ხოლო ბუღალტერიის ოფისები
წმიდათაწმიდა ადგილებია,
რომლებიც უნდა მოვილოცოთ
რიცხვითი სათნოებით აღვსილებმა.
ძილის წინ ვუსმენ ვალუტის კურსს,
რომელიც ჩვენი საერთო მამის
შუბლივით მაღალია
და სიზმარში ვხედავ ფერად რიცხვუკებს:
ყვითელ ექვსიანს, ლურჯ შვიდიანს, შავ თექვსმეტიანს...
და მეღიმება, რადგან უკვე ბედნიერი ვარ,
და საერთოდ, ბედნიერება
ჩემი ხალხის პროფესიაა.
მაგრამ რას ცვლის ალეგორია?
არაფერს, გარდა პირადი განწყობის,
სიზმარსაც კი ვერ ცვლის.
ხვალინდელი დღე კი ისევე განიმარტება,
როგორც დანარჩენი.
ეგზეგეტიკოსები კალამს ალესავენ
და ყველაფერს ვნახავთ ტელევიზორში.

ტელევიზორში ვნახავთ მომავალს,
ტელევიზორში ვნახავთ მომავალ
მეფეებსა და მონებსა და ბრმებსა და მუნჯებს
ნატვრისთვალით ხელში
და გემოვნებიანი ინტერიერით
გაწყობილ სიზმრებსაც ვნახავთ,
ჩვენ ვნახავთ ქრისტეს MTV-ზე,
ჩვენ ვნახავთ აწმყოს,
დაკიდებულს სარეცხის თოკზე
რომელსაც წითელი წყალი ჩამოსდის.

და გავიღვიძებთ
და ახალი ენერგიით ავაშენებთ ქარხნებს,
დავიქირავებთ იაფ მუშახელს,
ვთქვათ, კამჩატკიდან,
და გამოვუშვებთ
ბოლო მოდელის იესოებს,
ნატვრისთვალით ხელში, ცხადია.
თუ გავბრაზდებით, გავბრაზდებით რამდენიმე ათას
იესოზე
და ვილოცებთ ათასობით იესოზე
და დავწერთ ოდებს ათასობით იესოზე
და რამდენიმე ათას იესოს ამდენივე ათას ჯვარზე
ავაგებთ
და ცხოვრება იქნება რუტინული და ოდნავ სევდიანი,
როგორც საყვარელი სიმღერის ბოლო აკორდი,
რომ, სამწუხაროდ, დავიღალოთ და,
საბედნიეროდ, წამოვიყვიროთ:

უფრო ადვილია სამყაროს შექმნა,
ვიდრე მასში ცხოვრება.

უპირატესობები კი წარსულში დარჩა,
რომელიც მგლების ენითაა მოხაზული.

## IX

*(ტესტირება)*

რას ამბობს გამოცდილება,
რომელმაც უკვე გამოიარა
იმედგაცრუების გვირაბი
და შეჩერდა ჩვენს კარებთან,
რათა დააკაკუნოს
და  რათა განეღოს?
რას ამბობს ხსოვნა, რომელიც გავასახლეთ სხეულიდან
და მეორადი ინტუიცია, რომელიც ჩავისიძეთ?
რას ამბობს ქალი, რომელიც არ იღიმის?
რას ამბობს ფროიდი ქალის შესახებ,
რომელიც არ იღიმის?
რას ამბობს მწერალი, რომელიც ისტორიას ქალს
ამსგავსებს?
რას ამბობს ისტორია გმირის შესახებ?
რას ვამბობთ ჩვენ გმირის შესახებ?
ვინ არის გმირი?

## X

*„მე ვიხილე ჩემი თაობის ყველაზე ჭკვიანი ხალხი,*
*მისული სიგიჟის პირას, მოშიმშილე, შიშველი და*
*ისტერიული“ (გინსბერგი „ყმუილი“).*

მე ვწერ მათზე,
ვინც სიცოცხლე გახადა
საგზაო ნიშნებივით აუცილებელი და თვალშისაცემი,
ვინც შიშის დესანტი გადმოსხა ჩვენს თვალებში
და სიზმარსა და სიზმარს შორის
სარეკლამო პაუზასავით ჩააშენა
კაკუნის შიში.
ვინც სასოწარკვეთა და უძლურება მოაშენა თვალებში,
როგორც საჯიშე ფრინველები,
ვინც სიკვდილი მოაშენა,
და სიხარული მოაშენა
და გამარჯვების შიში მოაშენა
ვინც ძილით დაასახლა ჩვენი გამოხრული სხეულები
და სიზმრები აკინძა და გვისახსოვრა,
ვინც საკუთარი სიზმრიდან გადმოხტა
და შემხვედრ სიზმრამდე სული არ დაჰყოლია.
ვინც აზომა მანძილი დილიდან უახლოეს ქალაქამდე
და ქუჩები გაზაფხულით დანაღმა
და გაზარდა ავანტიურების შესაძლებლობები,
ვინც არასდროს ყოფილა პატრიოტი,
რადგან კარგი წარმოდგენა ჰქონდა საკუთარ თავზე.
და მიუხედავად ამისა, ომში წავიდა
და დაკარგა ცალი ფეხი
და ცოლის მოყვანის პერსექტივა
და სიგარეტი „კოსმოსი“,
რომელიც შარვლიდან ამოუვარდა,
როცა ცეცხლწაკიდებულ ტყეში გარბოდა.
ვინც იმდენხანს იფხიზლა, რომ
ახლა ძილშიც ძილი ესიზმრება.
ვინც ნახა სიზმარი, სადაც მისი ლამაზი ცოლი
შეურაცხმყოფლად ლამაზი იყო,
ვერ აიტანა და გამოიღვიძა.

აი, ამ ხალხზე ვწერ.

# 1 : 3

1

**საწოლზე** წამოვჯექი, დავამთქნარე, გავიზმორე, ტუმბოდან მობილური ტელეფონი ავიღე, ხმას ავუწიე, შემდეგ საათს დავხედე. ადგომის დრო იყო. ავდექი და სააბაზანოსკენ წავედი. გადავწყვიტე, რომ შხაპის ქვეშ მოვფსამდი, ასე უფრო ნაკლები მოძრაობის გაკეთება დამჭირდებოდა...

2

**საწოლზე** წამოვჯექი. დავამთქნარე. გავიზმორე. ოთახში მიმოვიხედე, ოთახი არეული იყო. ბალიში გავასწორე, შემდეგ კვლავ დავამთქნარე და ჩემს პირდაპირ მდგარ წიგნების კარადას მივაჩერდი. „მსოფლიო ლიტერატურის საღორე“ — გავიფიქრე. „საღორე ამ შემთხვევაში ერთდროულად რეალობაცაა და მეტაფორაც“... დავასკვენი... დღე ფილოსოფიურად დაიწყო...

3

**საწოლზე** წამოვჯექი. დავამთქნარე. გავიზმორე. ფანჯრისკენ გადავიხარე, ფარდა ოდნავ გავწიე, ქუჩაში მიმავალი ადამიანები და მანქანები დავინახე. შემდეგ ფარდა კვლავ უკან გამოვწიე, საბანი გადავიძრე და ავდექი, ლოგინი შევასწორე და ისევ დავწექი...

1

**შხაპის** მიღებისას ბოლომდე გამოვფხიზლდი. გავიხსენე ვინ ვარ, რას ვაკეთებ და კონკრეტულად რა მქონდა გასაკეთებელი იმ დღეს... ონკანი დავკეტე, ფეხები ჩუსტებში გავყავი და პირსახოცი საკიდიდან ჩამოვხსენი. თავი და ტანი შევიმშრალე და სააბაზანოდან გამოვედი...

2

**რაღაც** ძალიან მნიშვნელოვანი გამოვტოვე ცხოვრებაში, რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი ვერ გავაკეთე ცხოვრებაში... ყოველთვის ვიცილებდი თავიდან პასუხისმგებლობას, ამას ფილოსოფიურად ვამართლებდი, ვფიქრობდი, რომ პასუხისმგებლობა სუბიექტური კატეგორიაა და არავის არ აქვს უფლება, მიმითითოს ან მიწოდოს უპასუხისმგებლო, ასეთი რამის გაკეთება მხოლოდ მე შემიძლია საკუთარი თავისთვის, მაგრამ ასეთი რამ არასდროს გამიკეთებია. საკუთარი თავის დასჯა შეუძლებელია ჩემ მდგომარეობაში მყოფი ადამიანისთვის, ჩემი მსოფლმხედველობის მქონე ადამიანისთვის, რადგან ჩემთვის ერთადერთი რეალობა, სინამდვილე მე თვითონვე ვარ... მოვკვდები და ყველაფერი დამთავრდება, ჩემი სიკვდილი ჩემი აპოკალიფსია, ჩემი სიკვდილი ჩემთვის მეორედ მოსვლაა...

3

**ჩაძინებისთანავე** დამესიზმრა ზღვა. გამახსენდა, რომ წყალი სიზმარში ცვლილებებს ნიშნავს, შემდეგ გამახსენდა, რომ სიზმრების მაგიური ძალის არ მჯეროდა და მათი ახსნა შეუძლებლად მიმაჩნდა, ამიტომ ზღვას მშვიდად გავხედე. ზღვა ბინძური იყო. ზღვისკენ წავედი.

1

**სამარშრუტო** ტაქსში უკანა რიგში დავჯექი. ყოველთვის ასე მირჩევნია, ასე უფრო მშვიდად ვგრძნობ თავს, როდესაც ჩემს უკან არავინაა. როდესაც ჩემს უკან მყარი საზღვარია. სამარშრუტო ტაქსიდან ვხედავდი უკვე ათასჯერ დანახულ შენობებს, სარეკლამო ბანერებს, საგზაო ნიშნებს. ვხედავდი გზაზე მიმავალ მანქანებს. მძღოლებს, მგზავრებს, ავტომობილის ნომრებს. ამასობაში სამარშრუტო ტაქსში მგზავრები ამოდიოდნენ და ჩადიოდნენ.

2

**აქ** ბედნიერება შეუძლებელია. სივრცეა ისეთი, თავისთავად არასრულყოფილი, უფროსწორად, თავად მე ვარ არასრულყოფილი, ეს თავისთავად მოხდა და, აქედან გამომდინარე, ჩემი მხრიდან რაღაცის სრულად შემეცნება, რაღაცის მყარად დაჯერება გამორიცხულია. არა, გამორიცხული არ არის, მაგრამ ფანატიკოსობა არასდროს ყოფილა ჩემი ხელობა, თუმცა გამუდმებით იმის მტკიცება, რომ ფანატიკოსი არ ხარ, უკვე ფანატიკოსობაა. ამიტომაც არაფერს არ ვამტკიცებ, დიდი ხანია უკვე მეთვალყურე ვარ, უბრალოდ თვალს ვადევნებ, როგორ ებრძვიან ერთმანეთს ფანატიკოსი ლიბერალები რელიგიურ ფანატიკოსებს, როგორ წოვენ საქმოსნები საკუთარ თანამშრომლებს, როგორ უმახინჯებენ ცხოვრებას მშობლები და მასწავლებები ბავშვებს... მეთვალყურე ვარ და წარმოდგენა არ მაქვს, რატომ არ ვხუჭავ (რეალურად, თუნდაც მეტაფორულად) თვალებს, რაში მჭირდება ეს გამოცდილება? სად გამომადგება ეს გამოცდილება?

3

**ზღვაში** შევედი, ზღვამ უცებ გასუფთავება დაიწყო, ჩავყვინთე; თევზებსა და მცენარეებს შორის მივცურავდი, მივცურავდი სწრაფად, ღონივრად ვუსვამდი ხელებს და ფეხებს, შემდეგ დავინახე წყალქვეშა სახრჩობელა, რომელზედაც ჯარისკაცები იყვნენ ჩამოკიდებულები. „წყალქვეშ ჩამოხრჩობა ალბათ სიახლეა“ — გავიფიქრე და ამოვყვინთე...

ზღვის მაგივრად აუზში ვიყავი... გამიხარდა და კვლავ ჩავყვინთე, აუზის ფსკერი სუფთა იყო... ამოვყვინთე, შემდეგ აუზიდან ამოვედი, უზარმაზარი თეთრი სასახლე დავინახე...

1

**სამსახურში** ჩემი ყოფილი ცოლი დამხვდა... გამახსენდა, რომ 7 რიცხვი იყო... ალიმენტის გადახდის დღე. ჩემმა ყოფილმა ცოლმა თავიდანვე უარი თქვა ყოველგვარ ცივილიზებულ ურთიერთობებზე, ბანკში ფულის ჩარიცხვაზე და ასე ყოველი თვის 7 რიცხვში სამსახურში მადგება, თუ, რა თქმა უნდა, 7 რიცხვი შაბათ-კვირას არ ემთხვევა... სახეზე არასოდეს ვუყურებ... ფული მივეცი. ვიგრძენი, როგორ შეეხო ჩემი ხელი მის ხელს და ცუდად გავხდი.ერთმანეთი დაქორწინებიდან ერთ კვირაში შეგვძულდა. ბავშვი მოვიკითხე, მითხრა, რომ კარგად არის... დავიშალეთ...

2

**როდის** დავიჯერე (სისულელე), რომ ჩემი ცხოვრება განსაკუთრებული იქნებოდა, არ ვიცხოვრებდი სხვებივით მოსაწყენად სიცარიელეში, არ ვიქნებოდი სხვებივით უინტერესო და დინებას წაყოლილი... ალბათ ბავშვობაში, როდესაც ჩემ მშობლებს ვუყურებდი, როგორ ითვლიდნენ შემოსავალ-გასავალს და ვფიქრობდი, რომ ასეთი არ გავხდებოდი, არც ფიზიკურად და არც შინაგანად. იმ დროს სიტყვა სულიერების მნიშვნელობა არ ვიცოდი, ზუსტად არც დღეს ვიცი, რა არის სულიერება — წაკითხული წიგნები, ნანახი ფილმები, მოსმენილი მუსიკა, ან იქნებ ამ ყველაფერზე მეგობრებთან პირის აქაფება, ან იქნებ საზოგადოებრივი აქტიურობა რაღაც იდეებისთვის... დიდხანია არცერთი იდეის განხორციელების შესაძლებლობის აღარ მჯერა, ნებისმიერი განხირციელების მცდელობა იდეის მნიშვნელობას ამცირებს...

3

**თეთრ** სასახლეში შევედი. შიგნიდან თეთრი სასახლე ზუსტად ისე იყო მოწყობილი, როგორც ჩემი ბავშვობის პატარა სახლში და გავიფიქრე, რომ ამ სახლს სიზმარშიც კი ვერ ვაღწევდი თავს, შემდეგ ნივთებმა მოძრაობა დაიწყეს, საძინებლიდან დედაჩემი გამოვიდა, კმაყოფილმა აღნიშნა, რომ ძალიან კარგია, რომ ნივთებმა საკუთარი თავის მოვლა ისწავლეს, შემდეგ მე შემომხედა და ინატრა: „ნეტავ შენ როდის შეძლებ იგივეს“. თავი კარადისკენ მივატრიალე. კარადის შუშაზე საკუთარი ანარეკლი დავინახე. პატარა ვიყავი. „შუშა ტყუის, ან გაფუჭებულია“ — გავიფიქრე...

1

**მეორე** სართულზე მთავარი რედაქტორის მოადგილე შემხვდა. ერთმანეთს მივესალმეთ, შემდეგ მან მოულოდნელად მკითხა: „შენ მშობლებს სიყვარულის ჯეროდათ?“ დავაკვირდი, თვალებში შევხედე, თან ვფიქრობდი, ჯეროდათ ჩემ მშობლებს სიყვარულის თუ არა, უფროსწორად, ვიხსენებდი, ჯეროდათ თუ არა... „ყველაფერი მაგის ბრალია...“ — მითხრა მთავარი რედაქტორის მოადგილემ... „მე ხომ არ მითქვამს, ჯეროდათ თუ არ ჯეროდათ...“„რა მნიშვნელობა აქვს, ყველაფერი ჩვენი მშობლების ბრალია...“ მთავარი რედაქტორის მოდგილემ გზა განაგრძო... რაღაც ვერ იყო ხასიათზე... დავამთქნარე... მარცხენა ხელისგული პირთან მივიტანე...

2

**რატომ** დავიბადე მაინცდამაინც აქ, რატომ მაინცდამაინც კაცად, რატომ მყავდა მაინცდამაინც ეს მშობლები, რატომ მყავდა ორი უფროსი და, და არა თუნდაც ორი უმცროსი და, რა განსაკუთრებული აზრი იყო ამ ყველაფერში... ამ რამდენიმე მსგავს შეკითხვაზე ერთადერთი პასუხი მქონდა: „ნებისმიერი ადამიანი მისთვის საუკეთესო გარემოში იბადება და ეს გარემო სხვა ყველა გარემოზე უკეთესია“... ეს პასუხი ძირითადად მაკმაყოფილებდა მიუხედავად იმისა, რომ ეს მსოფლმხედველობა რამდენიმე საუკუნის წინ ვოლტერმა გენიალურად გაიდო ფეხქვეშ... ვოლტერი ადამიანი იყო, არა, ადამიანის შეხედულება შეიძლება იყოს გენიალური, მაგრამ გენიალურობა არ ნიშნავს აბსოლუტურს... ჩემი ბუნებრივი წყობა სამყაროში ყოველგვარი შემთხვევითობის არსებობას გამორიცხავდა, როდის გავხდი ასეთი? იქნებ 5 წლამდე. 5 წლამდე ცხოვრება უსასრულო, ბნელი გვირაბია, სადაც მხოლოდ ხელისცეცებით არის მოძრაობა შესაძლებელი, ეს ცხოვრების ერთადერთი რომანტიკული მონაკვეთია, რადგან მხოლოდ ის შეიძლება იყოს რომანტიკული, რაც არ გახსოვს...

3

**საძინებლის** კარი შევაღე და შევედი... საძინებლის მაგივრად მატარებლის ვაგონის დერეფანში აღმოვჩნდი... მატარებელი მოძრაობდა... ვირწეოდი და მატარებლის მოძრაობის ხმა მესმოდა... შემდეგ ვაგონის დერეფანში ჩემი ატირებული დები გამოჩდნენ. ერთდროულად მითხრეს, რომ მამა დაიკარგა... მამაჩემი ატირებული დების უკან იდგა და მიღიმოდა, ან უბრალოდ თავისთვის იღიმებოდა... ვაგონის ერთ-ერთი ჩემგან ყველაზე ახლოს მდებარე ფანჯარა ჩამოვწიე და მატარებლიდან გადმოვხტი... გავიფიქრე, რომ დაცემამდე აუცილებლად გავიღვიძებდი...

1

**კომპიუტერთან** დავჯექი. ფოსტა შევამოწმე. 3 წერილი მქონდა, სამივე სპამი... ავდექი და მოსაწევ ოთახში გავედი... იქ სპორტის განყოფილების უფროსი დამხვდა, მარცხენა ხელში სიგარეტი ეჭირა, მარჯვენაში – ყავის პლასტმასის ერთჯერადი ფინჯანი, სიგარეტი ამოვიღე და ასანთი ვთხოვე... მომცა. ზოგადად სპორტი ყოველთვის ნაკლებად მაინტერესებდა, ამიტომაც სპორტულ ჟურნალისტებთან მეგობრობა ნაკლებად, უფროსწორად, უინტერესოდ გამომდიოდა... სიგარეტს მოვუკიდე და ასანთი დავუბრუნე, ზრდილობისთვის ვკითხე: „ახალი არის რამე?“ მან ასანთი ჯიბეში ჩაიდო და მითხრა: „ალბათ ომი დაიწყება, გაატრაკეს საქმე...“ „ვინ?“ — ვკითხე და ყავის აპარატისკენ წავედი...

2

**ადამიანმა**, რომელმაც ღმერთი გამოიგონა, შექმნა ფიზიკა და მეტაფიზიკა, აქაური და იქაური ცხოვრება, პროგრესი, უკვდავება — ღირსეული და ძლიერი არსებაა, მაგრამ მისი ცხოვრება სრულიად უაზროა. რაც შეეხება ადამიანს, რომელიც შექმნა ღმერთმა, მისცა მას სამყარო, ფიზიკა და მეტაფიზიკა, აქაური და იქაური ცხოვრება, განვითარების საშუალება და გარანტირებული უკვდავება, რა თქმა უნდა, ნაკლებად ღირსეული არსებაა, მაგრამ მისი ცხოვრება აზრიანია, რადგან ამ ადამიანის ირგვლივ ყველაფერი ნამდვილია, შექმნილია და არა გამონაგონი. ყოველთვის, როდესაც ღირსებასა და აზრს შორის ვირჩევ აზრს, ცხოვრება ასატანია, მისაღებია... ყოველთვის, როდესაც ვირჩევ ღირსებას, სიცარიელეში ვრჩები, მაგრამ ძირითადად უბრალოდ ვცხოვრობ ღირსებისა და აზრის გარეშე...

3

**ჰაერში** ამიტაცეს... არ ვიცი ანგელოზები იყვნენ თუ ეშმაკები, თვალები დახუჭული მქონდა; ფეხები ერთმანეთზე მივატყუპე, ხელები გულზე დავიკრიფე და გავიტრუნე — ვის ხელში ვიყავი, ანგელოზების თუ ეშმაკების? ჰაერი იყო სუფთა, კამკამა, ან თავს ვიჯერებდი, რომ ჰაერი იყო სუფთა და კამკამა, მეშინოდა... შემდეგ ვიღაცამ მხარზე ხელი დამიტყაპუნა. თვალები უნებურად გავახილე, ცა დავინახე. „ცა არ არის ყოველთვის ცისფერი“ — გამახსენდა სადღაც წაკითხული წინადადება. ამჯერად ცა ცისფერი იყო, შემდეგ აქეთ-იქით მიმოვიხედე... მინდორზე ვიწექი, მინდორზე გველები დაცურავდნენ. გავიფიქრე: „გველები სამოთხეში დადიოდნენ, ესე იგი, სხვაგან ვარ“...

1

**შუადღეს** მთავარმა რედაქტორმა დამირეკა და მასთან კაბინეტში ასვლა მთხოვა... მთავარი რედაქტორი სავარძელში იჯდა, მარცხენა ხელში ტელევიზორის პულტი ეჭირა, მარჯვენაში – სიგარეტი. მანიშნა, რომ დავმჯდარიყავი... დავჯექი.„ყველა ვარიანტში ომი იწყება“, — თქვა მთავარმა რედაქტორმა და ტელევიზორისკენ გაიშვირა პულტიანი ხელი... ტელევიზორში ჯარისკაცები მოძრაობდნენ აქეთ-იქით, მთავარმა რედაქტორმა განაგრძო: „ექსკლუზივი გვჭირდება შტაბის უფროსთან, შენ უნდა მოახერხო, ჩვენი გაზეთი ყველანაირად მხარს უჭერდა შტაბის სამხედრო-პატრიოტულ პროგრამას, ასე რომ, ჩვენდამი დადებითი განწყობა არსებობს და ეს განწყობა უნდა გამოვიყენოთ“... მთავარმა რედაქტორმა სიგარეტი მოქაჩა, შემდეგ მაგიდაზე მდგარ საფერფლეში დააფერფლა...

2

**ცხოველების** მიხედვით ადამიანებზე მსჯელობა მცდარია, ასევე მცდარია ადამიანზე ღმერთის მიხედვით მსჯელობაც, ძალიან დიდი ხანია, რაც ადამიანები ორივეს დაშორდნენ — ცხოველებსაც და ღმერთსაც, თუმცა დღემდე ერთმანეთს ხან ცხოველს ეძახიან, ხან — ღმერთს, გააჩნია განწყობას... გააჩნია კონტექსტს. მიუხედავად ამისა, ადამიანებზე ცხოველების და ღმერთის მიხედვით მსჯელობა მცდარია... ასევე მცდარია ცხოველების გაადამიანება. რაც შეეხება ღმერთის გაადამიანებას, ეს ერთხელ მოხდა და ისე დამთავრდა, როგორც უნდა დამთავრებულიყო. ადამიანებს აღიზიანებთ, როდესაც ღვთაებრივი და ადამიანური ერთმანეთში ირევა და ამ ნარევს ადამიანური სახე აქვს, სამაგიეროდ იგივე ნარევს სხვა, არაადამიანური სახით ყოველთვის უპრობლემოდ იღებენ...

3

**ერთ-ერთი** გველი ხელში ავიყვანე... ძალიან ლამაზი იყო... არანაირი წინააღმდეგობა არ გაუწევია და არც მე მეშინოდა და, რაც მთავარია, არ მიკვირდა, რომ არ მეშინოდა, არადა უნდა გამკვირვებოდა... გველი ყელზე შემოვიხვიე... ყელზე შემოხვეული გველი ულამაზეს კაშნედ გადაიქცა, ხოლო ციდან თოვლი წამოვიდა... მიხაროდა, რომ პირველად ცხოვრებაში ულამაზესი კაშნე მქონდა... მივდიოდი, მათოვდა და მიხაროდა, რომ ულამაზესი კაშნე მქონდა. განსაზღვრება — „პირველად ცხოვრებაში“ — ამოვაგდე, რადგან შეუფერებლად ჩავთვალე... პირველივე სახლის კარზე დავაკაკუნე... „ვინ არის ამ შუაღამისას“ — გავიგონე კაცის ხმა... ცისკენ ავიხედე, ღამე იყო...

1

**გენშტაბში** დავრეკე და შტაბის უფროსი მოვიკითხე... „შტაბის უფროსი ერთი საათის წინ კონფლიქტის ზონაში გაემგზავრა“ — მიპასუხეს... გენშტაბის თანამშრომელს დავემშვიდობე და ყურმილი დავკიდე. გავიხედ-გამოვიხედე, შემდეგ ყურმილი ავიღე და მთავარ რედაქტორთან გადავრეკე. ვუთხარი, რომ გენშტაბის უფროსი კონფლიქტის ზონაში გაემგზავრა... „მერე დაედევნე, ექსკლუზივი გვჭირდება“... მანქანა მოვითხოვე. ჩემი თხოვნა მთავარმა რედაქტორმა რამდენიმე წუთში დააკმაყოფილა... რედაქციას სულ სამი მანქანა ემსახურებოდა, აქედან გამომდინარე, ჟურნალისტებს სხვადასხვა რესპონდენტთან მისვლა და ღონისძიებებზე სიარული ძირითადად სამარშრუტო ტაქსებით გვიწევდა... მივხვდი, რამდენად მნიშვნელოვანი იყო მთავარი რედაქტორისთვის ექსკლუზიური ინტერვიუ გენშტაბის უფროსთან.რედაქციის ეზოში ჩავედი... კახა, რედაქციის ერთ-ერთი მძღოლი, მელოდებოდა... მანქანაში ჩავჯექი. კახას ვუთხარი, სადაც მივდიოდით... არ ესიამოვნა. ზანტად გადააატრიალა გასაღები. რადიო ჩავრთე...

2

**განმარტოება** არჩევანია, სიმარტოვე — მონაცემი. განმარტოებას სიმშვიდე მოაქვს, უფროსწორად, წესით უნდა მოქონდეს სიმშვიდე, სიმარტოვე მტკივნეულია. ადამიანები ძირითადად მარტო არიან, განმარტოებული ადამიანები ჩვეულებრივი ადამიანები არ არიან, უფროსწორად, სხვა ადამიანების მიერ ჩვეულებრივ ადამიანებად ვერ აღიქმებიან, არის მათში რაღაც არამიწიერი, რაც ერთდროულად შიშს და მოწიწებას იწვევს... ყველა განმარტოებულს რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი აქვს სათქმელი, მაგრამ განმარტოებულია და ვერ ამბობს, ყველა მარტომყოფს იმდენად უმნიშვნელო ეჩვენება საკუთარი განცდები და ფიქრე-

ბი, რომ მათ შესახებ ვერ ლაპარაკობს. აქედან გამომდინარე, ყველაფერი მნიშვნელოვანი ჩვენს თავში და გულში ხდება...

3

ღია კარში შევედი. გავიხედე მარჯვნივ, შემდეგ მარცხნივ. არავინ არ იყო, არაფერი არ იყო... რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი წინ, ფეხქვეშ სიმყარე ვიგრძენი და გავიფიქრე: „ცაში არ ვარ...“ დავიხედე... ავტომობილების რამდენიმე მწკრივი დავინახე. მწკრივები დავთვალე... სამი მწკრივი იყო... შემდეგ მანქანებს დავუწყე ყურება... მამაჩემის მანქანა დავინახე... დავაკვირდი. მანქანაში მამა, დედა და მე ვისხედით... ექვსი წლის ვიყავი... გავიფიქრე: „მამა კიდევ ჩვიდმეტ წელს იცოცხლებს და მერე გულის შეტევით მოკვდება.“ ახლობელ ადამიანზე ძნელია იმის თქმა, რომ გარდაიცვალა, რადგან ზუსტად არავინ იცის, უფროსწორად, მტკიცედ არავის ჯერა, რომ ყველაფერი ისე ხდება სიკვდილის შემდეგ, როგორც წერია, ამიტომ ახლობლები ყოველთვის კვდებიან. რაც შეეხება უცხოებს, მათზე ადვილია იმის თქმა, რომ ისინი გარდაიცვალნენ და მათი ცოცხალი ახლობლების მომავალი, სიკვდილისშემდგომი შეხვედრით დაიმედება... მამამ საჭე მარცხნივ გადაატრიალა... მე გზა გავაგრძელე... მივხვდი, ხიდზე გავდიოდი...

1

კახამ გუშინ ნანახი ფილმის შინაარსი მომიყვა... აღფრთოვანებული იყო... ერთადერთი რაც გავიგე ის იყო, რომ ფილმის პერსონაჟები ერთმანეთის სიზმრებს ხედავდნენ... როგორ ახერხებდნენ ამას, ვერ გავიგე, არც მიკითხავს, სულ სხვა რამ ვკითხე კახას:

„შენ გინდა, სხვის სიზმრებს რომ ხედავდე?..“

კახამ თავი დამიქნია: „კი, აბა რა, მაგარია“...

გამეღიმა. „და შენ სიზმრებს რომ სხვები ხედავდნენ?“

კახამ ერთი წამით გამომხედა, შემდეგ თავი კვლავ გზისკენ მიატრიალა... „ხანდახან მგონია, რომ ხედავენ...“

„ვინ?“ — დავინტერესდი...

კახამ მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი მანქანის ჭერისკენ აიშვირა... თავი ფანჯარაში გავყავი და ცას შევხედე...

2

წამოვდექი, წიგნებთან მივედი, წიგნები შევათვალიერე... გვარები, სახელები, ფსევდონიმები... ყველაფერი ეს ათი წლის წინ ჩემზე ძალიან დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა... ათი წლის წინანდელი ჩემი თავი დამიდგა თვალწინ... თვითკმაყოფილი ბიჭი, რომელიც მხოლოდ იმიტომ უნდა ეღიარებინათ სხვებს გენიოსად, რომ ბევრი ღრმაშინაარსიანი წიგნი ქონდა წაკითხული. გამახსენდა, რომ ათი წლის წინ ვაჟიშვილი ვიყავი და გამეღიმა... მარკოპოლოს წიგნი გადმოვიღე, შემდეგ ფანჯარასთან მივედი და გარეთ გავიხედე...

3

ხიდზე ასფალტი ახალი დაგებული იყო. მივდიოდი. ფეხები ცხელ ასფალტში მეფლობოდა, მაგრამ არანაირ დისკომფორტს არ ვგრძნობდი... ხიდი გადავიარე... ჭაობისფერ კარავთან აღმოვჩნდი. კარავში შევედი, არ მინდოდა, მაგრამ მაინც შევედი... კარავში სამხედროები ისხდნენ... ერთ-ერთი წამოდგა, კარადასთან მივიდა (კარავში რომ შევედი, კარადა არ იდგა, უცებ გაჩნდა), სამხედრო ფორმა გამოიღო და გამომიწოდა...

„მე, მე...“ — ვთქვი მე...

„შენ, შენ...“ — თქვა მან.

1

ერთი საათის შემდეგ გორის ცენტრალურ მოედანზე ვიდექი... ხელში მობილური ტელეფონი მეჭირა და შტაბის უფროსის ნომერს ვკრეფდი... შტაბის უფროსის ტელეფონი მომსახურეობის ზონიდან იყო გასული... გორის ცენტრალურ მოედანზე ადამიანები იყვნენ შეკრებილი... ერთდროულად შეშინებული და გახარებული სახეები ქონდათ... მანქანაში ჩავჯექი და კახას ვუთხარი, რომ სამხედრო ბაზაში უნდა წავსულიყავით... კახამ მანქანა დაქოქა, აშკარად არ მოწონდა რაც ხდებოდა, მაგრამ ხმას არ იღებდა...

2

ფანჯარაში გავიხედე... ადამიანებს ზევიდან უნდა უყურო... გამახსენდა რომელიღაც წიგნში წაკითხული ფრაზა... „რა აზრი აქვს?“ — გავიფიქრე... „ხან შენ უყურებ ვიღაცეებს ზემოდან, ხან ვიღაცეები გიყურებენ ზევიდან, რა აზრი აქვს?“ რაფას ხელისგულებით დავეყრდენი, დავაწექი და რაფაზე შევხტი... ჩემი სისხარტე მე თვითონვე გამიკვირდა... უაზრობა გვამსუბუქებს...

3

სამხედრო ფორმა თავისით ჩამეცვა... შემდეგ ავტომატი წამოვიდა ჩემსკენ და ხელებში შემომეჩეჩა... აქეთ-იქით გავიხედე... ჯარისკაცებს შორის ვიდექი... სამმწკრივად ვიდექით. გადავთვალე, მეორე მწკრივში მეხუთე ვიყავი. ჩვენს წინ ოფიცერი იდგა და ჩვენს მომავალ მისიაზე გველაპარაკებოდა, ლაპარაკობდა ლათინურად. ამაზე უცნაური უფრო ის იყო, რომ მისი საუბრის შინაარსი მშვენივრად მესმოდა... ჩვენ უნდა აგვეღო მტრის მიერ წლების წინ დაპყრობილი ქალაქი...

1

სამხედრო ბაზის ჭიშკართან მივედი... კაბინიდან მორიგე ჯარისკაცი გამოვიდა და მკითხა, ვინ ვარ და რა მინდა. მე ამომწურავად ვუპასუხე, რა მინდოდა. რაც შეეხება შეკითხვას, ვინ ვიყავი, ამ კითხვაზეც შეძლებისდაგვარად ამომწურავად ვუპასუხე, თან საკუთარ თავს ვკითხე: „სინამდვილეში ვინ ვარ?“ ერთი ძველი სკეტჩი გამახსენდა, რომელშიც ეს შეკითხვა გაპაროდირებული იყო... მეგონა, გამეცინებოდა (ადრე ყოველთვის მეცინებოდა ამ სკეტჩის გახსენებაზე), მაგრამ არ გამეცინა... გაკვირვებული ვუყურებდი მორიგე ჯარისკაცს... მიკვირდა, რომ არ მეცინებოდა...

2

ფანჯრის რაფაზე ვიდექი,მარცხენა ხელი ფანჯრის ჩარჩოზე მქონდა მიდებული და ქუჩას ვუყურებდი... ვხედავდი მანქანებს, შენობებს, ადამიანებს, მესმოდა ხმაური. თვალები დავხუჭე. ვხედავდი ყვითელ წერტილებს შავ ფონზე და მესმოდა ხმაური...ერთ ადამიანად არასდროს ვთვლიდი თავს, ყოველთვის ვგრძნობდი, რომ ერთდროულად რამდენიმე ადგილზე ვიყავი, მაგრამ ერთი სიკვდილი მქონდა, აქედან გამომდინარე, ერთი სიცოცხლე... ოდნავ წინ გადავიხარე, თვალები არ გამიხელია, ალბათ თავს თვალდახუჭულები იკლავენ, შემოვიწიე და თვალები გავახილე... დავინახე ქუჩა, შენობები, ადამიანები, მანქანები და კიდევ საკუთარი თავი ჰაერში... გაშეშებული ვიყავი. ხმაური მესმოდა... შემდეგ ორივე ხელი დავიქნიე და უკან გადმოვფრინდი, იატაკზე ტრაკით მოვჯექი... სწრაფად წამოვდექი და ცას შევხედე... ცა ცარიელი იყო... სად გავქრი?..

3

ვიდექი. ყველაფერი თავისით მოდიოდა ჩემთან... მდინარე, ნაპირი, ტყე, მტერი... აქეთ-იქით ვიხედებოდი... „ეს სიზმარი აღარ არის“ — გავიფიქრე და შემეშინდა... თვალების გახელა დავაპირე, მაგრამ თვალები უკვე გახელილი მქონდა და კიდევ უფრო შემეშინდა... „თვალები ჯერ რომ დავხუჭო და მერე გავახილო, მაგრამ რომ ვერ გავახილო, ან ვერ დავხუჭო?..“ გამახსენდა, რომ ომში ვიყავი... ვიდექი. ყველაფერი თავისით მოდიოდა ჩემთან, ომიც... თვალები დავახამხამე...

1

მორიგე ჯარისკაცმა მითხრა, რომ შტაბის უფროსი მოლაპარაკებზე იყო წასული... წარმოვიდგინე მაგიდა, აქეთ-იქით ხალხი. რაღაცებს ლაპარაკობენ, წინასწარ იციან, რომ ვერაფერზე ვერ შეთანხმდებიან... ნებისმიერ ადამიანურ საქმეში უკვე იმდენი არასწორი არჩევანია გაკეთებული, რომ ადამიანური სამყარო ფატალური გახდა... ყველაფერი ისტორიის ბრალია, უფროსწორად, ისტორიიდან გამოუსვლელობის, ისტორიაში დარჩენის სურვილის... მანქანაში ჩავჯექი. კახა მიყურებდა, ელოდა რას ვეტყოდი, საით მოვთხოვდი წასვლას... რადიოს ოდნავ ჩავუწიე, კახას შევხედე და ვუთხარი:

„დაიკიდე, ყველაფერი დაიკიდე...“

„რამდენი ხნით?“ — მკითხა კახამ...

2

წიგნების თაროსთან მივედი, რამდენიმე წიგნი გამოვიღე, ფანჯარასთან მივედი და გადავყარე. კვლავ წიგნების თაროსთან დავბრუნდი, წიგნები გადმოვიღე და ისევ ფანჯარასთან მივედი, წიგნები გადავყარე... გავჩერდი, ამოვისუნთქე... და თაროსთან მივედი...

3

ვიდექი. ყველაფერი თავისთავად დამშვიდდა.. ვიდექი და მშვიდად ვფიქრობდი: „გაღვიძება მინდა.“

ნინო სადღობელაშვილი

# ბოლოსწინა ღამე

**დასასრული**

ამოუყვა კიბეს. სანამ კარს გააღებდა, მანამდე თომამ მოასწრო და სანოტარო აქტის ფურცლები ისევ თავის ადგილას დადო, თვითონ იქვე, სიბნელეში ჩამოჯდა. გიას დაელოდა.

კარი გაიღო, გია სწრაფად შემოვიდა. პირდაპირ კანდელისკენ წავიდა. ფურცლები აიღო, სწრაფადვე გამობრუნდა, გეგონება ვინმე მისდევსო, კარი დახურა და ჩაუყვა კიბეს.

აზრადაც არ მოსვლია, კუბოში ჩაეხედა. დარწმუნებული იყო, რომ მის ძმას იქ მშვიდად ეძინა.

რაღაცნაირად გაფითრებული მოეჩვენა გია, თითქოს ფრთები ჰქონდა და ისინი შეაჭრეს, წელში მოკუნტული შემოვიდა და უფრო მობუზული გავიდა. თომას წამითაც არ მოუშორებია თვალი. დიდი ხნის წინ ნახა ზუსტად ასეთი – როცა გიას პირველი, პატარა შვილი მოუკვდა მინინგიტით. მაშინ იდგა შვილის ერთი ხელისმოხვევა კუბოს წინ და აღარ იცოდა რა ექნა, თითქოს მანამდე გარდაცვლილი არავინ ენახა და სრულიად უცნობი მდგომარეობა იყო ეს – სიკვდილი. მერე კი გაიშალა ნელ-ნელა მხრებში, სხვა შვილები რომ გაუჩნდა, მაგრამ დღეს მაინც სხვანაირი ეჩვენა თომას.

— რატომ თუ იცი? — განუმარტა მერე კვლავ გამოჩენილ ტარაკანას, — ძალიან ბევრი პრობლემა აქვთ, გიასაც და შაკოსაც. ან ამხელა ქელეხი რათ უნდოდათ, სადა აქვთ ამდენი, წელებზე ფეხს იდგამენ! გიას მარიამი გვყავს წელს საოპერაციო, კუჭზე წყლული რო აქვს, ის უფროდაუფრო ურთულდება, ირმა იმ თავის ერთადერთ შვილს უქმროდ ზრდის და სახლი არა აქვს, კარი არა აქვს, ბექას ცოლიც ვეღარ მოუყვანია მაგის ხათრით, სად დაეტიონ ამდენი? დედაჩემი ჩაგვსხამდა ხოლმე თავის წინსაფარში და სამივე ვეტეოდით, აღარ იკერება ახლა მაგხელა წინსაფრები, თორემ დაეტეოდა ისევ ყველა ამ დედამიწაზე, ხო სწორი ვარ? დედაც კი ვნახე ისე იქ... არანაირად არ გამოვუგდივარ, რო იციან ხოლმე — გამოგვაგდესო, ჯერ თქვენი დრო არ არიო... პირიქით, ძალიანაც გაუხარდა და იმდენხანს მიბურჯგნიდა თითებით თმას, რო კინაღამ გავგიჟდი, სარკეში ჩავიხედე და ჩემი თავის შემეშინდა... სარკე სად იყო? იყო. ჰაერის მაგივრად სარკე იყო, ყველაფერი ჩანდა — წაღმა, უკუღმა... ჰე, გათენდეს აწი! — და ცხვირით ისევ ფანჯარას მიებჯინა.

შორს, ქუჩის კუთხეში რეზო დარჩია მობანცალებდა გვარიანად გამტყვრალი და ცხოვრებისკენ ყელმოღერებული. ჩაუარა წინამდებარე აივნებს და, როგორც წესი, ლამარა წოწორიას სახლთან შეჩერდა, ამოიღო ჯიბიდან კარგა მოზრდილი კენჭი და გააქანა მისი საძინებლის ფანჯრებისკენ.

— ა, ლამარა! გაგრის სანაპიროდანაა ეს! არ გამომელევა შენ ჯინაზე არც იქაური კენჭი და არც შენი სიყვარული!.. — უცადა ცოტახანს და რომ არავინ გააგონა, დაუყვა ქვევითკენ გზას.

გადასძახებდა ახლა მთელი ხმით თომა ტყემალაძე რეზო დარჩიას, ამოიყვანდა თავისთან და შეუბერავდნენ ძველებურად, თოვლში ჩაციებული ღვინით, მომავალ განთიადამდე, მაგრამ რეზომაც ის იცოდა, მკვდარი რომ იყო თომა და მეორე დღისთვის იმის ქელეხში რომ უნდა გამოსულიყო პახმელიიდან და, ხომ გაუხეთქავდა იმასაც გულს!

შემოკეტა ფანჯარა და დაიწყო რაღაცის ღიღინი. რომ არ გაგიჟებულიყო.

ფანჯრიდან შემოჭრილმა ნიავმა ტახტზე დეპეშები ააფრიალა და ძირს დაცვივდა. აკრიფა და დააწყო თავის ადგილას. სტრიქონები ხმამაღლა გადაიჩურჩულა და უცებ, ამდენ „ვწუხვარ-ვიზიარებ”-ში ერთმა უცხო სიტყვამ ოქროს კბილივით გამოანათა: „მაპატიე”. ეს წეღან არ უნახავს და მაშინვე გამოაძვრინა ფურცლებიდან.

„მაპატიე”... — ასე იწყებოდა.

„ცხოვრებაში წერილი არ დამიწერია და, მით უმეტეს – წამიკითხვინებია ვინმესთვის. მაგრამ ახლა მშვიდად ვარ, რადგან ვიცი ვერც შენ წაიკითხავ ვერასდროს და იმიტომ გწერ. ჩემ თავს უფრო ველაპარაკები. რა უცნაურად მოხდა... ბოლოს უკვე სული მეხუთებოდა და ალბათ მე მოვკვდებოდი, გული გამისკდებოდა, რამე რომ არ შეცვლილიყო. შენ ძალიან კეთილშობილი ხარ და ამიტომაც გაამარტივე ყველაფერი შენი სიკვდილით. არ მინდა, იმქვეყნად, თუკი მართლა არსებობს ის ქვეყანა და თუკი მართლა გრძნობენ მკვდრები, ცოცხლები რასაც ფიქრობენ, ჩემი ტყუილით დაგამძიმო. შენ ყოველთვის მაგონებდი რომელიღაც ჩიტს, თავისუფალს, ლაღს, ხანდახან მშურდა კიდეც შენი, მაგრამ იცი, ძვირფასო, ამდენ ფრენაში ყველაფერი ხელიდან გამოგეცალა.. და რაც ყველაზე სამწუხაროა, შენ ამას ვერც კი მიხვდი. ვერც კი მიხვდი, არათუ იგრძენი, როგორ თანდათან გამოგეცალე ხელიდან მეც, როგორ დაკარგე ჩემი სიყვარული, ან იყო კი ეს სიყვარული? ახლა, როცა ვიცი, რომ უნდა მოვიდე და ეს ერთადერთი და საბოლოო წერილი შენი გათოშილი ცხედრის წინ დავდო, მეც სიცივეს ვგრძნობ. მე არ მიყვარდი. არასდროს. უფრო მეტიც, მე გღალატობდი, და რადგან მინდოდა უფრო მეტად დამესაჯე, გღალატობდი იმასთან, ვინც ყველაზე ახლობელი გეგონა... ჩვენ დიდი გეგმებიც გვაქვს – მე და იაშკა მალე საზღვარგარეთ მივდივართ, იქ ვიქორწინებთ, და აღარაფერი გაგვახსენებს აქაურობას... იაშკას აქვს დიდი ნიჭი – ვუყვარდე მე და არაფერი გადადოს სამომავლოდ. ჩვენ დღეს ვცხოვრობთ, დღეს... თუმცა კი, ეგებ გულის სიღრმეში ახლა შენს ადგილას ყოფნასაც ვნატრობ. რადგან ეს იქნებოდა გარანტი იმისა, რომ მსგავსი საშინელი წერილი არასდროს დაიწერებოდა. მაგრამ რა გაეწყობა... ნათელში იარე... მშვიდობით. მაია.”

უკვე თენდებოდა.

ორი მოძრაობა შეასრულა ერთმანეთზე უფრო ვნებიანად და, მიუხედავად იმისა, რომ ეს ყველაფერი სულ 7 წუთს გაგრძელდა, მაინც იმხელა ძალა დახარჯა, გეგონება კიდევ ერთხელ მოკვდა და გაცოცხლდა.

ჯერ ადგა, შეისწორა ტანსაცმელი, ჩავიდა კუბოში, გაწვა ძველებურად, წაიფარა თვალებზე ძმრიანი მარლა, დაიკრიფა გულზე ხელი და გაყუჩდა. მარცხენა თვალიდან ერთი წვეთი ცრემლი წამოუგორდა და ძმარს რომ შეერია, ლოყა აეწვა. ამ შეგრძნებამ იყო თუ რა იყო, უცებ გონება გაუნათდა, უცებვე წამოდგა კუბოდან, გადმოვიდა, ტანსაცმელი მთლიანად გაიხადა და კუბოში რომ იყო ჩაწყობილი, ის ჩაიცვა, ტრილიაჟიდან ცელოფანი მოხსნა, სარკეში თავი შეისწორა, ახლაღა დაინახა, უკვე ფანჯრიდან შემომავალ პირველ სხივზე – გატეხილი ცხვირი და, გაახსენდა რომ სახურავიდან თოვლის გადმოწმენდისას დაუცურდა ფეხი და აივანზე კი დაეცა, მაგრამ ცხვირის ძვალი დაარტყა და ცოტახნით მოკვდა.

გაასენდა ისიც, ზუსტად ამ ამბამდე ერთი კვირით ადრე ახალი შეკვეთა რომ მიიღო საქორწინო სამკაულზე და, შემკვეთმა, ანუ სასიძოს დედამ, იგივე მომავალმა დედამთილმა, რამდენჯერმე რომ უხსენა — ეგებ მზის დეტალებით გააწყოო, ანუ, საყურეც, გულსაკიდიც და ბეჭედიც მზის სიმბოლოებით რომ იყოს მოხატული და რაღაცნაირად ბუნებრივად ჩახჩახებდესო. თვითონ შემკვეთსაც, ანუ ამ ქალს, საშინლად ნათელი თაფლისფერი თვალები ქონდა და სულ არ ეტყობოდა, საცოლე შვილი თუ ყავდა. თვითონ გავდა გასათხოვარს.

გაახსენდა ეს ყველაფერი სარკის წინ და კიდევ ერთხელ აისვა საფეთქლებზე ხელი, დაილაგა გაუხეშებული და აჩეჩილი თმა, გააღო კარი, რომელიც იმის ძმას ბოლო შემოსვლაზე გარედან ჩაუკეტავი დარჩა და, გავიდა.

ჩავიდა კიბეზე. გადაიარა ეზო. გავიდა ქუჩაში.

აღარ თოვდა, მაგრამ ყველაფერი იყო თეთრი, უფრო სწორად, ოქროსფერი. ბოლოს ისაც გაახსენდა, რომ ასეთი უცნაური ფერის თოვლი არასდროს უნახავს.

## ლია სტურუა

### აპოკალიფსი

სიჩუმეები სიტყვის და წიაღის...
პირველზე დაწერ,
მეორიდან სიბერწეს ამოიღებ.
რამდენი თესლი ჩააპნიეს,
ხეხილი ამოვიდა.
გინდა ქარვის თქვი, გინდა იაგუნდის,
ჩვეულებრივი ბავშვები — ვერა.
არ ესმით ერთმანეთის
სიტყვას და წიაღს,
რძეს და ღვინოს,
რითიც ბავშვი იღებება,
შესახედავად, თორემ, ისე,
ლექსის მასალა, ბავშვის მასალა
რამდენიც გინდა!
თაბახის ფურცლები, რბილი მუცლები,
ჩიყვის ბურთები ნერვიულ ყელზე.
ტანის წუხილი თუ არ დაემთხვა
ტვინის ჟრიალს, ბავშვი არ შედგება,
წყალწყალა თავზე
სხეულს ვერ დაუმაგრებ,
კონსტრუქტორის კოლოფში ჩადებ
და გიჟებს მიუგდებ,
რომელიმე მათგანი,
ყველაზე ალისფერტვინიანი, იშვილებს,
ვაშლებს მიაშველებს, რძეს და ღვინოს,
ნორმალური წარსულიდან,
ასე თუ ისე, წიაღს ითამაშებს,
იქაც ქარვა და იაგუნდი,
ჭორფლი სახეზე
ბავშვი თუ კოშკი?
თუ ლექსების კრებული,
0000 წელს გამოცემული,
ახალი წარღვნის მერე?

* * *

ლაპარაკის დროს დავეცი,
სიტყვები კიბეზე ჩამომეხეხა,
ხმა მეტკინა,
ხორცს და სისხლს შეუჩვეველი,
შუბლსაც არ ატარებდა,
რომ კოპი დასჯდომოდა,
გაპოხილი მქონდა კარაქით,
თაფლით ჩარბილებული,
ეკლიანი სიტყვები
ღირსეულად დაჰქონდა,
ეს მე აღმოვჩნდი ზედმეტად გამეხებული,
მძიმე სიტყვა კიბეს ჩამოვახეხე
და ნაკლებად ქვა გაიბზარა,
ხმა მეტკინა
ეს იყო და ეს,
შემდგომ მოვლენებთან
კავშირი არ ჰქონია.

### ბოლო დღე

სამშაბათში გავეჩხირე
დღე არც კი აინთო,
ისე გათავდა,
მტვრიანი დღე იყო, ნახმარივით,
ვიღაცამ მოასწრო მისი გამოყენება,
ნაღების ბალიშიდან თავი ასწია
და, ასევე, თეთრად გააგრძელა,
ჩემი წურბელებიანი ბალიში
სისხლის კოპლებს იყრიდა,
ამ ქსოვილის შლეიფი წამომყვა
და სამშაბათში გავეჩხირე
სული ყელში მქონდა,
რა ვიცოდი, რომ გლანდების
წითელ პარმაღს ვერ გადააბიჯებს,
საავადმყოფოს ღეჭვას გამაგრძელებინებს
ციანოზიანი ტუჩებით?
რა გავაჩერო?
გულში საათი, ტვინში ჭია,
ხერხემალზე აღზევანის მშენებლობა?
კვირამდე კიდევ მაქვს დრო,
ძროხები და ბავშვები
მივუშვა მარილთან,
სიხარულით ვუყურო
რძის ჯოგებს და საბავშვო ბაღებს,
საავადმყოფო ვღეჭო...
ციანოზის სილურჯე
გადამდებია ჭერისთვის,
სხვა ცა თუ არ გაქვს,
სამშაბათში გავიჩხირე.

### ჩემს მკვდარ მხატვარს

იქ რა ხდება? სრული უძრაობა?
თუ როცა ვაგვიანებ,
მაინც ხვდები?
რომელი საათია
სალვადორ დალის დროით?
ერბოკვერცხივით დაღვრილზე
ისრები ყვითელს უჩვენებენ,
კედლიდან ჩამოქაჩულზე
იგივე ტაფის მზეს,
ციფრები იგნორირებულია
სითბო როგორღა მოგიტანო
ამ ზამთარში?
რეკვიზიტის ფულს ვინ მომცემს?
ჟესტებით და მიმიკით ვითამაშო
ბევრი შაქარი?
ჟრიალისთვის და არა ძღომისთვის...
ამას კი იგრძნობ,
ისევე როგორც გაუნძრეველ დღეში,
ერთი ჩიტის აფრენაზე
სიცხეს შეაზანზარებს.
მკვდრებიც ხვდებიან
უსაგნობას და ოდნავობას,
ტყუილ სიტყვებსაც:
კატარაქტა, გლაუკომა, ოპერაცია
მზეს თეთრად ვხედავ
ჩემს საათზეც იგივე დროა...

### მაიას

ყველაზე მეტი ვარსკვლავი
საავადმყოფოს ჭერზეა,
როცა მიგაქანებენ საკაცით,
ირიბი დამატებით,
სანამ არსებითი სახელი ხარ.
სულ ბოლო ფრენა...
იქამდე ფრთებს ითხოვ,
იგონებ, ხატავ,
მერე ეს დამატება გიგონებს —
საკაცე, ინვალიდის ეტლი
ლექსივით გფიქრობს,
მის შემოქმედებად იქცევი
პატარა დასვენებაზე, სიკვდილამდე
თუ სხვის თარგზე აჭრილი გამოდგა,
საღი და მრგვალი მუხლები გამოგიჩინა,
შეიძლება, გამოძვრე კიდეც,
დაბრუნდე, განურჩეველი,
ცარიელი ჭერივით
ვარსკვლავები ცაზეც არ არი...

* * *

ვინგრევი. სკამის გარშემო
ყრია ნამტვრევები
რომ გადავიხარო და მათგან
ნაცნობი სურათი ავაწყო,
ხერხემალი არ მიშვებს
ეს ადრეც ხდებოდა,
მაგრამ შეუმჩნევლად:
ადრენალინი მუშაობდა,
უჯრედები მრავლდებოდნენ,
ატიპიურად, შხამიანი ხეებივით,
რამეზე ხომ უნდა იყო ფეხმძიმედ
ან შვილზე ან მცენარეზე,
მიკროსკოპმა ვერ დაგიტიოს,
პროჟექტორს ამოაგლეჯინო
სიბნელიდან თავი სკამზე,
გარშემო ტანის ნანგრევები,
ჰაერში კომპლექსები, ზამთრის ბუზებივით,
ბოლო ფიქრი ისეთ სისულელეზე,
როგორიც სკამის სულიერებაა...

* * *

წვიმამდე მოდი!
სანამ სიცხით გაუტკივარებულ-დაჩლუნგებული
ჭრილობა გამეხსნება
ტვინს კი არა,
თითებსაც აღარ ახსოვთ
რა დაწერეს აქამდე...
კბილები მეფხანება
ზაფხულისგან და მოწევისგან,
ყელის ფესვიც, საიდანაც
ლაპარაკი იწყება
რას შეგპირდე?
რომ აღარ მოვწევ,
ჭრილობას არ მოვიჩიჩქნი
და ბავშვების ჩანასახები
არ ჩამომეშლება მუცლიდან,
სადაც ძაღლები ყმუიან?
ისიც მტკივა, მაგრამ
შენ მოდი!
ახალგაპარსული სახე მომანათე!
წვიმის შიდა მხარეს მოგირჩენ,
გარედან — ჩემი ცოფი,
ქსელში რომ ჩართონ,
ქალაქი გადაიწვება!
ჯობია, სიჩუმეში ვიცხოვროთ,
სიბნელეში, მე, შენ და ტკივილმა,
შვილებმა არა,
შვილები სიცოცხლისთვის გავიმეტე.



## შოთა ზოიძე

### ნოეს მტრედი

ათიათასჯერ მადლობელი ვარ ღმერთის,
ჯვარცმული ჩემი ძმა არი საყვარელი,
ჩემი სიცოცხლე კვადრატში აყვანილი,
აღდგომის კრავად მომირთმევია შენთვის.

აქ ცოდვა-მადლის ვინღაა განმკითხავი,
დაძაბულია ცხოვრებაკიდით-კიდე,
რაც თავი მახსოვს, სამართებელზე მიდევს
შენი გულისთვის გასაწირავი თავი.

იმედის სურას იის ცრემლებით ვავსებ,
არ გამიცურავს ზღვები ხელმწიფის ნავით,
თუ დაგჭირდება, ჩემი ცოცხალი თავით,
ნოეს მტრედივით შემოგევლები თავზე.

### ძვლებით სავსე ტომარა

*Âèæ ó – âçðåçàí í î é ðóêî é ï î ì å ê î â,*
*Ñî áñò âåí í û õ êî ñò åé êà÷àåò å ì å ê î ê.*
*Â.Ì àÿêî âñêèé*

რუსმა პოეტმა მითხრა მარტივად,
მეც ვიმეორებ მწარე სიმართლეს,
ტანზე ხორცს ვიგლეჯ, როგორც მარტვილი
და საკუთარ ძვლებს ტომრით მივათრევ.

ვემშვიდობები ცას და ვარსკვლავებს,
მარხული, თანაც ღვინონასვამი
მაიაკოვსკივით თუ ვერ დამკლავენ,
დეკაბრისტივით ძელზე გამსვამენ.

ვეღარ მივაგენ ჩემი საძვალე,
უფალო, ამდენს რაღას მაწვალებ,
ჰა, წიგნი ჩემი დანატოვარი
და ჩემი ძვლებით სავსე ტომარა!

### თოვლი თბილისში

*ზაურ ბოლქვაძის, მორის ფოცხიშვილის,*
*გიორგი ცაბაძის ხსოვნას*

ახლა თბილისში ისე მაგრად თოვს,
მთაწმინდა მოჰგავს ზღვაში სეინერს,
თოვლი დამალავს მალე მადათოვს
და რუსთაველზე გაისეირნებს.

ჩვენც რუსთაველზე გავისეირნოთ
(რამ დამასიზმრა წუხელ მორისი),
თოვლი მოვიდა საესენინო,
ისეთი, რიაზანმა რომ იცის.

ვინ ჩაგვიტოვა თოვლში ყვავილი,
მთებში – მტკვარი და მტკვარში – ნავები,

სკვერში პუშკინის ძეგლთან გავივლი
და გენიოსებს ვეგუნდავები.

გამოდი, მალე მოვა ზაური,
ფანტელი ირგვლივ ხაზავს ირაოს.
ერთად ავტეხოთ აურ-ზაური
და ,,ინტურისტი'' ავაყირაოთ.

რა საჭიროა ძველი არღანი,
როცა აქ არი გოგი ცაბაძე,
მისი მუსიკის ჰანგი მაღალი
ანათებს ჩვენი სულის დარბაზებს.

მე კი ქათქათა ფანტელს დავეძებ,
რომელიც ცაზე ხაზავს ირაოს,
ფანტელმაც იცის, დღეს რუსთაველზე
ილიამ უნდა ჩამოიაროს.

ახლა თბილისში ისე მაგრად თოვს,
მთაწმინდა მოჰგავს ზღვაში სეინერს,
თოვლი დამალავს მალე მადათოვს
და რუსთაველზე გაისეირნებს.

## ნოსტალგია

ბესიკის ბაღში სევდაზე მეტი ვარ,
ჩემი გულია ცეცხლგამძლე სეიფი,
მომნატრებია მტკვარზე ქეიფი,
მაგრამ სადღაა ტივი და მეტივე?!

აგერ ფიროსმანის მოხატული დუქანი,
დუქანთან – ბატკანი, ბატკანთან – კინტო,
ხანდახან ღვინო იმისთანას გიმტრობს,
მონაგონია რუქნადინის მუქარა.

აგერ საიათნოვას ძველი ჭიანური,
სადღა არიან რაინდები ყაბახის?!
აღარ მინდა სირაჯების ტრაბახი,
გამაგონე რამე ჭკვიანური.

გოლოვინზე დადის მხცოვანი აკაკი,
ქიმერიონში ქეიფობს მაიაკოვსკი,
ტიციანი მიწას ზვავივით მოსკდა,
ქართული პარნასის ახალი ზვარაკი.

ახლა იწერება ,,არტისტული ყვავილები'',
გალაკტიონმა აუშვა აფრა,
ჯერ დიდუბეში გაუჭრიან საფლავს,
ვაჟა-ფშაველას მთაწმინდის გაელვებით.

პოეტის თავი დაგორდა ღრმა ხევში,
სასტუმრო ,,ანგლეტერში'' მოკლეს ესენინი,

იქნებ გვიანია ახლა ეს წერილი,
მეგონა მკვლელი გავაბი მახეში.

არ ვიცი, მე როდის ავუშვებ ღუზას,
საით გამაქროლებს ბედის ქარავანი,
ბარათაშვილია ჩემი ფალავანი,
ეკატერინე – მეათე მუზა!

## მე თბილისს თავი ვერ შევაყვარე

ლადომ თქვა, მიყვარს ჩემი თბილისი,
,,მტკვარი მღვრიე და მტკვარი ანკარა'',
მე ვერ მოვიგე გული იმისი
და ჩემი თავი ვერ შევაყვარე.

მე ვერ დავკრიფე მწიფე ყურძენი,
არ დამაყენეს მე მის დაფასთან,
რამდენი ლექსიც თბილისს ვუძღვენი,
იმდენჯერ მომკლეს ნარიყალასთან.

მე მაინც მჯერა, არ გამიმეტებს,
იქნებ იცის და ვეღარ იგონებს,
ჩემს მეტაფორებს და ეპითეტებს
და გულის სიხლით ნაწერ სტრიქონებს.

ფიროსმანივით მიყვარს თბილისი,
რომელმაც ახლოს არ გამიკარა,
მე ვერ მოვიგე გული იმისი
და ჩემი თავი ვერ შევაყვარე.

## მეორე ნახევარი

ღვინოსავით დიდხანს უნდა შენახვა,
სიყვარული ცეცხლია და გენია,
ჩემი გულის ნახევარი შენა ხარ,
დანარჩენი ნახევარიც შენია.

შემოგევლოს ათასობით მხევალი,
ათას ლელას შენ ერთი მირჩევნიხარ,
შენ ხარ ჩემი პირველი ნახევარი
და მეორე ნახევარიც ჩემი ხარ.

ფენიქსივით აღმადგინე ხელახლა,
სად ვიხილავ შენისთანა მშვენიერს,
ნახევარი საქართველო შენა ხარ,
დანარჩენი ნახევარიც შენია.

ბედი თუა, ჯანდაბაშიც მოგნახავს,
გინდ იყავი მეტყევე, გინდ მეველე,
ოცნებაში ჩემი ლიზა მონა ხარ,
ლეგენდაში – მშვენიერი ელენე.

ჩემი გულის ნახევარი შენა ხარ,
დანარჩენი ნახევარიც შენია.
ტყვიასავით დამახალე ხელახლა
გულში შენი სიყვარულის გენია.

## სიზმარი

ოცი წლის ბიჭი ლექსებით
,,ივერიაში'' მივედი,
თუ რამეს დამიბეჭდავდნენ,
სულაც არ მქონდა იმედი.

ილიამ თავი ასწია
და შემომხედა ირიბად,
მეგონა არ მოეწონა,
თურმე ყოფილა პირიქით.

ჯერ გამიღიმა და მერე,
მარჯვენა ცერი მაჩვენა,
იმ ღიმილისთვის მიღირდა
ამ ქვეყნად ჩემი გაჩენა.

## ჟანა დ'არკი

დასრულდა ღამის თევანი,
ორლეანელო ქალწულო,
შენ ჩემი გულის მტევანი
ატენურივით დასწურე.

თანატოლები დაჩრდილე,
დრო იყო ნამაისარი,
ახლაც გულში მაქვს გაჩრილი
შენი ნატყორცნი ისარი.

მე ვერასოდეს ვერ ვნახავ
ცრემლს, შენს თვალებზე მოწოლილს,
ღრუბლიან ცაზე ელვა ხარ,
დედამიწაზე – კოცონი.

## მე და ქუთაისი

გამოვშორდი რიკოთს,
ჯავრი არ მაქვს მისი,
ერთად უნდა ვიყოთ
მე და ქუთაისი.

ერთად უნდა ვიყოთ
მე და ბაღისკიდე,
ქარი ენას გვიყოფს,
ჩვენი გადამკიდე.

მოწამეთა მიმზერს,
მიყვარს თეთრი ხიდი,
მაშინ, როცა ხიდზე
თეთრი ქალი მიდის.

სიყვარულებს ვიყოფთ,
ტრფიალი ვარ მისი,
ერთად უნდა ვიყოთ
მე და ქუთაისი.

## მეფე ერეკლეს სადილი

მეგონა იყო ადვილი
ის, რაც დღეს მოვიწადინე,
მეფე ერეკლეს სადილი,
თამარ დედოფლის ვახშამი
სულ ცხვირში ძმარად მადინე,
სადაც კი სუფრა გავშალე.

## ნოველა სიყვარულზე

ჯერ უნდა დავსვა მრავალწერტილი
და რითმას საქმე გავუადვილო,
შენ ვარსკვლავი ხარ, ცას მოწყვეტილი,
ციდან ჩემს გულში ჩამოვარდნილი.

გინდოდა თავი მეგრძნო ლომივით,
ვიდექი ღია კართან გერივით,
მე აგაშენე ბაბილონივით,
შენ დამანგრიე კართაგენივით.

და მაინც ჩემი ცა ხარ კრიალა,
ქარმა ნისლები გადაიტარა,
მოდი და სულში ამინკრიალე
შენი ლამაზი ტანის გიტარა.

და მომირჩება ყველა იარა,
კალო ხარ, ჯერაც გაულეწავი,
მოდი და სულში ამინკრიალე
შენი ლამაზი ტანის ლერწამი.

გეძახი – სკანი გოლუაფირო,
მოდი, უქრობი ცეცხლი მედება,
მოდი და გულში შემომაფრინე
შენი მკერდიდან თეთრი მტრედები.

მომაგებე და მომაალერსე
შენი ლამაზი მკერდის ჩიტები,
მე უკვე ბრმა ვარ და შენს ანკესზე
ორაგულივით გავიჩითები.

ააკამკამე თეთრი ღაწვები,
თეთრ ბალიშზე რო გაფენ დალალებს,
გახსოვდეს, როცა ქმართან დაწვები,
ჩემი სახელი გულში დამალე!

## შვიდი გენიოსი

*ოთარ ჭილაძის „გოდორზე“ მინაწერი*

აქ არც პარიზია, არც ინდონეზია,
აქ სველ სილაზე ვარდები ეყარა,
აქ პოეზია იმ დონეზეა,
თითს მოაკაკვინებს ნებისმიერ ქვეყანას.

აქ მეც პოეზიის ღამეებს ვათენებ,
მეტაფორა კევრში შევაბი კვიცივით,
შვიდი გენიოსი დაგვყურებს ქართველებს,
მერვე გენია შორიდან გვიცინის.

## ანანური

გამოვიარე დარიალი,
წინ აღიმართა ანანური,
დღე არი ისე დარიანი,
ღრუბელი ცაშია დამალული.

აგვისტოს სიცხემ გამოფიტა
თერგიც, არაგვიც, ალაზანიც,
მცხეთას მელოდება სერაფიტა,
ჩემი არმაზელი ლამაზმანი.

მგზავრთა მარაქაში გარეული,
მეგზური მახლდა ათიოდე,
თერგი არა მაქვს დალეული,
თუმცა პეტერბურგში დავდიოდი.

ვინ იყო ელენე დარიანი? –
კითხვა დამებადა ბანალური,
გამოვიარე დარიალი,
წინ აღიმართა ანანური!

## გლოგუსი

გათენდა. მიწას დაეცა ჩრდილი,
სვეტიცხოვლის და ყინწვისის ჩრდილი,
ყამარი ზღვიდან გამოდის დილით
და დევებს სული უჭირავთ კბილით.

არც მე გახლავარ ჯაბანი სულაც,
ზღაპარში მეც მყავს ჩემი ნიკორა,
ვუყურებ ჩემი პლანეტის სურათს,
თითქოს მინდორში ბურთი მიგორავს.

## დეკემბერი

თეთრი ნაბდები მოისხეს მთებმა,
მე ამ მთებს ახლაც იმედად ვყავარ,
ადამი ზის და ბუხართან თბება
და ევა იქვე უდუღებს ყავას.

მიიწევს კვამლი მაღლა და მაღლა,
უჩინარდება ცაში ნისლივით
და ხეობაში, მდინარის გაღმა,
დეკემბრის ცივი ქარი სისინებს.

## დეპეშა

მოვდივარ შენთან ყოვლის მომცველი,
როგორც დილა და მარდი იორი,
შენი ოცნების, შენი კოცნების
და სიყვარულის მაროდიორი.

მოვდივარ, მომაქვს ირმის ნაწველი,
მოვდივარ შენზე უხმოდ მლოცველი,
შენი თოვლივით თეთრი ღაწვების
მზის სხივებივით ამომკოცნელი.

### მწვერვალები და უფსკრულები

საინფორმაციო სამსახურმა გვაცნობა, ჰიმალაის დასაპყრობად ამსვლელ ალპინისტთა 27% კვდება (სიმაღლე რვა ათას მეტრზე მეტია), ამჯერად, თერთმეტი ალპინისტი ჩამოსვლისას დაიღუპაო.

ჰიმალაი, ევერესტი... მათ დასაპყრობად სიცოცხლეს სწირავენ გაბედული, ჟინიანი, მიზანსწრაფული, შინაგანი სიძლიერით გამორჩეული მამაკაცები...

ისინი, უდავოდ, გმირები არიან.

მაგრამ, ვინ იცის, რამსიმაღლეა ის მწვერვალები, რომლის დასალაშქრავად მიიწევს სული, რა ძალა და ძალისხმევაა საჭირო მის აღსაძრავად და სამიზნე წერტილების დასასმელად?!.

ადამიანებს ხელ-ფეხ-შეუდგამ-მიუკარებლისადმი ფიზიკური წვდომის სურვილი უჩნდებათ, ირჯებიან ოცნების ასასრულებლად და მათ თან მიყვება ახლობელთა და გადამღებ ჯგუფთა უწყვეტი ამალა; თანაუგრძნობენ, ამხნევებენ, ლოცავენ და ულოცავენ...

შენ კი, ქალბატონო, თუკი სულიერი წვდომის ლტოლვა გაგჩენია, შენს ნაკვალევს მხოლოდ შენი სულის ძალის ტოლფარდი ვინმე თუ გამოყვება, ისიც შენი ნებართვით, თორემ ისე, იქ, უკომპასოდ და უკოორდინატოდ აჭრილს, ვერვინ გიპოვის; რომელ მწვერვალს, სულიერ-სახელდებულს თუ ჯერეთ უსახელოს, გადაუქროლებ, სად ჩამოჯდები, საითკენ აიღებ გეზს, აბა, ვინ იცის; დაიღლები, ძალიან დაიღლები და ეს არავის ეცოდინება, უბრალოდ, გული გეტკინება და თვალებზე ცრემლები გადმოგეკიდება, რომ აქ დიდ გმირობას არ გაპატიებენ და სამაგალითოდ დაგსჯიან!

ჩუ, არც კი თქვა, იქიდან რა იხილე, რა განიცადე; დაე, ჩათვალონ, რომ აქ ხარ და სულაც არ გიოცნებია, ჩვეულებრივი, ფიზიკური მწვერვალების კი არა, ფიზიკური უფსკრულების დაპყრობის დღეა — ჭურჭელს რეცხავ, საჭმელს ამზადებ, ათას რიარიაში ურევ გასანთლულ ხელებს და იცი, დაღლილს, მაინც გისაყვედურებენ, რომ „რაღაც“ ვერ მოასწარი. მერე დაიძინებ და ხვალ იგივე განმეორდება.

*იმ სიმაღლეზე ასულს,*
*ხელები რაკი აქ გაქვს,*
*დაგევალება, კარგო,*
*მარგალიტების ასხმა...*

ჰო, ცრემლის მარგალიტების...

### უცნაური გრაცია

***ვიტყოდი: "მე შენ შემოგიარე!"***

გინახავთ ალბათ სიგრძეზე ჩაჭრილი თევზი; ბავშვები ხშირად მის საყრდენ-მამოძრავებელ ძვლოვან სისტემას ნაძვის ხეს ადარებენ ხოლმე. კენწერო თევზის თავს უერთდება, ფესვები – მის ბოლოს, წიწვები კი, ფხები რომ ჰქვიათ, სიმეტრიულადაა დამწკრივებული მთავარი ღერძის აქეთ-იქით. სანამ თევზი ცოცხალია, ეს ნიშნავს, რომ ყველაფერი წესრიგში აქვს, მისი ყოველი ხრტილოვანი ნაწილი უწყვეტად მოძრაობს (და, რა თქმა უნდა, დიადი ფარფლების შემწეობითაც), და-ცუ-რავს.

საქანელა რაღაც საყრდენზე ორივე ბოლოთია ჩამოკიდებული.

საკმარისია, ე.წ ხერხემლის საყრდენი თავი ან ბოლო "მოვხსნათ", ვეღარც თევზი შეძლებს ცურვას და საქანელაც აღარ იქნება საქანელა.

ეს ძალიან უბრალო მაგალითები იმიტომ მოვიხმე, რომ დამენახვებინა, ამ ვითომ უბრალოებაში რაოდენი კანონზომიერებაა ჩადებული.

თევზი სულიერი არსება იყო, საქანელა – უსულო. მაგრამ თვით სული, ადამიანის სული, თავისი სიმძიმის, სიმსუბუქის, განვრცობის, ელფერის, — ანუ, საბოლოოდ, თავისი პირადი შესაძლებლობების მიხედვით, ზუსტად ჰპოვებს თავის საყრდენ წერტილებს. აქედან ერთი – ჩვენშია, მეორე კი, ყოველგვარი ცნობიერის და არაცნობიერის ერთობლივი არჩევანის მიხედვით, ჩვენს გარეთ. ჩვენი სულის უუფაქიზესი, უჩინარი „ხერხემალი" თავის სტიქიაში – კოსმოსის ოკეანეში უწყვეტ ვიბრაციაში იმყოფება და ქმნის ცოცხალ ველს. ჩ ვ ე ნ მუდამ ა ქ ვართ, სადაა სულის საყრდენი მეორე ნაწილი? მისი ნებისმიერი, არამარტო მნიშვნელოვანი, უმნიშვნელო გადაადგილებითაც დიდად იცვლება ადამიანური განზომილებები, სულის ფორმის და მოძრაობის გადმოცემის გამომსახველობები. ამაზე ალბათ იშვიათნი ფიქრობენ. მე კი მუდამ ამ მეორე წერტილს დავეძებდი... ძალიან, ძალიან, ძალიან შორს ნავედი, ბედნიერ დაღლილობაში. არც ვიცი, რა ვთქვა – იქ უჩინარ „კაუჭს" ვეძებდი, საყრდენს, სავანეს სულის ხსნისთვის და... და რომ ვერ ვპოვე, უსასრულობაში რომ არ ჩავნთქმულიყავი, უზარმაზარი მტკივნეული ნახტომით ჩემს თავშივე მოვადინე... მეგონა ტყაპანი, მაგრამ, როგორც სიზმარში ხდება ხოლმე, იქაც რაღაც ფრთები გამომეშალა და ფრთხილად, ფრთხილად შევუერთდი ჩემსავე საწყისს.

აი, აქ უკვე აღარც თევზია თევზი, აღარც საქანელა – საქანელა. რაღაც სხვაგვარი სასრულებაა...

### ხმაც ბერდება?

ტელეფონი. ეს ბავშვის ხმაა, ეს — მოზარდის, ეს — მოხუცებულის, ეს — ქალისაა, ეს — კაცის... ამათგან ზოგი ახალი ნაცნობია, ზოგი – ძველი; ანუ მეც „დავძველდი“ და მახსოვს, ამ ადამიანს ადრე, ახალგაზრდობაში, თუ ბავშვობაში ცოტა სხვანაირი ხმა ჰქონდა. ხმა თითქოს ასაკის შესაბამის მუხტს ატარებს და გასცემს.

არც მეტი და არც ნაკლები, მივხვდი, ადამიანთან ერთად ხმაც ბერდება თურმე, მასაც უჩნდება დაქანცულობა, ბზარები, ნაოჭები, მუქი ლაქები.

მაგრამ... მაგრამ ჩემი მახვილი სმენა გამოყოფს ადამიანთა კატეგორიას, რომელთა ხმას ასაკი არ ცვლის, გესმის ზოგიერთებისგან მარადიული ბავშვის ხმა, მისი შინაგანი, დაუბერებელი სულის ხმა.

ხედავ, აქ უკვე სული ვახსენე. ესე იგი მოხუცებულებს, სხეულის გარდა, სულიც უბებრუხუნავდებათ და ხმაც აქედან გამოიჟონება.

ტელეფონი. გესმის ხმები. ვერაფერს შეცვლი.

### სიმახინჯესთან წილნაყარი მშვენიერება ანუ სიცილის მოსაცდელი

აჰ, მივხვდი, ერთი რომ მეუბნება, რა ლამაზი ხარო, მეორე კი — რას გავხარ, ნეტა შენი თავი დაგანახვაო, — არც ერთია მართალი... მათი თვალების სარკეებიდან მათივე შინაგანი ხედვა გამოსჭვივის და ამას ადასტურებენ.

ერთს თვალებში ისეთი სარკეები აქვს, რომელიც ადამიანს ალამაზებს, მეორეს კი — რომელიც ამახინჯებს და ალბათ არც ერთის დამსახურებაა და არც მეორის დანაშაული, რომ ისეთი თვალები აქვთ, როგორიც აქვთ.

აქ მე მესამე ვარ, რომელიც სინამდვილეში ალბათ სულაც სხვა ვარ და მათ შორის ჩამდგარი, უბრალოდ, ვიღიმები.

### სათამაშო სიყვარული

სიყვარული არის სათამაშო — სხვადასხვანაირი ხარისხის, განკუთვნილი სხვადასხვა ასაკისა და შინაგანი მოთხოვნილებების მქონე ბავშვებისთვის. ის, თავისთავად, ჩვენგან დამოუკიდებლად არსებულია და მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის — რომელიღაც ჩვენთვის შერჩეული, გამორჩეული, შემთხვევით ნაჩუქარი თუ ნაპოვნი, ანუ საბოლოოდ, ჩვენთვის ღვთისგან განკუთვნილი, ჩვენი სათამაშო გახდება და ჩვენ მივუჩენთ მას თავის კონკრეტულ თუ აბსტრაქტულ ადგილს ჩვენს პირად — შინაგან თუ გარეგან სამყაროში, მაშინ ის, როგორც უკვე ჩ ვ ე ნ ი სათამაშო, ჩვენს გამლამაზებელ, გამხარებელ, რეალიზებული ოცნებების ორგანულ ნაწილად იქცევა და ამდენად მას — უკვე როგორც გაცოცხლებულ სათამაშოს — სიყვარულს, ენიჭება თავისი — ჩვენეული, თუმცა ხან განზოგადების ნიშნის მატარებელი, ღირსება, ფუნქცია.

ამიტომაა ძალიან ძნელი ასატანი მგრძნობიარე ბავშვებისათვის, როცა საყვარელ სათამაშოს უტეხავენ, უფუჭებენ ან უკანვე სტაცებენ. მათ შეიძლება მთელი ცხოვრება იდარდონ, იტირონ კიდეც ძვირფასი სათამაშოს დაკარგვის გამო და სამუდამოდ ახსოვდეთ თავიანთი სიყვარული იმ კონკრეტული სათამაშოსადმი — სიყვარულისადმი.

### მე—ლოტი ანუ რატომ მელოტდებიან მამაკაცები?

ინფორმაციის გაცვლა ადამიანსა და კოსმოსს შორის რაკი თავის — ტვინის მიდამოებში ხორციელდება, აღმოჩნდა რომ მამაკაცებს აქტიური უნარი აქვთ ამ მიმოცვლითი მოძრაობისა, თმები კი ხელს უშლის ინფორმაციის მიღება-გაცემას... როგორც იმ ბილიკზე, რომელზეც მუდმივად დადიან, მიწა იტკეპნება, კრიალდება და ბალახები ვეღარ ამოდიან, ზუსტად ასეა მამაკაცების და ზოგიერთი ქალის შემთხვევაში.

ქალები უფრო მეტად გულებიდან (გულის, ხელის, ფეხის და ა.შ. გულებიდან) ღებულობენ და გასცემენ ინფორმაციას და, ამდენად, გონების — ტვინის მიმდებარე ტერიტორიაზეც არ უჭირთ თმების ხარება.

მამაკაცები, რა თქმა უნდა თუკი იციან, თავებს იპოხავენ აბუსალათინის მაგიური ზეთით, რომ თმები ისევ ამოუვიდეთ, მაგრამ მაინც ვერსად წაუვლენ ბუნების კანონს მათზედა მოვლენილს.

### *ნახევარხუმრობა*

მეტროში თავზე ვადგავარ კაცს, რომელსაც საწყალი „გოგრა“ რაღაცისთვის გაუკრავს და შეხორცებული დანაფხაჭნებით დაქსელილი მელოტი თავი გეოგრაფიულ რუკას მიუგავს.

ვიფიქრე: „აი რა ცუდია სიმელოტე, ვეღარანაირ ნაკლს დამალავ, თუ, რა თქმა უნდა, ქუდს არ დაიფარებ-მეთქი“.

### ფარდოგითი ფარდები

რამდენ ფარჩეულს ვაფარებთ ფანჯრებზე: „არავინ დაგვინახოს!“

მამა უცხონდეთ, თორემ უფარდოდ გვხედავენ!

### კუჭში გული

ბავშვი მეკითხება:

— თუ იცი, რომელ ქვეწარმავალს აქვს კუჭში გული?

— კაცს. — ვპასუხობ ნახევრადხუმრობით.

— ჩვენ ქვეწარმავალზე გეკითხებოდით, — ისე მიბღვერის კაცი, მიდასტურებს, რომ ჩემი პასუხი ზუსტია.

### გული შინ და გული გარეთ

ზოგი მცენარე გულით ფასობს (გული იჭმევა და იმიტომ), ზოგი — კანით, ზოგი — გულის გარეთ რაცაა, იმით.

კარტოფილს „გულები“ კანზე უჩნდება, თანაც სიბერისას.

იქნებ ზოგი ადამიანიც ასეა?

### ოგიანები

„ურთიერთობა“ თავის თავში ანუ გარკვეული ერთეულების ქმედით მიმართებაში, როგორც ჩანს, სადღაც, ფუძეში „ობსაც“ ატარებს, როგორც ბუნებრივ ანტიბიოტიკს — დამცავს და, ან თუ საჭიროა, ყოველივეს გამომფშვნეტავ — გამანადგურებელ საშუალებასაც.

### ძვირფასი გამცილებელი

ისე ვარ, თითქოს მთელი გუნდი მერცხლებისა ჩემს თავში დაფრინავს, გადაფრენის საიდუმლოს მამცნობს.

შორს, აფრიკაში უნდა გადაფრინდნენ. გზად ბევრი ბრძოლა გადახდებათ, მრავალ დაბრკოლებას, წინააღმდეგობას შეეეყრებიან; მერცხლებს კი არა აქვთ გამკლავების ძალა; ისინი თავიანთი პიროვნული, სათნო მისიით შთაგონებული სიცოცხლით არიან სავსენი, სიცივეს ვერ იტანენ და იძულებულნი არიან გადაფრინდნენ იქ, სადაც თბილა. ყვავები, ჩვენში მაინც და მაინც დიდი სიმპათიით რომ ვერ სარგებლობენ, მერცხლებს ვაჟკაცურად წინ მიუძღვებიან და ყოველგვარი ფათერაკისაგან იხსნიან, მიაცილებენ მყუდრო, თბილ ადგილამდე და უკან ბრუნდებიან დაგლეჯილ-დასისხლიანებულნი... ძვირფასი, ჭკვიანი ყვავები...

ამ სამშვიდობომდე გაცილებაზე დავფიქრდი... ამ უცნაურ მეგზურობაზე...

სადაა შენი სამშვიდობო, ვის ძალუძს მხნედ, მამაცურად შეასრულოს ეს უცნაური მისია... როგორ, რანაირად ხორციელდება აქ არჩევანი? ჰაა, მერცხლებო, ყვავებო?..

ყველა მარტოა და ვინ იცის, იქნებ ყოველგვარი ურთიერთობა სწორედ სამშვიდობომდე მიმოცილებას ემსახურება ისე, ვისაც როგორ და რამდენადაც შეუძლია და, უპირველესი, აქ იმის განსაზღვრაა — სადაა შენი კუთვნილი სამშვიდობო, გაქვს კი? წარმოგიდგენია? გჭირდება? რისთვის? ამ გზაზე უამრავი კითხვა დაგებადება, რომელთა შორის ყველაზე რთულსაც კი უმარტივესი პასუხი შეესაბამება, რომელიც თუ იცი, ისედაც იცი, და თუ არ იცი, არც არასოდეს გეცოდინება! მორჩა!

**თამარ გაბროშვილი**

# ქრიზთას ქრიზოლითები

### ორმაგი სიცოცხლე

ხელში გჭერია ჩიტი? რა თბილია, ფაფუკურ—ღინღლოვანი ბუმბული აქვს მკერდზე, მუცელზე; ფრთებქვეშ კი — გაიშვიათებული ღინღლი, ფრთების ძირებთან — ურბილესი, უნაზესი, სიფრიფანა, ვარდისფერი კანი; წვრილ წვივებს თითებზე ძალუმად გიჭერს, თითქოს ეშინია, სადმე არ გადავარდეს; გული ისე გამალებით უცემს, მისი ვიბრაცია შენშიც გაივლის.

გული, მისი საოცარი გული ორჯერ უფრო სწრაფად სცემს; უცნაურ ფილტვებზე კი საჰაერო (საფრენი) უამრავი ბუშტი ჰკიდია, რომლებიც ფრთების ჰაერში აწევისთანავე იხსნება და ჰაერით ივსება. ამოსუნთქვისას ჰაერის ნაწილი შედის ფილტვებში, ნაწილი კი საჰაერო ტომსიკებს ავსებს; ჩასუნთქვისას ფილტვებიდან ჰაერი გადადის გულში, სისხლში, მთელ ორგანიზმში სასიცოცხლო რეაქციების საწარმოებლად და ამავდროულად, ტომსიკებში დაგროვილი ჰაერი ფილტვებს მიეწოდება.

ესეიგი ჩასუნთქვისასაც კი ჩიტის ფილტვები ახალი ჰაერით ივსება, მისი ფილტვები მუდამ ჰაერითაა სავსე და ასე, ორმაგად სუნთქავს და იცით რატომ? მას ფრენისათვის 43 გრადუსი ტემპერატურა სჭირდება, სხვანაირად ავსება, გახსნა, სხვანაირი — ორმაგი სიცოცხლე...

ასე უმწეოს, მუჭში მომწყვდეულს მკერდზე ან ყელზე, ყურისძირთან მიიხუტებ და იგრძნობ, რამხელა ძალას და სწრაფვას მალავს ეს ცეროდენა სიცოცხლე — ფრთებს გაუჩერებლად აფართხალებს, მუჭს ოდნავ გაშლი თუ არა, გაგისხლტება და შორს, შორს, მაღლა, თავისი სტიქიისკენ გაგიფრინდება!

ნეტავი რატომ გვიტოვებს ხოლმე იგივეობრივ განცდას ჩვენთვის ძვირფას ადამიანთან თვალისდახამხამებაში მოსწრებული ყოფნა?

### თვითმზომი

რა საყვარელი ვინმეები არიან ფრინველები, როცა ისინი მინაზე დასკუპსკუპებენ ან დადიან, თავებს სასაცილოდ — წინ და უკან ამოძრავებენ.

ტრანსპორტით მივდიოდი და ტროტუარზე ქვეითად მოსიარულეთა უკონტროლოდ ჩამოშვებული სხეულის ნაწილის — ხელების ქნევას ვაკვირდებოდი. ღიმილის მომგვრელად გამოიყურებოდა უწყვეტად მიმომსვლელ ხელისმქნეველთა ნაკადი... ზუსტად ჩვენი ქათმები და აივნის მოაჯირზე პურის ნამცეცების ასაკენკად მოკუნკულე, უნებლიედთავისქნევია ჩიტები გამახსენდნენ.

ვფიქრობ, რაც მეტია ადამინის ტვინის სიმსუბუქე, მით მეტია სიარულისას მათი ხელის ქნევის ამპლიტუდა.

* * *

ჩვენ, ადამიანებს, ჩვენჩვენ საბინადროებში ჩვენეული წესრიგი გვაქვს. რა დიდად ვირჯებით საამისოდ და რამდენ დროს ვხარჯავთ „ვითომ წესრიგის“ დასამყარებლად?! სინამდვილეში კი, სამყარო თავადვე ამყარებს „დიად წესრიგს“, რომელსაც ადამიანურ წესრიგთან იმდენადვე აქვს კავშირი, რამდენადაც აბსოლუტურ ქაოსთან.

### გულის თვალები

ადამიანთა უმეტესი ნაწილი, რასაც მხედველობით აღიქვამს თავის ირგვლივმყოფობაში, ცდილობს გარკვეულ წესრიგს დაუქვემდებაროს. ალაგებს პირად ნივთებს, სახლს, ეზოს და ა. შ. ყველაფერს, რასთანაც უშუალო შეხება აქვს.

ზოგიერთი ზედმიწევნით, უმაღლეს დონეზე ახერხებს ამას, ისე, რომ გაგიკვირდება კიდეც. ამაში, თავისთავად, ცუდი არაფერია., სანიმუშოა დამწკრიალებლობა. მაგრამ თუ ადამიანის შიდა სამყაროში შევიხედავთ, იქ რამდენადაა დალაგებული ყველაფერი, უმალვე შევამჩნევთ. იმასაც შევნიშნავთ, ზოგიერთს, თავისი გარე სამყარო შეძლებისდაგვარად, შესანიშნავად რომ მოუწყვია, შიდა სამყაროს დალაგების მცდელობა არც კი ჰქონია, რამეთუ, ვერც კი გაუგია მისი არსებობა.

რა ბედნიერებაა, მოხვდე ადამიანთან, რომლის სულიერ სამყაროს გულის თვალს შემოავლებ და გასაოცარ წესრიგს შეიგრძნობ, ღვთიურობამდე გაინდივიდუალურებულს. რელიგია, გარკვეულწილად, ადამიანის შინა ბუნების მოწესრიგებას

ემსახურება, მაგრამ ვინ რამდენად ახერხებს ამას, სადამდე მიუწვდება უჩინარქმედითი ხელები, ალბათ, ძირითადად, დამოკიდებულია ადამიანის თანდაყოლილ, საწყის სუბსტანციურ მონაცემებზე.

ხელოვნება შინა წესრიგის ხარისხის გამოვლენის საშუალებაა. აქ ნაკლი და ღირსება ვერ იმალება. მიმღებიც თავისივე ბუნების შესაბამის წესრიგსა თუ უწესრიგობაში შესვლით გრძნობს თავს კარგად. ამიტომაა განსხვავებული დამოკიდებულებები ყველასა და ყველაფერს შორის. ამიტომაა ძნელიც, რთულიც და საინტერესოც ცხოვრება...

მაგრამ... ბევრი გაჭირვებული ადამიანია, ბევრი დაბნეული, უკომპასო...

დამუხტული ნაწილაკები მიმართულ მოძრაობას რომ იწყებენ დენის გავლისას, აი ასე, ადამიანებსაც სჭირდებათ ძილიდან, ქაოსიდან გამოხსნა და გულის თვალების ახელა, მიმართვა უხილავი ხილულობისადმი...



### მეხუთე სტიქია

ბედნიერებას ნაკლებად აინტერესებს ოფიციოზი. ის მოდის ან არ მოდის. არც ხალიჩების დაფენა და ამქვეყნიური ნებართვანი შემოადგმევინებს ფეხს და ვერც ფეხშიშველს და შეუმოსავს დაუშლი შემოსვლას შენს საამისოდ მოუმზადებელი, ამკრძალავი ნიშნებით ავსებულ გარემოცვაში. ის არავის და არაფერს დაგიდევს, რადგან იცის რას ემსახურება! და, აი, ესაა მთავარი!

### თარგმნილი სამყარო

იცით რატომ არის ძნელი ნაწარმოების გადათარგმნა? ყველა ენას სააზროვნო სივრცის თავისებური გრაცია აქვს. ერთსა და იმავე საკითხზე, მოვლენაზე სიღრმისეული წვდომა, თავად ენის სპეციფიკიდან და შესაძლებლობიდან გამომდინარე, აუცილებლად სხვადასხვანაირი იქნება. ერთ ენაზე სანიმუშოდ გადმოცემული აზრი, იმდენად მასშტაბური შეიძლება იყოს თავისი თანმდევი გარემოცულობით, რომ ვერცერთი ენის სარბიელზე განთავსდეს ჯანსაღად, დაუზიანებლად. ხშირად, უიშვიათესი გამონაკლისის გარდა, თარგმანი ორიგინალისაგან „გამოყვანილი“ ხეიბარია — პლასტიკური ოპერაციის შედეგი, რომელიც ბუნებრივ მონაცემებს იმდენად „გადააკეთებს“, მის შემხედვარეს გულიღა გაგისკდება. უნდა დაჯდე და იფიქრო, იმკითხაო: — ეს ალბათ თავიდან „ასეთი“ იქნებოდა — ამ „ასეთში“ კი,... ღმერთმა იცის, ვინ რას წარმოიდგენს... მოიაზრებს...

### ტანკა, ჰაიკუ...

***ლექსები სისხლის წვეთებიდან სიტყვებად ამოვლენილი, სულის მემკვიდრეობითი ნიშან-თვისებების მატარებელი პირმშოებია.***

ტანკა, ჰაიკუ მიუხედავად თავისი მოკლე ფორმისა, უსასრულო აზრის თითქმის დამოუკიდებელი, სრულფასოვანი ნაწყვეტია, უგრძესი მძივის ერთერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილი, მაგალითად ის რგოლი, რომელზედაც გულქანდაა ჩამოკიდებული, ანდა, საუკეთესო შემთხვევაში, თავადაა ძვირფასი თვლებით მოოჭვილი გულქანდა. მავანნი ვერ აცნობიერებენ ამას, იღებენ ნებისმიერ რგოლს და ამბობენ, ესაა ო ტანკა. არა, ბატონო, ამისთვის ხომ გარჯაც არ ღირს.

ვგრძნობ ხოლმე, როცა საღექსო გონების თითებში ვატარებ რგოლებს, როგორ ვუახლოვდები იმ ცენტრალურ რგოლს, თანდათან როგორ აღვფრთოვანდები, რომ აი ახლა, საცაა „იქ“ ვიქნები... მე ვუცდი იმ წამს, როცა გულქანდას თვალისმომჭრელი სხივი, მთელი ძალმოსილებით გაკრთება ჩემში; მე მას აუცილებლად ვიცნობ და ვაფიქსირებ.

ხშირად, უმეტესად, როცა ვკითხულობ ქართულად თარგმნილი ტანკების და ჰაიკუების ნიმუშებს, შემაძრწუნებს ხოლმე ხელყოფილი მშვენიერების შეგრძნება. ვხვდები და მწამს, იაპონელები ამას ასე კი არა, ამას საერთოდ არ დაწერდნენ.

### ხელწერა — ბედისწერა

ბაღში გავიარე. აქა-იქა, ხანაც მიყოლებით — ახლო-მახლო, შემხვდა ამოფრქვეული, მუშტისტოლა მიწის გროვები (ხან დევკაცის მუშტისტოლებიც). იმ წუთშივე მივხვდი, ეს თხუნელას ნამოქმედარი იყო.

აგერ ლამზე დატოვებული ზიგზაგისებური, ჯაჭვის მსგავსი ნაფეხურები, შუაში კუდისაგან გავლებული ღრმა ნაკვალევით — ეს, აშკარად, ძველი რაინდის — წავის ბარათებია...

ბევრი ცხოველი ვერ დაიკვეხნის გამორჩეული, ნიშანდობლივი „ხელწერით“.

ცხოველი?

ადამიანი?

— რომლის ხელწერა ინდივიდუალურია, არავისას ჰგავს...

ერთსაც და მეორესაც (ვგულისხმობ, ამ შემთხვევაში, თხუნელას და წავს), რაც აქვთ, მათთვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. რატომღაც, ორივე ისეთია, ორმაგ გარემოში უწევს არსებობა. თხუნელას — უკუნეთში და სინათლეზე, წავს — წყალსა და ხმელეთზე.

ეს დუალიზმი, ემოციურ ფონზე, ქმნის მათ განუმეორებელ ხელწერას.

უთუოდ, ადამიანებშიც ასე იქნება...

ბუნება წესებს არსად, არასოდეს არღვევს!

### ფრთხილად მწერალთან!

მწერალი სინამდვილეში არის აბსტრაქციული ობობა, რომელიც თავის ქსელში აბამს არა მარტო ცალკეულ ინდივიდებს, არამედ სრულიად სამყაროს და თან, ვითომც არაფერი, აგრძელებს თავის ჩვეულებრივ, და ასე არაჩვეულებრივ, ცხოვრებას.

კარგად რომ აცნობიერებდნენ მავანნი მწერლის შესაძლებლობებს, აღბათ უფრო მეტ მორიდებას, მოწიწებას და პატივისცემას გამოხატავდნენ მის მიმართ. არა მხოლოდ იმიტომ, რომ მისი ქსელის რომელიმე კვანძში სამუდამო გამობმას და დატყვევებას გადაურჩებოდნენ — დაფიქრდებოდნენ საკუთარ პერსონაზე, მის დანიშნულებაზე და ოდნავ მაინც შეეცდებოდნენ, ყოფილიყვნენ უფრო კეთილშობილნი... რამეთუ, არავის უყვარს სარკეში საკუთარი მახინჯი, დაჯღანული სახის დანახვა... მით უმეტეს, რომ მწერლის სარკიდან, სხეულთან ერთად მათი სულიც შესანიშნავად ირეკვლება.

მოკლედ, ფრთხილად! მწერალთან!

* * *

აბსურდიზმი — მისაღები ფორმაა ხელოვნებაში, ოღონდ მას შემდეგ, რაც მის მიღმიურ ჭვრეტაში არსებობს, ჩანს სინამდვილის, რეალობის ხატება. ხილულიდან უხილავ დიაპაზონში გადასვლა, (ცნობიერად თუ არა, ქვეცნობიერად მაინც), უკუპროცესსაც უნდა გულისხმობდეს.

აბსურდი, როგორც სინამდვილის ზეშეგრძნება და არა როგორც უარყოფა!

ვითომ გასაიდუმლოებული, მაგრამ ხელოვნების ნიმუშში მაინც გამჟღავნებული მოტივით — უმეცრებით დაკნინებული აბსურდი, სამ-წუ-ხა-როდ, ხელმოცარულ ხელოვანთა ერთგული თანამგზავრია. ასეთი შემოქმედები კარგად ახერხებენ, თავგზა დაუბნიონ საზოგადოების სულიერად მოუმწიფებელ ნაწილს, ერთმანეთში აურიონ ყველაფერი, რისი არევაც კი მოუხერხდებათ და „საზეიმო“ ფონზე, თავიანთი, როგორც შემოქმედის, ნათლობა შეთხზან!

თუმცა ამით აბსურდს, როგორც ხელოვნების ერთერთ უმაღლეს ფორმას, არაფერი აკლდება, რამეთუ, ის ძალიან ჰგავს ჭეშმარიტებას!

* * *

ლიტერატურა, რომელიც გამოიცემა, მაგრამ არასოდეს არავინ კითხულობს, მკვდრადშობილი ლიტერატურაა. ლიტერატურა, რომელიც იქმნება და არასოდეს ძველდება, ადამიანის ასაკის შესაბამისად იზრდება, მუდმივად კვებავს მკითხველს და აგრძელებს მასში ცხოვრებას, ცოცხალმშობიარე ლიტერატურაა. ხოლო ის, რაც მათ შორისაა, არის და არც არის, როგორც ხელოვნური დანამატი, რამდენადმე ცვლის ბუნებრივი — მაღალი ღირებულების საკვებს და ადამიანი შიმშილით აღარ კვდება, გათვლილია მასების გასართობად. ასეთ ადამიანებს მუცელი სავსე აქვთ, მაგრამ მუდამ შიათ.

### სიყვარულის თავშესაფარი

რაც უნდა საოცარი იყოს, თუმცა ამაში რა უნდა იყოს საოცარი, ყველას და ყველაფერს თავისი დედა ჰყავს: მაწონსაც, ყველსაც, ძმარსაც კი — თავზე რომ აქვს მოგდებული აპკი, ისაა მისი დედა — მეც მყავს, შენც. მოკლედ, უდედოდ არაფერი ჩნდება (მიწაც კი).

ეს კი იმას ნიშნავს, რომ სიყვარულსაც ჰყავს თავისი დედა.

რა ბედნიერია, რა ლაღი, სიხარულიანი, მადლიანი ის სიყვარული, რომელსაც კარგი დედა ჰყავს, ნამდვილი მშობელი... ასეთ სიყვარულს ბევრი ლამაზი სასწაულის მოხდენა შეუძლია.

მაგრამ არსებობს ისეთი სიყვარული, რომელსაც ხან ჩანასახშივე, ხან შობისთანავე, ხანაც უსუსურს მიატოვებენ, ან სულაც, კლავენ. თუ მოკლეს, ეს ტრაგედიაა, მაგრამ ერთხელ და სამუდამოდ გადასატანი, მაგრამ ცოცხალი თუ დატოვეს, უპატრონოდ მიაგდეს, მაშინ... თავდაპირველად, სანამ ჯერ კიდევ პატარა ეთქმის, ვერ აცნობიერებს, რომ უპატრონოა, მაგრამ მოდის დრო და ხვდება, რომ მარტოა, სრულიად მარტო. არ ჰყავს ის, ვისაც მკერდზე თავს მიაყრდნობდა, ვისი სუნთქვითაც იხარებდა და ფრთებს გაშლიდა. დაუნდობელი, სასტიკი ცხოვრების წინაშე აღმოჩენილი ათას რამეს იგონებს, ხავსს ეჭიდება, რომ გადარჩეს თავად და კიდევ რაღაც გადაარჩინოს, რაც მას ებმის...

უფლის თვალი ყველაფერს ხედავს და ყოველ სიყვარულს ისეთ დედას დაანათლავს, რომელსაც იმსახურებს.

რა გაეწყობა... გადაჭედილია უპატრონო სიყვარულების თავშესაფარი...

### გადმოცვენილი

სატვირთო მანქანა თავის გზაზე მიდიოდა. კომბოსტოს მთა მოეგდო ზურგზე, რომელიც ისე მაღლა იყო აზიდული, ოღრო-ჩოღროებში ტანში ვულკანი რომ დაუვლიდა ხოლმე, კომბოსტოები აქეთ-იქით სცვიოდა. ამ გზაზე მოხვედრილი, ტრანსპორტით მიმავალი მგზავრი თუ ფეხით მოსიარულე, ვისაც კომბოსტო სჭირდებოდა, იღებდა, გულზე იხუტებდა და თან მიქონდა.

— რა კარგიაო, —ყველა ამბობდა.

განა ადამიანებიც ასე არ ვართ? ვინც რითი ვართ გადავსებულები, ის გვცვივა და შეჭირვებულნი, სათავისოს ირჩევენ. ზოგს რა სცვივა და ზოგს რა: ღიმილი, სათნოება, მადლი, სიყვარული, სიკეთე, ბოროტება, ლანძღვა, გინება, სიძულვილი და ა. შ. აბა, რას ჩამოვთვლი, ყველაფერი უხვად ცვივა ირგვლივ...

შენ, შენ რა გცვივა?

ან

რას ეძებ და პოულობ უნებლიე, მაგრამ საჭირო შემთხვევითობების წყალობით? გზად შემოყრილი კომბოსტოსავით?

### მომკვდროების მზე

საშინელ განწყობილებაში რამდენიმედღიანი მომყუდროების შემდეგ, გულის გადასაყოლებლად და ტვირთის ჩამოსახსნელად, რაღაც — სულერთია საქმეზე გარეთ გავედი; ქუჩაში გაბოდიალებული, ზედმიწევნით კარგად შევიგრძნობდი როგორ დადიოდნენ, მოძრაობდნენ ცოცხალი მკვდრები.

არემარეს ზუსტად ჩემფერი მზე ანათებდა. ეს არ იყო მზის ჩვეულებრივი ნათება, ნათება ცოცხალი არსებებისთვის, არც მკვდრის მზე იყო, კვერცხის გულში განზავებული და მაგიური სიყვითლით შეპყრობილი, ეს ცოცხალი მკვდრების მზე იყო, თითქოსდა ჩემი თანაგრძნობისთვის აუტანელ, არაბუნებრივ ფერად მოქცეული.

ასეთი ყოფნა ჩვენ არ გვჩვეოდა. აშკარად გვიჭირდა.

ის კი, ვინც ვერც ამჩნევდა ფერთა გამის ცვლილებას, ან ამ ცვალების ღვთაებრივ მიზეზს, ხისტი, გულგრილი ბედნიერებით აღსავსე, მშვიდად დაიარებოდა ფერგანურჩეველ მზისქვეშეთში.

### რადიაქტიული... ადამიანი

***{თავისთავად გამოსხივებას რადიაქტივობა ეწოდება}***

გენეალოგიური შტო (ცალკეულ გვარს რომ „თავისი“ აქვს), იქნებ სხვა არაფერია, თუ არა ამა თუ იმ სახის ელემენტის რადიაქტიულ გარდაქმნათა თანმიმდევრული ჯაჭვი?

ხომ დადგენილია, რომ ადამიანები სხვადასხვა ფერის სინათლეს ასხივებენ, გარკვეულ რადიუსზე განფენილი თავიანთი აურა აქვთ, ე. ი. ადამიანი რადიაქტიული ელემენტია და ზუსტად ეთანადება ბუნებაში მიმდინარე კანონზომიერ ცვალებადობას, რადიაქტიული დაშლა-აწყობის კანონს.

***{იზოტოპები კლონები არიან}***

იქნებ ისევე, როგორც ატომების ცხოვრებაში:

„რადიაქტიული ატომები არ ბერდებიან“, გარკვეული დროის შემდეგ ნებისმიერი ატომური ბირთვის დაშლა არის არა „სიკვდილი სიბერის გამო“, არამედ „უბედური შემთხვევა“ მის სიცოცხლეში — ადამიანთა ცხოვრებაშიც ასეა? და როგორც მათთვის, ჩვენთვისაც არ არსებობს ე. წ. ხნოვანების ცნება? ამავე კანონის თანახმად, არ შეგვიძლია შემდგომი დაბადებისა თუ სიკვდილის წინასწარმეტყველება? ერთი წამისა და მილიონი წლის სიცოცხლე გარდაქმნათა კანონს ერთნაირად ექვემდებარება...

და კიდევ:

ადამიანები, აშკარად (თუმცა უჩინრად), სხვადასხვა სიგრძის ტალღებს ასხივებენ: 1) ვისაც აქვს ოპტიკური დიაპაზონის ტალღების (ინფრაწითელი, ხილული, ულტრაიისფერი) მსგავსი ტალღები — ტალღის სიგრძე დიდი და ენერგეტიკა დაბალი, — მხოლოდ რეალურ სამყაროს ხედავენ და შეიმეცნებენ. ესენი უბრალო, ჩვეულებრივი ადამიანები არიან. 2) ვისაც აქვს მცირე და უმცირესი სიგრძის ტალღების (რენტგენის სხივები, გამა-სხივები) მსგავსი ტალღები, მაღალი ენერგეტიკით ხასიათდებიან, შეუძლიათ გაუმჭვირ სხეულებში შეაღწიონ, გაუმჭვირვალე ნივთიერებები მათთვის გამჭვირვალეა, სამყარო მათთვის ლამაზი დიფრაქციული სურათია, რომელიც იშიფრება და უწმინდესად ჩანს ატომურ-მოლეკულური სივრცითი სტრუქტურები... ატომბირთვული, შიდა ატომგულური გარდაქმნების შედეგად მიღებული მოკლეტალღიანი გამა სხივების და რენტგენის სხივების მსგავსი სხივების წყალობით, ადამიანი ხდება ზე-ადამიანი — დიდი ადამიანი, წმინდა ხელოვანი, წმინდანი, წინასწარმეტყველი, მესია...

სწორედ, იმისდა მიხედვით, თუ როგორი ბუნების სხივებს „შობს“ და ამდენად, „ფლობს“ ადამიანი, მისი ნაშემოქმედარი არის სხვადასხვა სახის და ხარისხისა: წმინდა-კრისტალური, ნატიფი, შიგ-დანახული, ესთეტიკური და ა. შ ან ყველაფერი პირიქით.

***პოეზია, როგორც სულის განაყოფი***

იქნებ:

ქალი როცა შობს შვილებს, განიყოფა, — რადიაქტიულ დაშლას განიცდის? — ეს, ნაწილობრივ, ფიზიკურად ასახული რადიაქტივობის სახეა, მაგრამ შეიძლება, უკვე სქესის მიუხედავად, მოხდეს სულიერი განყოფა, გნებავთ, ძველის ახლით შენაცვლება, გამრავლება, ამაღლება, გაბრწყინება... ეს ***სულიერი რადიაციაა.*** ხელოვანთა ყოველი ნამუშევარი (ლიტერატურული თუ მუსიკალური ნაწარმოები, ნახატი, ქანდაკება...) იქნებ მათი რადიაქტიული დაშლის პროდუქტებია? — ყოველს სათითაოდ თავისი ბედიღბალი რომ აქვს, ინდივიდუალური და გა-ნუ-სა-ზღვრე-ლი?

მაგრამ:

როგორია ჩვენი აქტივობის კოეფიციენტი, რა ახდენს მასზე ზეგავლენას?

თუკი ჯერ კიდევ მშვიდ ძილ-ღვიძილში ვართ, ე. ი. ***„ჩვენი დრო“*** ჯერ არ მოსულა...

რამდენს უთქვამს, რაღაცის გამო, თითქოს ხელახლა დავიბადეო... ყველა სასიკვდილო და სასიცოცხლო დიადი შეჯახება, რადიაქტიული დაშლის წყარო ხდება და იწვევს ჩვენს გარდაქმნას უჩვეულო ნათების თანხლებით.

თუმცა, თუმცა... ამ ყველაფერს, რაზეც ახლა ვსაუბრობ, ვერ ვხედავთ და არც ჩემი ჰიპოთეზების დამტკიცებისთვის საჭირო აპარატურა არსებობს, მაგრამ იმედი მაქვს, ჩატარდება სათანადო კვლევები და დრო გვიჩვენებს, რომ ***ადამიანი ყველაზე რთული, საინტერესო და სა-ში-ში რადიაქტიული ელემენტია!***

ემზარ კვიტაიშვილი

# დიდი ტკივილი დამრჩა

ასაკით ჩემზე უფროსი ქართველი მწერლებიდან ცოტასთან თუ მქონია ისეთი ახლო, თითქმის ყოველდღიური მეგობრული ურთიერთობა, როგორიც ფრიდონ ხალვაშთან და, ადვილი წარმოსადგენია, რა მძიმე განცდა დამეუფლებოდა, როდესაც ამ ზაფხულს, მოულოდნელად, მის გარდაცვალებას შევიტყობდი. მწუხარების მეტი რა მინახავს, მაგრამ მიჭირს სიტყვიერად გადმოცემა, რამდენად დამთრგუნველად იმოქმედა ჩემზე ფრიდონის ამქვეყნიდან წასვლამ.

ყველამ იცის, რუსთაველის თეატრში გამართული დაბადების ოთხმოცდახუთი წლის აღსანიშნავი საზეიმო საღამო, ამ წლის 17 მაისს, როგორ გადაექცა მას გლოვად, როცა სცენაზე, მისალმების დროს, ფრიდონის სიყრმის მეგობარი, მთელი საქართველოსთვის საყვარელი პოეტი მუხრან მაჭავარიანი, დარბაზში მყოფთა თვალწინ, უეცრად მოიცელა, სიტყვა შუაზე გაუწყდა.

იმ საბედისწერო შემთხვევის შემდეგ, გაოგნებული, ელდანაცემი ფრიდონი საგრძნობლად შეიცვალა, ფეხზე დადგომა უჭირდა, მაგრამ ასე მალე თუ გამოეთხოვებოდა სამზეოს, არაფრით არ მეგონა. სანამ თბილისში იყო, დილა-საღამოს ველაპარაკებოდი მკურნალობის თაობაზე. რამდენიმე ექიმს გაესინჯა. თვითონაც და ოჯახის წევრებმაც გადაწყვიტეს, თურქეთის კარგად აღჭურვილ კლინიკაში, ერთი იქაური ქართველი მედიკოსის მეურვეობით ემკურნალა. მაგრამ, ჩვენდა სავალალოდ, საზღვარგარეთ სასწრაფოდ წაყვანას სასურველი შედეგი არ მოჰყოლია, იქედან დაბრუნებული, მშობლიურ ბათუმში გარდაიცვალა. გული ცუდს მიგრძნობდა, რადგან მისი მობილური ტელეფონი, რომელზედაც დავურეკე, ავისმომასწავლებლად დუმდა.

ფრიდონ ხალვაშზე უამრავი რამ შემიძლია გავიხსენო. ამჟამად მხოლოდ ზოგიერთ ეპიზოდს დავჯერდები. განსაკუთრებით მას მერე დავახლოვდით, როცა მის სათაყვანებელ ნათლიას, გიორგი ლეონიძეს 1966 წლის გაზაფხულზე ერთად წავყევით პატარძეულსა და საგარეჯოში, სადაც იქაურებმა უკანასკნელი შეხვედრა მოუწყვეს მთელი საქართველოს საამაყო შვილს.

სიამოვნებით ვიგონებ იმ დროს, როდესაც ფრიდონის ძალზე მნიშვნელოვანი წიგნების — პოეტური კრებულის — „სამყურების“ — და მემუარების — „ომრის“ — რედაქტორი ვიყავი. ორივე მათგანს ჩემი წერილები ერთვის. „სამყურებისთვის“ ფრიდონის საუცხოო გრაფიკული პორტრეტი შექმნა ჩვენმა გენიალურმა მხატვარმა ზურაბ ნიჟარაძემ, ხოლო „ომრი“ ასევე მიმზიდველად გააფორმა მისმა ქალიშვილმა მზია ხალვაშმა, რომლის მეტად თავისებურ მხატვრობაზე, კარგა ხანია, აზრის გამოთქმას ვაპირებ.

კმაყოფილებით მინდა აღვნიშნო, რომ თავისი ცხოვრების შემაჯამებელი ამ საუკეთესო წიგნის — „ომრის“ — დასაწერად, ჩემს უფროს მეგობარს, როცა ჩანაფიქრი გამაცნო, მუდამ ვამხნევებდი და მხარში ვედექი და ფრიდონმაც სულ ერთ წელინადში გაართვა თავი ძნელ ამოცანას. პირველ წიგნში ბევრი რამ არის ხატოვნად, ცოცხლად მოთხრობილი. არაერთ საქვეყნოდ ცნობილ პიროვნებას ვხედავთ ახლებურად, სხვა კუთხით, ვისაც თავისი ხანგრძლივი, შინაარსიანი ცხოვრების მანძილზე შეხვედრია ფრიდონ ხალვაში. დაუვიწყარია 1951 წლის დეკემბერში, ბათუმში, გალაკტიონ ტაბიძესთან გამართული შეხვედრის გახსენება. ფრიდონ ხალვაშს უნდა ვუმადლოდეთ, გალაკტიონის მიერ ფანტასტიურად წაკითხული „მთაწმინდის მთვარე“ უნაკლოდ რომ არის ჩაწერილი და საქართველოს რადიოს ოქროს ფონდს ამშვენებს.

ფასდაუდებელია ფრიდონ ხალვაშის მონდომება და ამაგი თურქეთში მცხოვრებ ქართველებთან (ჩვენებურებთან) ურთიერთობის დამყარების საქმეში. „ომრის“ უაღრესად საინტერესო, გასაოცარი ექსპრესიით დაწერილი თავები ბოროტი მტრის ხელით ვერაგულად მოკლული მხურვალე მამულიშვილის, ახმედ მელაშვილის (ფრიდონი მას „დიდ ჩვენებურს“ უწოდებს) ხსოვნას ეძღვნება. ქართველი მწერლების ჯგუფთან ერთად, 1969 წელს თურქეთში ჩასულ ფრიდონ ხალვაშს თავგადაკლული მაპინძელი პირველი შეხვედრისთანავე გაენდო (გულმა გული იცნო) და მალულად გადასცა ნამდვილი განძი — მეჩვიდმეტე საუკუნის გურჯისტანში ოსმანთა ბატონობის დავთრები, მიკროფილმებად გადაღებული, „საკერავი ძაფით გამოკოჭილი გორგვალი“, რომელიც სტუმარს ლაბადის ჯიბეში ძლივს ჩაეტია (თბილისში დაბრუნებულს ისტორიკოს ამირან ცამციშვილისთვის უნდა გადაეცა). ეს ორმხრივი და თანაც უდიდესი რისკის ფასად მოხდა. შეიძლებოდა ორივენი მაშინვე შეწირვოდნენ ამ ამბავს. სიმწრით ჩამოტანილი მიკროფილმების მეცნიერულად დამუშავებული ერთი ნაწილი ახლახან ვეებერთელა წიგნად გამოიცა. მასში თბილისისა და დედაქალაქთან ახლომდებარე სოფლების მოსახლეობაა აღნუსხული.

უაღრესად დრამატული, ამაღელვებელია „ომრის“ პირველი წიგნის ერთი ეპიზოდი, როდესაც ბურსაში ჩასული ფრიდონი იქაურებს მანქანიდან აკვირდება და ქუჩის ორომტრიალში სიარულზე შეიცნობს მაღალ, მხრებში მოხრილ, ხელჯოხიან ხნიერ ქალს, მამიდამისს, „ასიე-ბიბის“ (მანამდე ახმედ მელაშვილის მეშვეობით სასტუმროდან მას ბარათი გაუგზავნა, თურქეთში ჩასვლა ამცნო) და ტაქსიდან გადმოხტება. შეხვედრისას, „ასიე-ბიბი“ აჭარულ კილოზე მოუქცევს კითხვას და იოლი წარმოსადგენია, რა დაემართებოდა იმ დროს მის მაძებარ ძმისწულს.

იქ მყოფი ახმედ მელაშვილი, უცხო თვალთაგან გასარიდებლად, ფრიდონსა და მის მოხუც მამიდას თავისთან წაიყვანს (გზად ნაცნობ ფოტოგრაფთან სურათსაც გადაუღებს) და ესოდენ ამაღელვებელი შეხვედრის შემდეგ იწერება ფრიდონ ხალვაშის ერთ-ერთი უბრწყინვალესი ლექსი „მემლექეთი“ (მემლექეთს" იქაურები დედა-საქართველოს ეძახიან), ბურსაში ნანახი მამიდის პირით წარმოთქმული ელვარე, ცეცხლოვანი სტრიქონები, ორივე მხარის ქართველებმა ასე რომ გაითავისეს და ზეპირად იციან.

როდესაც ხსენებულ საიუბილეო საღამოზე მივედით, ჩვენი ძვირფასი ფრიდონი რუსთაველის თეატრის ფოიეში შემოგვეგება და ქართველი მწერლების ერთ ჯგუფთან სურათის გადაღება ისურვა. ფოტოსურათი, რომელიც მისთვის ერთ-ერთი უკანასკნელი აღმოჩნდა და რომლის ნახვაც მან ვერ მოასწრო, გადმომცა ჩვენმა ნიჭიერმა ფოტოხელოვანმა და ჟურნალისტმა, ყველა ჩვენგანის მეგობარმა, ქართული ფეხბურთის სწორუპოვარმა მემატიანემ დემიკო ლოლაძემ, ვინაც იმ საღამოს, როცა დაგვინახა, შესძახა: ასეთი მომენტის ხელიდან გაშვება არ შეიძლებაო, დაგვამწკრივა და ჩვენი იმჟამად მშვიდი, ბედნიერი სახეები (რა ვიცოდით, ცოტა ხანში როგორი შემაძრწუნებელი კატასტროფის მხილველნი გავხდებოდით) ფირზე მისებური ოსტატობით აღბეჭდა.

იუბილარმა წინა დღეს მითხრა – მე ყველას ვერ ჩამოვუვლი, რესტორან „ქალაქურში“ დიდი სუფრა იქნება გაშლილი საღამოს დამთავრების შემდეგ და ვისაც შენ საჭიროდ ჩათვლი, რომ იმ სუფრაზე ყოფნა ერგება, ყველა დამიპატიჟეო, მაგრამ ყველაფერი ისე ამოტრიალდა, თავი დაგვავიწყდა. ამაზე ქვემოთ კიდევ ვიტყვი.

***

ფრიდონის ყმაწვილური ხალისი და დაუდგრომლობა მუდამ მანცვიფრებდა. სულ გზაში იყო. ორ კვირას აჭარაში, ბათუმსა და გეგელიძეებში რომ იტრიალებდა, მერე თბილისში ბრუნდებოდა და თავისი ვაჟის, ძალზე ნიჭიერი კინორეჟისორის ზაზა ხალვაშის ბინაში მუშაობდა ხოლმე, თამარაშვილის ქუჩაზე, ჰიპოდრომის მახლობლად, შვიდსართულიანი სახლის განაპირა, პირველი სადარბაზოს ბოლო სართულზე. ლიფტი ძველია, რკინისკარიანი, უხეშსახელურიანი, ფიცრის იატაკი დანჯღრეული, მოყანყალებულია, თუმცა საიმედო, იშვიათად გიმტყუნებს – თუჯის ტლანქ ყუთში ათთეთრიანს ყოველ ჯერზე თუ ჩააგდებ, მშვიდობიანად აგიყვანს და ჩამოგიყვანს შელანძღული კაბინა. არა მგონია, აწი იმ ლიფტში ჩაჯდომა და კარის ყრუ მიჯახუნება დამჭირდეს.

ჩამოსვლისთანავე (მეტწილად ბათუმიდან წამოსულ, პრესის გამავრცელებელ სამარშრუტო ავტობუსს მოჰყვებოდა) დამირეკავდა, აქ ვარ და დღესვე ჩემთან მოდიო. ნაშუადღევს მივაკითხავდი. ზარის ხმაზე, პატარა ჰოლში გაღიმებული, ხელებგაშლილი შემეგებებოდა. — მოხვედი? — შემეკითხებოდა და დიდი ხნის უნახავივით გულში ჩამიკრავდა, შუშაბანდისკენ გამიძღვებოდა.

მერე მეტყოდა — შენ რომ გაგიხარდება ისეთი, გადასარევი ნედლი ლობიო დაგახვედრე. აქაურები ვერ ამზადებთ გემრიელად, არ იცით, რომ მწვანე ლობიოს შაშკვლავი — თეთრი რეჰანი — და კიდევ სხვა მწვანილებიც ჭირდება, გაგასინჯებ და მადლობას მეტყვი, კუთხის მაღაზიიდან გერმანული სოსისი და ლუდი ამოვიტანე, ჩემი დაწურული ღვინოც შემიძლია დაგალევინო! — ამ სიტყვებით სავარძელში დამსვამდა. ტახტზე მუდამ ელაგა ახალი ჟურნალ-გაზეთები, წიგნები. კედლები ფრანგი მხატვრების სასიამოვნო რეპროდუქციებით და შვილთაშვილთა ფოტოებით ჰქონდა მოფენილი. მართლაც ყველაფერი შნოიანად გამოსდიოდა, იშვიათი გემოვნებით, ზომიერებით იცოდა სადილის შეკმაზვა. ჯამში მისი ხელით ჩათლილი, ძმარმოსხმული სალათიც სულ სხვა გემოსი და სურნელის იყო, მკვდარს გააცოცხლებდა. დალოცვაც, დღეგრძელობაც მადლიანი იცოდა.

მოზრდილ, შავყდიან რვეულს გაშლიდა, ახალ ლექსებს წამიკითხავდა. ოთხმოცს გადაშორებულ პოეტს სიახლის გრძნობა ოდნავადაც არ ჰქონდა მოდუნებული. თუ რომელიმე ფრაზა ან სტრიქონი მეხამუშებოდა, მოინიშნავდა, დავფიქრდები, რომ უკეთესით შევცვალოო და ასედაც ხდებოდა. არასოდეს დაზარებია ტექსტზე მუშაობა, დაწერილის გაუმჯობესება, სრულყოფა. ტყუილად როდი დაწერა ივანე ამირხანაშვილმა: „ეს არის ადამიანი, რომელიც მუდმივად იწყებს რაღაც ახალს, მოულოდნელს, მნიშვნელოვანს“. იმ „ახალს, მოულოდნელს, მნიშვნელოვანს“, ლექსად თუ პროზად დაწერილს, როცა თბილისიდან სასწრაფოდ მოუწევდა წასვლა, სხვადასხვა რედაქციებში მე მატანდა, მიმიხედე და თვალი მიადევნეო.

ადრეულ გაზაფხულზე ჩემთან მოვიდა, ვერაზე. ცხადია, მისებურად ვერ გავუმასპინძლდებოდი. ვისადილეთ, ცოტა ღვინოც დავლიეთ. ვერ იყო მთლად კარგ გუნებაზე — გული რაღაც უსიამოვნოს მეუბნება, მაგრამ ჩემი დაბადების ოთხმოცდახუთი წლისთავის აღნიშვნა წლეულს თბილისში მომიხდება — ნამეტანი მოინდომა დედაქალაქის მერიამ, რუსთაველის თეატრს მითმობენ, ჩვენებიც, ბათუმელებიც მაძალებენ და არ ვიცი, როგორ მოვიქცეო. დავამშვიდე, ყველაფერი კარგად იქნება, შენი გაწვალების გარეშე, მე სცენაზე გამოსასვლელად არ ვვარგივარ, შენ რომ გეკადრება, ისეთ წერილს გიძღვნი-მეთქი. შენი შეწუხება არ დამჭირდება, გამომსვლელები ბლომად იქნებიანო, გაეღიმა. ჩემმა მეუღლემ უთხრა — დიდი იუბილეების დროს ადამიანებს მღელვარება უწევთ, ახალგაზრდულად კი გამოიყურებით, მაგრამ მაინც ასაკოვანი ბრძანდებით, ემოციები მოგეძალებათ და თუ გუმანიც რაიმე არასასურველს განიშნებთ, იქნებ ჯობდეს, ასეთი ხალხმრავალი საღამო აირიდოთო. თავი გადააქნია, ყველაფერი დაგეგმეს და ახლა უარის თქმა უხერხულიაო.

აპრილის ბოლოს მითხრა — ბევრს არავის ვეპატიჟები, მაგრამ მუხრან მაჭავარიანისთვის რომ არ დამერეკა, არ შემეძლო, მასთან ახალგაზრდობიდანვე ძალიან ახლოს ვიყავი. თბილისში ჩამოსვლისთანავე, სასტუმრო „რუსთავში“ დაბინავებული, დავურეკავდი და მომაკითხავდა, გვერდით, მყუდრო სარდაფში ჩავდიოდით, თიხის ღრმა ჯამებით ჩანახს მოვატანინებდი, სხვა რაღაცეებსაც მივამატებდით. ლიტრიანი, საამო დასალევი კახური ღვინო წინ გვედგა. რაღაზე არ ვლაპარაკობდით, ერთმანეთს გულს ვუხსნიდით.

ახლაც, საღამოზე როცა დაეპატიჟნა, ეთქვა, თუ ჯანმრთელად გრძნობ თავს და დროს გამოძებნი, მოდიო. იმას უყოყმანოდ ეპასუხნა — უსათუოდ მოვალ, შენისთანა კაცს, ვისგანაც იმდენი სიკეთე და ყურადღება მახსოვს, როგორ დავზარდებიო. ვიცოდით, სამი წლის წინ გულის ურთულესი ოპერაცია გადაიტანა (მახსოვს, კონსტანტინე ლორთქიფანიძის შვილიშვილი, ლევანი, ჩინებული ექიმი და პიროვნება ამბობდა — მუხრანს გული ძალიან ცუდად აქვს და ოპერაციამდე მომაგრება, შემზადება დაჭირდებაო). მაშინ ყველაფერმა სასიკეთოდ ჩაიარა, გამოკეთებული, ჩვეულებისამებრ, ვაკის პარკში სეირნობდა, მაგრამ ძველი ჯანი ვეღარ აღიდგინა და ამან იმ საბედისწერო საღამოზე იჩინა თავი.

***

თურქეთში სამკურნალოდ გამგზავრების წინ, მე და ჩემს მეუღლეს გვითხრა — იქაურ საავადმყოფოში ერთ კვირაზე მეტს არ გავჩერდები. მერე ჩემს სოფელში ვენახს გავპორწკლავ, ყანასაც მივხედავ და თბილისში ჩამოვალო. არ ეწერა ამ სურვილს ასრულება. მის საიუბილეო საღამოზე მუხრან მაჭავარიანის დაღუპვისას საშინელი სტრესი განიცადა, ადენომის ჯირკვალი სწრაფად გაღიზიანებულიყო და საბოლოოდ იმან იმსხვერპლა. თურქეთში ეთქვათ ჭირისუფლებისთვის — ჩვენი ვარაუდით სამ თვეს იცოცხლებსო, მაგრამ იქედან წამოყვანილი, ბათუმშივე აღესრულა ერთ კვირაში. არ ეღირსა თავისი უსაყვარლესი სოფლის მონახულება. მეუღლის საფლავზე თვალის შევლება.

უწმინდესისა და უნეტარესის, მისი ძველი მეგობრისა და მომნათვლელის, მთელი საქართველოს დიდებული მღვდელთმთავრის ილია მეორის ღვთიური ნებით, მთელი ერისგან დატირებული, იგი ბათუმის საკათედრო ტაძრის ეზოში განსაკუთრებული პატივით დაკრძალეს, რაც თავისი სამაგალითო შემოქმედებით, უანგარო მოღვაწეობითა და კაცური კაცობით დაიმსახურა.

***

ფრიდონის შემართება რომ ვიცი, იგი უკანასკნელ ამოსუნთქვამდე არ დაკარგავდა გონებას და წარმომიდგენია, როგორ უძნელდებოდა მშობლიურ გარემოსთან, ზღვასთან და ცასთან, ახლობლებთან, საქართველოსთან სამუდამო გამომშვიდობება, დატოვება მამულისა, რომლის უკეთესი მომავლისათვის თავი ჰქონდა გადადებული, სადაც ყოველ ხესა თუ ყვავილს ეფერებოდა, ალალ, ამღერებულ ლექსებად ამოჰქონდა გულში დაუტევნელი სიყვარული.

მასავით უშურველი კაციც იშვიათად შემხვედრია. ყველას წარმატება ახარებდა და როცა რამეს კარგს, საყურადღებოთ წაიკითხავდა, ხმამაღლა გამოსთქვამდა აღტაცებას. ცნობილია, რაოდენ ყურადღებას აქცევდა იგი ჯერ სიცოცხლეში და მერე, გარდაცვალების შემდგომაც მასავით აჭარის მკვიდრს, „ტაო-კლარჯეთის ბოკვერს“, დიდად ნიჭიერ ზურაბ გორგილაძეს, ვისი მგზნებარე ტემპერამენტი და ქართული ენის, სიტყვისადმი არტისტული დამოკიდებულება აღაფრთოვანებდა, რაც არაერთხელ გამოხატა.

რამდენიმე თვის წინ კონკურსის შედეგად, თბილისში გამოცემული ახალგაზრდა ქართველი პოეტების ლექსთა კრებული მაჩვენა, თავიდან ბოლომდე წაეკითხა. იმ კონკურსში პირველი ადგილი აჭარელ ყმაწვილს, გვარად ვგონებ აბუსერიძეს დაეკავებინა და ამის გამო ფრიდონს სიხარულისგან თვალები უბრწყინავდა. თავის საუკეთესო ლექსში ის ჭაბუკი მრავალი შვილის დამბადებელ აჭარელ დედას მოხდენილად, ყალბი პათეტიკის გარეშე ასხამდა ხოტბას და ფრიდონმა მითხრა, ამ ბიჭის ზრდას, დაოსტატებას უთუოდ თვალი უნდა ვადევნოთო.

ზემოთ აღვნიშნე, როგორ ეხერხებოდა ფრიდონს გემრიელი კერძების დამზადება და ამ დროს ახლობელთა ვიწრო წრის შემოკრება. მის ბინაში თითქმის ყოველდღე იყო სიყრმის მეგობარი, ფრიდონისავე თანატოლი სერგო მანჯგალაძე, რომელიც ახალგაზრდობისას, ბათუმში გაიცნო და მერე მთელი ცხოვრება ერთად გაატარეს; სად არ გადახდენიათ სასიამოვნოდ მოსაგონებელი თავგადასავლები, ზღვასა თუ ხმელეთზე. ფრიდონმა გამაცნო ქართლელი კაცი, საუცხოო პიროვნება, ექიმი ჯანო ვალიშვილი (რესპუბლიკურ საავადმყოფოში მუშაობს), რომელიც, თუკი საჭირო იყო, მუდამ ნახულობდა ფრიდონს და მის ჯანმრთელობაზე ზრუნავდა.

***

ცოტა რამ მინდა ვთქვა ფრიდონ ხალვაშის ლექსების ბოლო, მცირე რჩეულზე, რომელიც დიდი გულისხმიერებით შეუდგენია ჩვენს შესანიშნავ ლიტერატორს ივანე ამირხანაშვილს (კრებულს ერთვის მისივე მშვენიერი წინასიტყვა „მისიონერი“). წიგნის სახელწოდება „ბენდი“, რაღა თქმა უნდა, სიმბოლურია; ამ სათაურის ლექსს ავტორისეული განმარტება მოსდევს: „ბენდი ჩვენში იმ სათავეს ჰქვია, საიდანაც სასმელსარწყავი წყალი ნაწილდება“. პოეტი არ მა-

ლავს სანუკვარ წადილს. რომ ასეთ წმინდა წყაროდ წარმოიდგინოს თავი და ამის უფლებას მას მთელი მისი კაცურად გატარებული ცხოვრება აძლევს; მთავარ მიზნად დაუსახავს, გვალვისგან დახეთქილ მიწას და სასომიხდილ მწყურვალსაც „მარჩენალი წყალი“ მიაწოდოს.

სიმბოლურად ჟღერს ისიც, რომ კრებულის ერთ-ერთი ლექსი („მთა არსიანი“) ეძღვნება მუხრან მაჭავარიანს, ვისთანაც ფრიდონ ხალვაშს თავიდანვე უანგარო სიყვარული და ძმობა აკავშირებდა. ხსენებული ლექსი მომხდარ ტრაგედიამდე რამდენიმე თვით ადრეა დაწერილი, თარიღად 2010 წელი უზის, მასში იმედის სხივი გამოკრთის და პოეტის უკანასკნელ ვედრებად ხმიანდება:

*ღმერთო, ჰქენ უკეთობა,*
*ჩვენი ქვეყნის ერთობა.*
*მუხრან, მარად ენთოს აქ*
*ქართულ სიტყვის ღმერთობა.*
*შენი მამულეთობა,*
*ჩემი მემლექეთობა.*

ისეთი შეგრძნება გვიჩნდება, რომ ისინი ხელიხელგადახვეულები გაემართნენ ზეციურ საქართველოში, რათა იქედან უდარაჯონ ქართული სიტყვის სიწმინდეს და ჩვენი სამშობლოს მთლიანობის აღდგენაზე იღვაწონ.

2008 წლის შემოდგომაზე ფრიდონმა, გულითად მეგზურთან ერთად, ნაბიჯ-ნაბიჯ მოიარა ტაო-კლარჯეთი და ამ დაუვიწყარმა მოგზაურობამ სიხარულთან ერთად ღრმა სევდაც მოჰგვარა. მას ახსოვდა თავისი დიდი ნათლიის გიორგი ლეონიძის გულნაკლულობა, უნახავი რომ დარჩა თურქებისგან მიტაცებული საქართველო („ისე დავბერდი, ვეღარ ვნახე ტბეთი, შატბერდი...“) და შთამბეჭდავი ციკლის ერთ ლექსში თავისებურად ეხმიანება სახელოვან წინამორბედს:

*როცა დავბერდი,*
*ვინახულე ტბეთი, შატბერდი.*
*ხანძთა ჩონჩხია,*
*ბანა წვანა...*
*ფეხზე — არც ერთი.*

ფრიდონთან ერთად ბევრჯერ ვსტუმრებივარ გიორგი ლეონიძის შვილიშვილს, საქვეყნოდ ცნობილ ისტორიკოსს გოგი ქავთარაძეს და მის ძალზე კეთილ მეუღლეს მარინე ყუჯიაშვილს. ისინი კვლავ ელოდებოდნენ ფრიდონს, რათა მისთვის თურქეთის ქართულ დასახლებებში გადაღებული უაღრესად საინტერესო კინო-მასალა ეჩვენებინათ, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველაფერი უკუღმა შეტრიალდა.

ვინც ფრიდონს იცნობდა, დაინახავდა, როგორი ახალგაზრდული ცეცხლი უღვიოდა თვალებში, სიბერეს ქედს არ უხრიდა. ამ ახალგაზრდულმა, ზღვარდაუდებელმა გზნებამ გამოახატვინა ჭეშმარიტი პოეზიით გასხივოსნებული მართალი განცდა, რასაც ასე უხდება შესაშური უბრალოება, სისადავე:

*მე და იმ ჩემ სიყმაწვილეს*
*მოგვეწონა ერთმანეთი,*
*სიყმაწვილე მიმაცილებს,*
*სიყმაწვილეს შევაბერდი.*

ფრიდონ ხალვაშმა ბოლო ათ წელიწადში უჩვეულოდ გაამდიდრა თავისი პოეტური ოსტატობა, როცა გამოსცა მისგანვე მიგნებული ფორმის, „სამყურების“ შესანიშნავი წიგნი. ახალ წიგნშიც შეტანილია ნაწილი საუკეთესო სამყურებისა. შესავალი წერილის ავტორმა ივანე ამირხანაშვილმა მოხდენილად უწოდა მათ „აჭარული ტერცეტები“.

პოეტს რომ ბოლომდე შერჩა დაუმცხრალი მამაკაცური ვნება და ქალის მშვენიერების შეგრძნების გამორჩეული, მძაფრი უნარი, ამას თუნდაც ეს ნატიფი სამყურა გვიმხელს:

*შენი თვალები გახელილები,*
*ზღვები მგონია, იმხელებია,*
*ნეტავი იმ დროს, თვალები რომ*
*მიღელვებია.*

საყვარელ, ასაკის კვალობაზე ძალზე გონიერ შვილთაშვილს — ქეთუთას — უკითხავს თავისი დიდი პაპისათვის: „— ბაბუ, ლას ლაპარაკობენ ჩიტები?“, რასაც პასუხად ფრიდონის მყისიერი, მეტად ღრმაგონებრივი და ფორმის მხრივაც მშვენიერი სამყურა მოჰყოლია:

*მარწყვს ვინაც ამწიფებს, ქარს ვინაც*
*აქროლებს,*
*თხა-ცხვარს ვინც საძოვრად უმწვანებს*
*მთა-გორებს,*
*მან იცის, ჩიტები რას ლაპარაკობენ.*

ჩემზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა „ბენდში“ შეტანილმა მცირე უსათაურომ, რომელშიც პოეტს მიწიერი ცხოვრების დასასრული ვაჟკაცური თავშეკავებით აქვს განჭვრეტილი. ეს არ გავს წუთისოფელზე ჩვეულებრივ მოთქმა-ვაებას, სამდურავს. აქ ყველაფერი დინჯად არის გათვლილი, აწონილ-დაწონილი:

*ვიცი, ბოლოს სად მელიან,*
*ვიცი, რაც უნდა ვიცოდე,*
*რომ ჩემი მოსავლელია*
*სიკვდილის მერეც სიცოცხლე.*

ამის თქმა მხოლოდ იმ პიროვნებას შეეძლო, ვინაც უმწიკვლოდ გაიარა ცხოვრების გზა და არასოდეს შეურცხვენია თავი. ბოლოს ხშირად მეუბნებოდა — „საიმდუნიო“ ლექსები უნდა დავწეროო და ასეთ ლექსებად ისეთები ეგულებოდა, გარდაცვალების მერე რომ უჭირისუფლებდა მის სახელს.

პოეტზე საუბრისას ხშირად გვიწევს ხოლმე „წინათგრძნობის“, „წინასწარჭვრეტის“ ხსენება, რადგან ჭეშმარიტი შემოქმედები ამ უნარს ფლობენ. ამის დასტურად მესახება ხალხურ ყაიდაზე გაწყობილი ფრიდონ ხალვაშის სევდიანი ლექსი „წუხელ ვკვდებოდი“ („წუხელ მესიზმრა, ვკვდებოდი, შვილს ანდერძს ვეუბნებოდი...“), რომლის ფინალური სტროფი გვიმხელს თუ როგორ ეძნელებოდა მას სამზეოსთან გამოთხოვება:

*მტერს და მოყვარეს ვეწვოდი,*
*ტიროდა დიდიც, ბალღიცა...*
*წუხელ მესიზმრა – ვკვდებოდი,*
*სიკვდილმა გამომაღვიძა.*

ვაგლახ, რომ ეს ავბედითი სიზმარი ცუდად ახდა, ვეღარასოდეს ვიხილავთ თვალნაპერწკლიან კეთილ კაცს, ქართული სიტყვის დაუღალავ მეხოტბეს და მსახურს, მაგრამ იმდენი სითბო და სიკეთე დაგვიტოვა, სიყვარულის და ძმობის ისეთი ცეცხლი დააგზნო, ყველა ჩვენგანს სიცოცხლის ბოლომდე გვეყოფა საგზლად.

***

საქართველოში დროულად არასდროს არაფერი დაწყებულა და რაღა ფრიდონ ხალვაშის საღამო დაიწყებოდა. ხალხმა ნელ-ნელა იწყო მოგროვება დარბაზში, ხმაური ძლიერდებოდა. მრავლად იყვნენ ნაცნობები. ჯანსუღ ჩარკვიანი, ვახტანგ ჯავახაძე და მე მერვე თუ მეცხრე რიგზე ვისხედით. ჯანსუღი სულ განაპირას იყო. დავინახეთ, მუხრანი მოდიოდა, მარტოკა. ღია ყავისფერი სამოსი ეცვა. კარგ ხასიათზე მყოფს გავდა, ჩვენთან შეჩერდა, მოგვიკითხა. ჩვენც მოვიკითხეთ და ახლა არა მიშავსო, მხრები შეაქანა. ვახტანგს უთხრა, შენ სულ არ შეცვლილხარო. შევთავაზეთ, ჩვენთან დამჯდარიყო, მაგრამ ჩემები, მეუღლე და ქალიშვილი იქეთ არიან (მარცხენა ლოჟისკენ მიაბრუნა თავი), მეც მათთან უნდა ვიყოო. ცოტა ხანს იდგა, ჯანსუღი გამოელაპარაკა — ჩემს გაზეთში შენი ლექსები რომ დავბეჭდე მთელ გვერდზე, თუ წაიკითხეო. არ მინახავს და არც შენს გაზეთზე გამიგია რამეო, ალალად უთხრა. ჯანსუღი შეცბა — როგორ, „ქართული სიტყვა“ ამდენი ხანია გამოდის და შენი ლექსებიც გამორჩეულად დავბეჭდეო. ამაზე მუხრანს გაეცინა, თან ნაღველი გამოეხატა სახეზე — თავს ვიტყუებთ, ვიღას უნდა ახლა ჩვენი ლექსებიო, ხელი ჩაიქნია და გაღიმებული დაექანა სცენისკენ. ეს ნათქვამი მაშინ შეიძლებოდა ჩვეულებრივ გულგატეხილობად ჩაგვეთვალა, მაგრამ დაახლოებით ერთი საათის შემდეგ, როცა იმ საშინელების უნებლიე მოწმენი გავხდით, ყველაფერმა სხვაგვარი ელფერი შეიძინა.

შვიდი საათისთვის საღამო თითქოს კარგად დაიწყო. მოსალოდნელი უბედურება რანაირად უნდა გვეგრძნო. მშვენიერი სიტყვა წარმოსთქვა ფრიდონის ძველმა მეგობარმა, აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ, ქართული მწერლობის დიდად მოყვარულმა, ცნობილმა ფილოსოფოსმა მიხეილ მახარაძემ (სწორედ მან შეადგინა ორიოდე წლის წინ ფრიდონ ხალვაშის „100 ლექსი“, რომელსაც დიდი მოწონება ხვდა). ბატონმა მიხეილმა იუბილარს გულითადი სურვილებით გადასცა მისი თაოსნობით გამოცემული ქართული ფილოსოფიის ისტორიის ოთხტომეული. იყვნენ სხვა გამომსვლელებიც, შიგადაშიგ ფრიდონი ლაპარაკობდა და თავის ლექსებსაც გვიკითხავდა. სამწუხაროდ, ისიც თურმე უკანასკნელად მოეფერა თბილისელებს, როცა თავისი ცნობილი ლექსი („თბილისო, როცა შენთან მოვედი...“) ძველი მგზნებარებით ჩაათავა.

მალე მუხრანის გამოსვლაც გამოაცხადეს. იგი დინჯად გაემართა, რამდენიმე საფეხური აიარა (თურმე უკანასკნელად), ფრიდონს მიუახლოვდა, რაღაც გაეხუმრა, მიკროფონისკენ გაეშურა, თავის სიმაღლეს შეუფარდა. სიტყვა ჩვეული რიხით დაიწყო და მერე რაც მოხდა და როგორ მდგომარეობაში აღმოვჩნდით იქ მყოფნი, ყველამ იცის.

შეგვზარა სცენაზე სასწრაფო დახმარების მანქანის შემოსვლამ. მწვანეხალათიანი ექიმები შემოეხვივნენ გაუნძრევლად გაწოლილს. მანამდე, ყრუ ზრიალთან ერთად, ქალების შეკივლებამ გააპო ჰაერი. პოეტის მეუღლე, ქალბატონი ლამარა ბოკერია და ქალიშვილი — ნანა — უმალ სცენაზე ავარდნენ. უგონოდ მყოფს ექიმი მკერდს უზელდა. გავიგონე ნანას სასოწარკვეთილი ვედრება: „მამა, ნუ დაგვტოვებ, მამა!.. ჯერ კიდევ თბილი ხარ, მამა!..“

მივხვდით, ცუდად იყო საქმე. საშინლად დაბნეულები ვიყავით. იმ არეულობის დროს ჩემს გვერდით რეზო ჭეიშვილი იდგა, მუხრანის უახლოესი მეგობარი და ვიცოდი, რა ცეცხლიც ენთო მის გულში. რეზო, წლების განმავლობაში, მუხრანთან მუშაობდა, როცა იგი მთარგმნელობით ჟურნალს — „საუნჯეს“ — რედაქტორობდა და ვინ იცის, ახლა რა შემთხვევები აგონდებოდა. ერთ საათზე მეტ ხანს ვიდექით ასე გაოგნებულები. უცნაური კი იყო — გამახსენდა, ზაურ ბოლქვაძეს ახალგაზრდობაში როგორ უყვარდა მუხრანის ერთი ნაკლებად ცნობილი ლექსი და იგრძნობოდა, რა ძლიერი შთაბეჭდილება მოეხდინა მასზე იმ სტრიქონებს:

*ატირდებიან ბავშვებივით ლექსები ჩემი,*
*ოდეს ერთხელ და სამუდამოდ დავხუჭავ*
*თვალებს...*

სწორედ ეს შავბნელი დღე დამდგარიყო და თავბედს ვიწყევლიდით, ასეთი ტრაგედია რომ ვიხილეთ. მუხრანი სიცოცხლის, სიმწვანის ფანატიკური მოთაყვანე იყო და ამის მაგალითები უხვად არის მიმობნეული მის ხალას, უიტმენის მსგავსი სიჯანსაღით მფეთქავ პოეზიაში. რამდენადაც შეეძლო, აღსასრულზე ფიქრს ირიდებდა; ერთ ადრინდელ ლექსში სიკვდილი დაუჯერებელ ამბად, ჭორადაც კი მოიხსენია, მუდამ ლამობდა, „ხორცის სიმძიმე“ დაეძლია, მაგრამ ისიც იცოდა, მუცლით ნაშობთაგან არავის ამოუვსია „სამარე სხვისი“ და ამიტომაც თქვა: „ვიცი, წამერთმის თვალთა ჭვრეტანი...“; თუმცა უთუოდ სწამდა, სხვა ჭეშმარიტ მამულიშვილებთან ერთად, ისიც იყო „უხორცო სიცოცხლის ღირსი“.

მუხრანი (მაშინ საშუალო სკოლას ვამთავრებდი) ვერის ბაღში მისმა განუყრელმა მეგობარმა შოთა ჩანტლაძემ გამაცნო. გივი ძნელაძეც, ამ სამეულის უცვლელი წევრი, იქვე იყო. ახლა არცერთი აღარაა ცოცხალი და უნდა ვიფიქროთ, ზეციურ საქართველოში კვლავ ერთად იმყოფებიან.

შოთა, ისევე როგორც გივი, უერთგულესი ადამიანი იყო მუხრანისა; ხშირად გამოთქვამდა პირუთვნელ აზრს მის მრავალთაგან გამორჩეულ პოეზიაზე. მახსოვს, მითხრა: ერთი პატარა, სხვანაირი ლექსი აქვს მუხრანს, ძალიან ტევადი, ბევრის მთქმელი, სოფლის გარემოს აცოცხლებს (კრიტიკოსებს არავითარი ყურადღება არ მიუქცევიათ); გლეხები საკარმიდამო, ერთმანეთის მომიჯნავე მიწაზე დავობენ და ეს ისე მომჭირნედ, ოსტატურად არის წარმოსახული, მთელ პეიზაჟს ხედავ, ყველაფერი სულჩადგმულიაო და ამის დასტურად, სახეანთებულმა, ის ოთხი სტრიქონი ზეპირად წარმოსთქვა, როგორც იცოდა, ისე:

*აქ, მიწის გამო, ორი კაცი როცა პაექრობს,*
*ფეხის წვერებზე ღელის გაღმა იწევს*
*სამრეკლო;*
*ამაოდ ცდილობს ყურადღების მიპყრობას*
*იგი, —*
*არ იხედება არავინ იქით.*

მართლაც სოფლური ყოფა იგრძნობა, ის დრო, როცა ჩვენი გლეხი, ასე თუ ისე, მარჩენალ მიწასთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული და რაოდენ სავალალოა, რომ დღესდღეობით ქართველი კაცი მიწის მიმართ გაუცხოვდა. სოფელი თითქმის აღარ გვაქვს, გაუკაცრიელდა.

ღექსში ერთი ძალზე ცოცხალი, თამამი და იოლად წარმოსადგენი სურათია — „ფეხის წვერებზე შემდგარი“, „ღელის გაღმა“ გაღანდული სამრეკლო „ამაოდ ცდილობს ყურადღების მიპყრობას“, რადგან ხალხში, მიზეზთა გამო, ღვთის რწმენა შერყეულია.

ამასთანავე, პოეტს კარგად ახსოვდა ბიბლიური შეგონებაც (მიწა ხარ და მიწადვე მიიქცევი). სხვა ღექსს, სადაც ზოგ-ზოგთა გაუმართლებელ ქედმაღლობას აბიაბრუებს, მისი სალოცავი საბას იმავე სიბრძნით ნასაზრდოები გამკიცხავი სიტყვები წაუმძღვარა:

*რას წარბ მაღლობ, ჰოი კაცო?*
*რასა ზვაობ, ჰოი მიწაო?*
*დაიმზირე ქვე, ფერხთა შენთა,*
*რომელსა ზედა მდგომარე ხარ*
*და სტკეპნი!*
*იგი ხარ და მისგან გამოსრული!*

მუხრან მაჭავარიანი მუდამ მიყურადებული იყო სამშობლოს მაჯისცემას და სხვებზე ადრე შეამჩნია საქართველოს არაერთ კუთხეში „გუგულის კვერცხების“ შემაშფოთებელი მომრავლება, „გუგულის კვერცხი“ მშობლიური ნიადაგიდან ჩვენი ამოძირკვის ავბედით სიმბოლოდ იქცა. პოეტმა განგაშის ზარი მძლავრად შემოჰკრა, მაგრამ საქართველოში ცოტა ვინმე ზრუნავს ერის გადარჩენაზე, გამრავლებაზე და ეს მწარე გაფრთხილებაც გაფრთხილებად დარჩა. ხოლო ამ უპატიებელი უზრუნველობის, ბედოვლათობის შედეგად რაც მოვიმკეთ, ბრმაც კი ხედავს.



მუხრანი, როგორც იტყვიან, „მოწამლული ქართველი“ იყო. ერთხელ მითხრა — ჩემს შვილიშვილზე, ვანო მაჭავარიანზე ძვირფასი და საყვარელი არსება, ჩემთვის, დედამიწაზე არავინ დადის, მაგრამ თუ საქართველოს რამე ეშველება, იმასაც კი გავწირავო. ამას რომ მეუბნებოდა, ისეთი გამოხედვა ჰქონდა, შეუძლებელი იყო, არ დაგეჯერებინა.

მუხრანთან ერთად სუფრაზე მრავალჯერ ვმჯდარვარ და ვიწრო წრეში მუდამ თამადად ირჩევდნენ, საუკეთესო, მისებური სადღეგრძელოების თქმა იცოდა. ერთხელ ცხონებული ელგუჯა მაღრაძე ადღეგრძელა, პირიანი, ვაჟკაცი კაცი. ასე უთხრა: ადამიანი, შუახანს რომ მიატანს, მას მერე უფრო ისე უნდა ცხოვრობდეს, თითქოს საფლავში იწვეს და ყველაფერს იქედან აკვირდებოდეს. მაშინ დასანანი შეცდომები ნაკლებად მოუვა და ცოდვებსაც ნაკლებს აიკიდებსო. მერე სადღეგრძელოს ადრესატს თვალებში ჩახედა (ეს აზრი, ვგონებ კიდევაც დაბეჭდა) — ჩემო ელგუჯა, შენ სწორედ ამნაირად იქცევი და ამიტომაც გემადლიერებიო.

თვითონ მუხრანმაც, ძირითადად, ასე იცხოვრა და მრავალი სამადლო საქმე გააკეთა. არასოდეს დამავიწყდება, როგორ მიპატრონა, როცა სტუდენტმა „ცისკარში“ ლექსები მივიტანე და გამამხნევა, მწერლობაში გზა დამილოცა. მუხრან მაჭავარიანზე ბევრი მაქვს მოსაგონებელი, მაგრამ ეს სხვა დროისთვის უნდა გადავდო. ერთი კი ვიცი — ამიერიდან სხვა ფერად, უფრო მწუხარედ გამოჩნდებიან მისი ლექსები, თვითონ ცოცხალ არსებებად რომ ჰყავდა წარმოდგენილი.

ყოველთვის შეგვახსენებს თავს ის ამბავი, რომ სამშობლოს ბედზე განუწყვეტლივ მაფიქრალი და მზრუნველი ორი დიდებული ქართველი პოეტის ცხოვრების გზა და ბედი ერთმანეთს ასე უცნაურად გადაესკვნა, გადაეჯაჭვა. ერი დამგლოვიარდა.

მუხრან მაჭავარიანს მამულის სამსახურის იდეალად აკაკი ესახებოდა. ფრიდონ ხალვაშიც, როგორც პოეტი, განუხრელად მიჰყვებოდა „განთიადის“ დამწერის გზას და მასაც, აკაკის მსგავსად, თავისი სამება ჰყავდა; ეამაყებოდა, რომ აჭარის კურთხეულმა მიწამ წარმოშვა ვეებერთელა სწავლული, ასტრონომი, მწერალი, რენესანსული ტიპის მოაზროვნე აბუსერიძე ტბელი, გულმხურვალე მამულიშვილები — სელიმ ხიმშიაშვილი და მემედ აბაშიძე. პირველ მათგანს, საქართველოს ერთგულებისთვის, ოტომანთა იმპერიის ჯალათებმა აუწერელი წამება აგემეს, თავი მოჰკვეთეს, ხოლო მეორე ბოლშევიკების სისხლიან რეჟიმს შეეწირა. ფრიდონი სასოებით იხსენებდა ამ წმინდა, სათაყვანო სახელებს და მუდამ ცდილობდა, მათი დამსახურება ღირსეულად წარმოეჩინა.

არც იმის დავიწყება გვმართებს, ფრიდონ ხალვაშსა და მუხრან მაჭავარიანს როგორ უკლავდა გულს მტრისგან ბოლო ათეულ წლებში ჩვენი სამშობლოს დაუნდობლად დაძიძგნა, თითქმის განახევრება (ამ საოცარ ადამიანებმაც მოიდნო ორივენი) და საქართველოს აღდგენის, გამთლიანების დაუოკებელი სურვილი, ჩვენდა სამწუხაროდ, მათ სამარეში ჩაიტანეს.

მწერალი

**თამრი ფხაკაძე:**

# „მე დღეს შეიძლება უკანასკნელი ლედი ვარ და ამის დაწერის არ მრცხვენია“

*„ყოველთვის დაუტოვე მკითხველს თავის წყალზე — ხმელეთი, ხმელეთზე — წყალი... ნათელში — ბნელი, ბნელში — ნათელი. სტრიქონებს შორის მისი ფანტაზიისთვის ადგილი დატოვე. ყველაფერს შენ ნუ აღმოუჩენ, იმასაც აღმოაჩენინე! ყველაფერს ნუ ეტყვი: იგულისხმოს. ბოლომდე ნუ აუშენებ. ერთი აგური იმასაც დაადებინე... მწერლობა სულიერი სტრიპტიზია, ნინ... სულს იშიშვლებ... მაგრამ მაინც, ბოლომდე ნუ გაიხდი... დაიტოვე რამე...“ („ვნებანი“).*

*ამ სტრიქონების ავტორი, თამრი ფხაკაძე ათიოდე წლის წინათ გამოჩნდა ქართულ სალიტერატურო სივრცეში და მკითხველის გული მალევე მოინადირა. როგორც თავად ამბობს, მწერლის სტატუსი ეხამუშება, იმის მიუხედავად, რომ შვიდი სადიდო და ერთი ამდენი საბავშვო წიგნის ავტორია. წერა მოთხრობებით დაიწყო, შემდეგ რომანებიც გამოურია. დღესდღეობით გამომცემლობა „პეგასის“ მთავარი რედაქტორია და ცდილობს ლიტერატურულ საქმიანობას საგამომცემლოც შეუთავსოს. რამდენად კარგად გამოსდის ეს ყველაფერი და საერთოდ, რას ფიქრობს საკუთარ შემოქმედებაზე, თავად მწერლისგან შეიტყობთ.*

**— რამდენადაც ვიცი, მოთხრობების გამოქვეყნება 2001 წელს დაიწყეთ, მაგრამ ალბათ მანამდეც წერდით? ხომ წარმოუდგენელია, რომ ადამიანმა ერთ მშვენიერ დღეს გაიღვიძოს და გადაწყვიტოს, მწერალი უნდა გავხდეო.**

— რასაკვირველია. ცამოწმენდილზე წერას არავინ იწყებს. პატარაობიდან რაღაცებს ვწერ, თუმცა მერე დგება მომენტი, როდესაც ფიქრობ, რომ შენმა ნააზრევმა შეიძლება ვინმე დააინტერესოს. რატომ ხდება ასე, რა გაძლევს ბიძგს, რომ შენი ნაწერი ვიღაცამ აუცილებად უნდა წაიკითხოს, არ ვიცი, მაგრამ ფაქტია, რომ ადრე თუ გვიან ეს დღე თენდება. როგორც გითხარით, სასკოლო ასაკიდან ვწერ, თუმცა გამოქვეყნებაზე არასოდეს მიფიქრია.

**— ნაწერებს აგროვებდით?**

— არაფერსაც არ ვაგროვებდი. დედაჩემი თუ შეინახავდა რამეს. ნამდვილად არ ვფიქრობდი, რომ ეს ყველაფერი მომავალში კაცობრიობას უნდა ენახა. უბრალოდ, ჩემთვის ვჩხაპნიდი და მორჩა. პირველი მოთხრობები — „ლამზირა“ და „უბანში“ გაზეთ „ჩვენ მწერლობაში“ დავბეჭდე. ცოტა ხანში მათ ინგა მილორავას დადებითი გამოხმაურება მოჰყვა. ამან ფრთა შემასხა. როგორც ჩანს, მწერლის პირველ ნაბიჯს წათამამება სჭირდება. უარყოფითი შეფასების შემთხვევაში, შესაძლოა, წერა გამეგრძელებინა, მაგრამ აღარ დამებეჭდა. დღეს მთელმა კრიტიკულმა საზოგადოებამ რომ ამიკრძალოს, მაინც დავწერ, მაშინ კი ამ ფაქტმა დიდი სტიმული მომცა.

მერე იყო პენ-მარათონი, რომელიც იმ პერიოდისთვის ძალზე პროგრესული მოვლენა გახლდათ, ასე ვთქვათ, პირველი ლიტერატურული ივენთი. მაშინ მესამე პრემია მივიღე, თუმცა ეს ჩემთვის პირველად მიღებული ჯილდო გახლდათ და განცდაც შესაბამისი მქონდა. მახსოვს, დავწერე მოთხრობა — „გაკვეთილი.“ ის ფრაზაც კი მახსოვს, როგორ იწყებოდა: „რამდენიმე გაკვეთილი საკმარისი აღმოჩნდა, რომ...“ და უნდა გაგვეგრძელებინა. მაშინ სხვა მოთხრობები არც მქონდა; „სუფთა დაფა“ ვიყავი, როგორც მწერალი, თუმცა გულწრფელად გეუბნებით, ეს სიტყვა დღემდე ძალიან მეხამუშება.

**— სხვათა შორის, ბევრ ავტორს უთქვამს, რომ მწერალი კი არა, მთხრობელია. არის ამ ცნებებში არსებითი სხვაობა?**

— კი, როგორ არა: მწერალი ჟღერს, როგორც განაჩენი, ამბიცია, შენი ცხოვრების მთავარი სტატუსი, რომელსაც თავს ახვევ საზოგადოებას. ამასთანავე, ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა. მიმაჩნია, რომ ჩემი 10-15 წიგნი და ეს წლებიც — 2002-დან დღემდე — საკმარისი არ არის ამ სახელის სატარებლად. გარდა ამისა, ერთია რაოდენობა, მეორე — ხარისხი. ხშირად მიფიქრია: არის კი ჩემი ნაწერები იმ დონის, რომ მწერალი მერქვას? ამას ალბათ დრო გვიჩვენებს. სულ ვფიქრობ ხოლმე: სერვანტესიც მწერალია, დოსტოევსკიც, ვაჟაც, ილიაც, რუსთაველიც და მეც? ამიტომ ყველანაირად ვცდილობ, ავერიდო ამ სიტყვას. დღემდე არ მოვიხსენიებ თავს მწერლად. თავდაპირველად სხვების ნათქვამსაც ვაპროტესტებდი, მაგრამ დროთა განმავლობაში ასეთი საქციელი პოზად, ცრუ თავმდაბლობად მომეჩვენა და აღარ ვუსწორებ.

**— თქვენს ერთ-ერთ ადრეულ მოთხრობაში — „ვნებანი“ მწერლად გახდომის „რეცეპტებია“ მოცემული. ფაქტობრივად, იქ არის რჩევების მთელი კასკადი, როგორ უნდა წერო. გიყვართ სხვების დამოძღვრა?**

— ამ შემთხვევაში თავს უფლება მივეცი გმირის სახელით მელაპარაკა. ეს რომ ყოფილიყო ინტერვიუ და ჟურნალისტს დაესვა შეკითხვა, როგორ უნდა წეროს მწერალმა, მსგავსს არაფერს ვიტყოდი. თითოეულმა უნდა წეროს ისე, როგორც ეწერინება. რა უფლება მაქვს, ვინმეს ჩემი თვალსაზრისი, სტილი ან მანერა მოვახვიო თავს? ეს მხოლოდ გმირის სიტყვებია, რომელიც შეიძლება ემთხვევა ჩემს ხედვას.

**— სხვათა შორის, ეს პოსტულატები საკმაოდ კარგად გაქვთ ჩამოყალიბებული და ბევრისთვის სრულიად მისაღებიც შეიძლება აღმოჩნდეს.**

— იმ ჩამონათვალიდან ჩემთვის ერთი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. თუ გახსოვთ, მოთხრობის გმირი ამბობს: „გახსოვდეს, მარტო აკადემიკოსებისთვის არ წერ... გლეხისთვის, ყანაში, ჩინური ნუ იქნება, გამიგე?“ იცით, ეს რატომ ვთქვი? იმიტომ, რომ მიმაჩნია, მწერალმა ყველასათვის გასაგებ ენაზე უნდა წეროს. მე არ ვყოფ ადამიანებს და, ზოგადად, მკითხველს ელიტარულად და მეორეხარისხოვნად.

**— თუმცა არის მწერლების კატეგორია, რომელიც თავის „აუდიტორიად“ მხოლოდ კარგად მომზადებულ პუბლიკას მიიჩნევს და ამბობს, რომ მისი ნაწარმოებები არ არის განკუთვნილი მდარე გემოვნების მკითხველისთვის.**

— სისულელეა. დიდი ბოდიში ამ მწერლებთან, მაგრამ თავის დროზე ალბათ არც რუსთაველი, არც ვაჟა და არც აკაკი არ ფიქრობდნენ, რომ ელიტარული მკითხველისთვის წერდნენ. ილიას „ერის მამა“ ჰქვია და არა „ელიტის მამა“. თუ მაგარი მწერალი ხარ, დაწერე შენი ხალხისთვის და დაწერე კარგად. ამ ყველაფერს მკითხველი ინტელექტისა და ცნობიერების მანქანაში გაატარებს და თავის დასკვნას გამოიტანს. ეს იქნება შენი ერის საშუალო არითმეტიკული. როგორ ფიქრობთ, რამ მოიტანა დღემდე „ვეფხისტყაოსანი,“ მაშინდელმა ელიტამ თუ ზოგადად ხალხმა? „რასაცა გასცემ შენია, რაც არა — დაკარგულია“ ხომ ერთნაირად გასაგებია სამეფო კარის ვეზირისა და ყანაში მომუშავე გლეხისთვის? მე თუ მკითხავთ, სიბრძნე ხალხში იბადება, ხალხი კი არასოდეს უნდა წარმოიდგინო დიფერენცირებულ მასად. ეს არის ერთი ზოგადი ეროვნული გემოვნება, ქართველი მკითხველის საშუალო არითმეტიკული და თუ შეგიძლია, მისთვის დაწერე. დაწერე კარგად, ისე, რომ გულზე მოეფონოს ერსაც, ბერსაც, მწიგნობარსაც და უწიგნურსაც. უწიგნური გახდეს ცოტა უკეთესი, უფრო გაიწიოს სულიერებისკენ. ამას ჩემს თავსაც ვეუბნები. მდარე გემოვნების მკითხველისთვის წერა ხომ მავნებლობაა. ამით ისედაც ფსკერზე მყოფ ადამიანს კიდევ უფრო ქვემოთ უბიძგებ, ნაცვლად იმისა, რომ ზედაპირზე ამოათრიო.

**— ანუ, თქვენ ფიქრობთ, რომ მწერალმა უნდა შექმნას გემოვნებიანი მკითხველი და არა მკითხველის გემოვნებამ — მწერალი?**

— რასაკვირველია.

**— „ფერებს ნუ გადაჰყვები. ფერებში ნუ გაიდღაბნები. რომ იცოდე, შავ-თეთრი ფოტოც უფრო შემძვრელია და შავ-თეთრი კინოც. ფერში მოზომე.ნუ აჭრელდები თუთიყუშივით“ — ამბობს თქვენი მოთხრობის გმირი. რას ნიშნავს შავ-თეთრი მწერლობა?**

— იცი, ეს რას ნიშნავს? წარმოიდგინე საფუძვლიანად შეთხიპნილი ქალი, რომელსაც ამავდროულად გაკეთებული აქვს 450 პლასტიკური ოპერაცია. ყველაფერი ბუნებრივი მასში წაშლილია, მხოლოდ ხელოვნურობა და ტყუილი ჩანს. ლამაზია, მაგრამ ეს არის მოჩვენებითი, ხელოვნური სილამაზე. ამიტომ ვამბობ, მოვაშოროთ ნაწარმოებს ყველაფერი ზედმეტი და ვნახოთ, რა დარჩება. კარგია ფერწერა. მე თვითონ მიყვარს ფერწერა მწერლობაში. გამორჩეულად მხიბლავს იმპრესიონიზმი და ალბათ იმპრესიონისტური მანერით ვწერ კიდეც. ჩემს ნაწერებს ხშირად მოიხსენიებენ პოეტურ პროზად და სრულიად ვეთანხმები ამ მოსაზრებას, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მათ მთავარი სათქმელი გამოვაცალო და მკითხველს ზედაპირული სილამაზე შევთავაზო. ნაწარმოებში იდეა უნდა იყოს. პირადად მე ეს სიტყვა კომუნიზმმა შემაძულა. „იდეური“ ჩემთვის კარგა ხანს „კომუნისტურს“ ნიშნავდა, თუმცა მერე დავფიქრდი და მივხვდი, რომ ვცდებოდი. ფსიქოლოგიური პროზაც მესმის, ცნობიერების ნაკადიც, მაგრამ თუ ნაწარმოებში ჩადებული იდეა მნიშვნელოვანი არ არის, ტექსტი ღირებულებას კარგავს. აი, „შავ-თეთრი“ მწერლობის არსი. ფერად ფოტოს შავ-თეთრში რომ გადაიყვან, ხომ სულ სხვა ეფექტი აქვს, ხომ უფრო ნაღდი ჩანს ყველაფერი? მწერლობაშიც ასეა: ფერუმარილისა და ზიზილ-პიპილოების გარეშე დარჩენილი ტექსტი გაცილებით უკეთ წარმოაჩენს მის რეალურ არსს. ძალიან მიყვარს კომპიუტერში თამაში – გააშავთეთრებ ფოტოს და უცებ გამოჩნდება ყველანაირი ხაზი, შეცდომა. ფერი გფანტავს და მობილიზაციას გაკარგვინებს. შავ-თეთრი მწერლობიდან უნდა დაიწყო და მერე დაამატო ფერები.

**— ამჟამად შემოქმედების რა ეტაპზე ხართ?**

— მე მთელი ცხოვრება ვიქნები ჭეშმარიტების ძიების ეტაპზე და ვერასდროს ვიტყვი, რომ საიდუმლო გასაღები აღმოვაჩინე.

**— ანუ, კმაყოფილი არასოდეს ხართ?**

— გარკვეულწილად კმაყოფილი ვრჩები, იმიტომ, რომ თუ ნაწარმოები არ მომწონს, მაშინვე ვაქრობ. ერთი delete და დამთავრებულია. სხვათა შორის, ძველი ნამუშევრების კითხვისას ნაკლებად მიჩნდება მათი ჩასწორებისა და გადაკეთების სურვილი. იმდროინდელ განწყობასა და პოზიციას უმეტესწილად ვეთანხმები, მაგრამ ახლა რომ დავწერო, რაღაცას აუცილებლად შევცვლი.

**— თქვენს ნაწერებში უმეტესად ქალის პოზიცია იგრძნობა, ქალის დამოკიდებულება ცხოვრებისადმი და ეს ბუნებრივიცაა. სხვათა შორის, როდესაც მწერლობაზე საუბრობენ, ცალკე გამოყოფენ ხოლმე „ქალ მწერლებს“, თითქოს ეს ცალკე კასტაა. რამდენად მისაღებია თქვენთვის მსგავსი მიდგომა ამ საკითხისადმი?**

— რა თქმა უნდა, მიუღებელია. ბევრჯერ უთქვამთ ჩემთვის, მამაკაცურად წერო, თუმცა, არც იმის საწინააღმდეგო მაქვს რამე, რომ ქალურად ვწერდე. ქალი ვარ და ჩემი სქესის პოზიციიდან უნდა ვწერო, უბრალოდ, ასეთი დაყოფა არ არის გამართლებული. ჩემი აზრით, არსებობენ კარგი მწერლები და ცუდი მწერლები — არა აქვს მნიშვნელობა, ქალი იქნება თუ კაცი. აი, მაგალითად, მოთხრობაზე — „ბოსტანი კონფლიქტის ზონაში“ ბევრმა მითხრა, ავტორის ვინაობა რომ არ გვცოდნოდა, ვიფიქრებდით, კაცმა დაწერაო. სხვათა შორის, მთავარი გმირის ხასიათზე დიდხანს ვმუშაობდი, თითოეულ დეტალს ვაანალიზებდი და ვფიქრობ, არაფერი ქალური არ გამპარვია. რასაკვირველია, მოთხრობებისა და რომანების დიდი ნაწილი ქალის პოზიციიდან იწერება, რადგან მთავარი გმირი ქალია. ბოლოსდაბოლოს, ავტორიც ქალია, მაგრამ ეს არ არის გადამწყვეტი. აი, მაგალითად, ახლა იბეჭდება დათო ქართველიშვილის ახალი რომანი „სიყვარული და მსხალი,“ სადაც იგი ქალის პოზიციიდან ამოდის. ასე რომ, კაცსაც მშვენივრად შეუძლია ქალის შესახებ წერა. ანუ, ჩემი, როგორც მწერლის პოზიციასა და სტილს არ განაპირობებს მხოლოდ ის, რომ ქალი ვარ.

**— ამასწინათ ერთ-ერთ ქართველ მწერალთან ინტერვიუს ვკითხულობდი, სადაც ამბობს, იმდენი დრო არ მაქვს, რომანები ვწეროო. თქვენ, როგორც ამ ჟანრში მომუშავე ადამიანი, მიიჩნევთ, რომ რომანი მოცლილი ადამიანის საქმეა?**

— არ მიფიქრია ამაზე. უხეშად რომ ვთქვათ, 30 საშუალო ზომის მოთხრობა მოცულობით ერთ რომანს უტოლდება. რა გამოდის, ცალ-ცალკე მოთხრობების წერის დრო მაქვს, რომანის კი — არა? ჩემთვის ეს ცოტა გაუგებარია. თუ ნამდვილად გეწერება, რომანი მშვენივრად გამოგანახვინებს დროს. ბოლო-ბოლო სამარშრუტო ტაქსში დაწერ. სხვა საკითხია, რომ ამ ტიპის ტექსტს სხვაგვარი დაფიქრება უნდა, სხვა ნიჭი და გაქანება. გარდა ამისა, რომანი წრიული ნაწარმოებია, რომელშიც ამბავი აუცილებლად უნდა შეიკრას. ახლა სწორხაზოვანი რომანები შემოვიდა, რომლის თავსა და ბოლოს ერთმანეთთან არანაირი კავშირი არა აქვს, მოვლენები წრფეზე ვითარდება, მაგრამ მე უფრო კლასიკური რომანის მომხრე ვარ. ცნობიერების ნაკადის დევნა, რომელიც, არავინ იცის, სად წაგიყვანს, ჩემთვის ცოტა მიუღებელია. უამრავ რომანს დავწერ, თუ არ მექნება პასუხისმგებლობა, ეს წრფე წრედ შევკრა. რეალურად ხომ ყველაფერი სწორედ ამ წრეს უნდა ემსახურებოდეს.

**— ნებისმიერ შემთხვევაში რომანის წერა გაცილებით რთულია, ვიდრე მოთხრობის. თქვენ რამ მიგიყვანათ ამ ჟანრთან? უფრო მეტი სათქმელი დაგიგროვდათ?**

— როცა ხვდები, რომ არ გყოფნის მოთხრობის მოცულობა, პერსონაჟები წინ მიიწევენ, მათი ბედისწერა სხვანაირად იხლართება, მოვლენათა განვითარებაც სცილდება მოთხრობის რეგლამენტს, თავისთავად გადიხარ რომანზე. რომანი ხომ სხვა არაფერია, თუ არა დიდი მოთხრობა. პირადად მე ეს ჟანრი ასე სახიფათოდ არ მეჩვენება. უბრალოდ, მოთხრობის დიამეტრი შედარებით მცირეა და შენც უფრო იოლად აკონტროლებ

**დასასრული მე-16 გვერდზე**

**თინათინ დიდებულიძე:**

# „მინდა, ისტორიაში პატიოსან გამომცემლად დავრჩე“

*გამომცემლობა „ელფის“ დამფუძნებელი და დირექტორი პროფესიით ჟურნალისტი საოცრად ენერგიული და მიზანსწრაფული ქალბატონი – თინათინ დიდებულიძე გახლავთ, რომელმაც ზუსტად იცის, რა უნდა და დასახულ მიზანს როგორ მიაღწიოს. მიუხედავად იმისა, რომ ამბობს, საგამომცემლო საქმეს შემოქმედებითად ვუდგები და კომერცია ჩემი ინტერესი არ არისო, ფაქტია, სწორ გათვლებს აკეთებს და „ელფის“ გამოცემები უსწრაფესად იყიდება. გამომცემლობის მთავარი პრიორიტეტი მაღალმხატვრული ღირებულების მქონე წიგნების გამოცემა და მკითხველისთვის შეთავაზებაა. „ელფი“ პრინციპებს არ ღალატობს და წარმატების საწინდარიც, ალბათ, ამგვარი მიდგომაა. ამ გამომცემლობაში ყოველთვის ბევრს შრომობენ...*

**— ქალბატონო თინათინ, როგორ დაიბადა გამომცემლობა „ელფის“ დაარსების იდეა?**

— საინტერესო ისტორიაა. 1996 წლამდე ჟურნალისტიკის სფეროში ვმუშაობდი, საქართველოს პარლამენტში ვიყავი აკრედიტირებული. შემდეგ ცნობილ გერმანულ გაზეთთან, „ბილდთან“ თანამშრომლობა გადავწყვიტე. მსურდა, საქართველოში მისი წარმომადგენელი ვყოფილიყავი და დასავლელი მკითხველისთვის საქართველო უკეთ გამეცნო. მოგეხსენებათ, იმ წლებში უცხოურ პრესაში ძალიან ცოტას წერდნენ ჩვენს ქვეყანაზე. გერმანიაში გაზეთის ხელმძღვანელებთან შესახვედრად სწორედ იმ დროს გავემგზავრე, როდესაც ფრანკფურტში წიგნის საერთაშორისო ფესტივალი იმართებოდა. „ბილდი“, როგორც მსხვილი გამომცემელი, რა თქმა უნდა, ფესტივალში მონაწილეობდა. იქაური გარემოთი იმდენად მოვიხიბლე, რომ გადავწყვიტე, საგამომცემლო საქმიანობა დამეწყო. წიგნი ბავშვობიდან მიყვარს. რედაქციებში მაგიდებთან მიმსხდარსა და ტექსტებში თავჩარგულ ადამიანებს ყოველთვის შევნატროდი ხოლმე... ასე რომ, მართალია, კარგი ჟურნალისტური პრაქტიკა მქონდა, ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტებს პრაქტიკულ სემინარებსაც ვუტარებდი, მაგრამ როგორც კი შესაძლებლობა მომეცა, ამ საქმეს სიამოვნებით დავემშვიდობე და გამომცემლობა „ელფი“ დავაფუძნე.

გერმანიიდან პირველი საგამომცემლო პროექტებით, გეგმებით დავბრუნდი. იქვე ვესწრებოდი სემინარებსაც, აქტიურად ვთანამშრომლობდი სხვადასხვა ფონდთან. იმ დროს ფონდი „ღია საზოგადოება — საქართველო“ განსაკუთრებით საინტერესო პროექტებს ახორციელებდა საგამომცემლო მიმართულებით და ეს ძალიან დაგვეხმარა.

**— საგამომცემლო საქმიანობაში წარმატების მიღწევა დიდ შრომას, ძალისხმევას მოითხოვს...**

— ეს მართლაც უზომოდ შრომატევადი და საპასუხისმგებლო საქმეა. მკითხველი არ უნდა მოატყუო, მას უმაღლესი მხატვრული და პოლიგრაფიული ხარისხის წიგნი უნდა შესთავაზო. ჩვენ კარგ წიგნებს გამოვცემთ, ცოტას ვლაპარაკობთ და ბევრს ვმუშაობთ. გამომცემლობა „ელფის“ თავისი მკითხველი ჰყავს. ხშირად გვირეკავენ და სამომავლო გეგმებზე გვეკითხებიან. საზოგადოების მხრიდან ასეთი ინტერესი გამომცემლისთვის დიდი ბედნიერებაა. არც კი ვიცი, ჩვენი წიგნებიდან ბესტსელერად რომელი ერთი დავასახელო. წელიწადში სამი ათას ეგზემპლარს რომ გაყიდი, დამეთანხმებით, ის უკვე ბესტსელერია.

**— თქვენთან შეხვედრამდე, „ელფის” ვებგვერდს გავეცანი - თემატურად, ვიზუალურად, ასევე მიმართულების თვალსაზრისით მრავალფეროვანი გამოცემებია. წიგნის მომზადებაზე დიდი ჯგუფი მუშაობს?**

— თითოეულ გამოცემაზე მუშაობა ეტაპობრივად მიმდინარეობს. ძალიან საინტერესო ავტორები გვყავს. წიგნის მაკეტს ერთობლივად ვქმნით, შემდეგ საქმეში მხატვარ-დიზაინერები ერთვებიან. განსაკუთრებული ყურადღება ტექსტს ეთმობა, ის გამართული, კარგი ქართულით უნდა იყოს დაწერილი. ახლახან რედაქტორის შესარჩევი კონკურსი გამოვაცხადეთ. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ვებგვერდზე „Jobs.ge“ კონკურსის პირობებს გაეცნონ და მონაცემები მითითებულ მისამართზე გადმოგვიგზავნონ. აუცილებელია, გამომცემლობის რედაქტორი შემოქმედებითი უნარის მქონე, წიგნიერი ადამიანი იყოს. სასურველი კანდიდატურის მოძებნა ძალიან რთული აღმოჩნდა. სამწუხაროდ, საფუძვლიანი აკადემიური ცოდნის მქონე, განათლებული ფილოლოგი უნივერსიტეტდამთავრებულთა შორისაც კი იშვიათობაა. არადა, რა ვქნა, კარგი ქართულით დაწერილი ტექსტები ჩემი, როგორც გამომცემლის, უპირველესი მოთხოვნაა.

**— დიდი ხანი არ არის, რაც გამომცემლობა „ელფი“ საზოგადოებას მსოფლიო ლიტერატურის სერიიდან მაღალ დონეზე შესრულებულ წიგნებს სთავაზობს. საოცრად შთამბეჭდავი გამოცემებია.**

— მეგობარი მყავს, რომლის სახლი წიგნებითაა სავსე. ერთხელ, შემომჩივლა, ჩემი შვილი არ კითხულობსო. გამიკვირდა, ნუთუ ამხელა ბიბლიოთეკიდან ვერაფერი შეურჩიე-მეთქი. საბჭოთა პერიოდში გამოცემული „მსოფლიო ლიტერატურის“ ტომები გადმომილაგა – შეცდომებითაა სავსე. თან, ცენზურაგავლილი ტექსტებია. იმდროინდელი ლიტერატურული ენა რომ მოძველებულია, გასაკვირი არც არის, რადგან, მოგეხსენებათ, ისევე როგორც ყველაფერი ამქვეყნად, ენაც ვითარდება. ძველი თარგმანების მთავარი ხარვეზი ისიცაა, რომ ტექსტებში ბევრი უზუსტობაა და ცენზურის მიერ ნაწარმოებიდან მთელი აბზაცებია ამოღებული. როცა დავინახე, რომ ახალი წიგნების გამოცემა ძველი თარგმანებით დაიწყეს, გადავწყვიტე ამ პრობლემას შევჭიდებოდი. თანამშრომლებს ვუთხარი, ჩვენ ეს უნდა გავაკეთოთ-მეთქი და მსოფლიო ლიტერატურის ნიმუშების თარგმნას ხელახლა შევუდექით. ფაქტობრივად, ქართველი მკითხველის ბიბლიოთეკას ახლიდან ვქმნით. ეს უაღრესად შრომატევადი საქმეა, თუმცა, წიგნებს ძალიან იაფად ვყიდით, სულ – თხუთმეტ ლარად. ჩემზე ვერავინ იტყვის, ცენზურაგავლილი ძველი ტექსტები გამოსცაო. მინდა, ისტორიაში პატიოსან გამომცემლად დავრჩე.

ერთ თვეში წიგნის მაღაზიების დახლებზე ვიქტორ ჰიუგოს „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“ გამოჩნდება. შემდეგ ვაპირებთ ლევ ტოლსტოის „კავკასიური მოთხრობები“ და ალექსანდრე დიუმას „კავკასია“ ერთად გამოვცეთ. ეს ძალიან მნიშვნელოვანი პროექტია. ამ სერიის ყველა წიგნში მოცემულია ლაკონური შესავალი და ავტორთა სრული, ილუსტრირებული ბიოგრაფიები. დამეთანხმებით, როცა ავტორის ბიოგრაფიასა და საინტერესო შესავალს ეცნობი, ნაწარმოებს უკეთ აღიქვამ. ჯერჯერობით ისეთი ნაწარმოებები შევარჩიე, რომელიც ჩვენს სინამდვილეს ერთგვარად ეხმიანება. მაგალითად, ონორე დე ბალზაკის „მამა გორიო“ გამოვეცით, რადგან ჩავთვალე, რომ ჩვენთან დედა გორიოები სჭარბობს და საზოგადოებისთვის ამ რომანის გახსენება ურიგო არ იქნებოდა. ასევე, საინტერესოდ მივიჩნიე ემილ ზოლას „ქალთა ბედნიერება“, რომელშიც კაპიტალისტური წყობის სურათი იმგვარადაა მოცემული, რომ წიგნი მარკეტინგისა და მენეჯმენტის სახელმძღვანელოდაც კი გამოდგება. ერიხ მარია რემარკის „სამი მეგობარი“ კი იმიტომ შევარჩიე, რომ მეგობრობა ძალიან ღირებულია, ფასეულია ქართველი ადამიანისთვის და ეს წიგნი, თანამედროვეთათვის ღირსეული ადამიანური ურთიერთობების გაფრთხილებისკენ მოწოდებად შეიძლება ჩაითვალოს. მონტესუმას ასული – უალტერნატივო ბესტსელერია. ახალგაზრდებს ეს წიგნი ძალიან მოსწონთ, ინდიელების პრობლემები აინტერესებთ და რაინდობის, ვაჟკაცობის მაგალითებით იხიბლებიან, თუმცა მონტესუმას ისტორიაში ღალატიც ბევრია...

**— საბჭოთა წლებში გამოცემული წიგნების უმრავლესობა გარეგნულადაც იმდენად უსახური იყო, რომ ახალგაზრდა მკითხველს ძნელად თუ მიიზიდავდა...**

— გეთანხმებით. ჩვენს წიგნებს გემოვნებით შესრულებული დიზაინიც გამოარჩევს და, აქედან გამომდინარე, მკითხველისთვის ვიზუალურადაც მიმზიდველია. მსოფლიო ლიტერატურის სერია სწორედ საყმაწვილო და შემდგომი ასაკის მკითხველისთვისაა განკუთვნილი. მის გარეკანზე თითქმის ორი წელი ვფიქრობდით. გვინდოდა, წიგნებს სიძველის ელფერი ჰქონოდა. 2013 წლამდე, გეგმის თანახმად, ოცი ავტორის გამოცემას ვაპირებთ, თუმცა სერია მერეც გაგრძელდება.

**— თუ არ ვცდები, გამომცემლობა „ელფი“ იყო პირველი, რომელმაც საზოგადოებას ცნობილი თურქი მწერლის, ნობელიანტი ორჰან ფამუკის ქართულენოვანი თარგმანი შესთავაზა. თქვენ მისი „ფარული სახე“ გამოეცით...**

— ფამუკი ქართულად მართლაც პირველებმა ვთარგმნეთ და შევთავაზეთ მკითხველს. წიგნის მთარგმნელი თამარ ალფენიძე პირადად იცნობს მწერალს. „ფარული სახეს“ გამოცემა ქალბატონმა თამარმა თვითონ შემოგვთავაზა, ჩვენც სიამოვნებით დავთანხმდით.

**— გამომცემლობა „ელფის“ პრიორიტეტი მაინც საბავშვო წიგნებია, ხომ? თქვენს მიერ გამოცემული საბავშვო ლიტერატურა მრავალ მიმართულებას მოიცავს, გაქვთ როგორც შემეცნებითი ხასიათის სერიები (ენციკლოპედიები, ატლასები, ისტორიები და სხვა), ასევე მხატვრული ლიტერატურა პატარებისთვის. ვფიქრობ მნიშვნელოვანია, რომ გამოცემათა უმრავლესობა ორიგინალური პროექტებია. თუმცა, თქვენს მიერ უცხოელებისგან შეძენილ პროექტებსაც თუ გადავხედავთ, საკმაოდ კარგი არჩევანია...**

— დღეს ჩვენი გამოცემების 70 პროცენტი საბავშვო ლიტერატურას ეთმობა, დანარჩენი კი – მხატვრულს უფროსებისთვის. ამ პროცენტულ მაჩვენებელს თანდათან გავათანაბრებთ.

გამომცემელი

რაც შეეხება ორიგინალურ პროექტებს, ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია ახალი საბავშვო ავტორების მოძიება. რამდენიმე მათგანი აღმოვაჩინე კიდეც. მაგალითად, სულ მალე გამოვა ძალიან საინტერესო წიგნი, რომელსაც „ხუთი ბავშვი, ხუთი თბილისი“ ჰქვია. ეს გახლავთ შემეცნებითი ხასიათის შესანიშნავი ზღაპარი, სადაც თბილისის ისტორია ძალიან საინტერესოდ და უბრალოდაა მოთხრობილი. მისი ავტორი ახალგაზრდა გოგონა — გვანცა ჯობავაა.

უცხოელი გამომცემლებისგანაც ისეთ წიგნებს ვყიდულობთ, ჩვენს ქვეყანას რომ სჭირდება. მაგალითად, გამოვცემთ თემატურად შედგენილ შემეცნებითი ხასიათის ენციკლოპედიურ მრავალტომეულს სერიით — „რა არის რა“. საავტორო უფლება შევიძინეთ ერთ-ერთი უმსხვილესი გერმანული გამომცემლობისგან, რომელიც ამ სერიის გამოცემებს მსოფლიოს ოცდაათ ქვეყანაში ყიდის. გერმანელებთან გაფორმებული კონტრაქტის თანახმად, უფლება გვაქვს, სერიულ გამოცემებში საქართველოსთან დაკავშირებული თემატური ინფორმაციაც შევიტანოთ. ჩვენი გამომცემლობისთვის ეს ძალიან მომგებინია და არანაკლებ სასარგებლოა პატარა ქართველი მკითხველისთვისაც.

**— ორიგინალური გამოცემებიდან ჩანს, რომ ისტორიული თემატიკის წიგნების მომზადებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებთ. განსაკუთრებული ყურადღება კი, საქართველოს ისტორიას ეთმობა...**

— საქმე ისაა, რომ სკოლაში, ძირითადად, სსრკ ისტორიას გვასწავლიდნენ და ამის გამო, ჩვენი ქვეყნის ისტორია ძალიან ცუდად ვიცოდი. ამიტომაც მოვიფიქრე მასშტაბური პროექტი, რომლის განხორციელებაც ეტაპობრივად დავიწყე. პირველად, 2004 წელს, ილუსტრირებული ენციკლოპედია „ჩემი საქართველო“ გამოვეცი. მასში ხუთასამდე დოკუმენტური ფოტო განვათავსეთ, მართლაც საშვილიშვილო წიგნი გამოვიდა. მიუხედავად წიგნის ხარისხისა, მაინც ვერ წარმოვიდგენდი, რომ ორიათასტირაჟიან გამოცემას ერთ თვეში გავყიდდი. მალევე, „ჩემი საქართველო“ მეორედ დავბეჭდეთ, მის მიმართ ინტერესი ჯერაც არ განელებულა.

ენციკლოპედიების სერიიდან გამოცემული გვაქვს ჯაბა სამუშიას „საქართველოს დიდი ბრძოლები“, „საქართველოს საოცრებანი“. მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელი წიგნის პრეზენტაცია არ გვქონია, სრულად გაიყიდა.

**— თქვენ, ამბობთ, წიგნის შექმნა შემოქმედებითი პროცესიაო, მაგრამ საგამომცემლო საქმის წარმატებისთვის, ინტელექტუალური შრომის გარდა, სწორად გათვლილი ბიზნეს-პოლიტიკაც ხომ აუცილებელია? თქვენ კი, ფაქტია, კომერციული ალღო არ გღალატობთ...**

— არ დამიჯერებთ, მაგრამ კომერციულ გათვლებს არასოდეს ვაკეთებ. მატერიალური მოგების მიზნით ვერ გამოვცემ წიგნს, რომელიც არ მომწონს, რომელიც დღეს გაიყიდება (კარგი რეკლამის წყალობით) და ხვალ „მოკვდება“. „ელფი“ ეროვნული გამომცემლობაა, მისი წიგნები მაღალი მხატვრული ღირებულების მატარებელია, ამიტომაც რეალიზაციის პრობლემა არასოდეს გვაქვს, ყოველი გამოცემა შვიდჯერ, რვაჯერ მეორდება

**დასასრული მე-16 გვერდზე**

## თამრი ფხაკაძე:

# „მე დღეს შეიძლება უკანასკნელი ლედი ვარ და ამის დაწერის არ მრცხვენია“

**დასასრული**

მოვლენებს. მის ზრდასთან ერთად ამბის დამორჩილებაც ჭირს. ამ შემთხვევაში მთავარია, სადავეები არ გაგექცეს ხელიდან, ყველა მხრიდან მოქაჩო და ბოლო თვალი ამოიყვანო.

**— დასრულება არ გიჭირთ ხოლმე? ბევრისთვის ეს აქილევსის ქუსლია. ვერ წყვეტენ, როგორი უნდა იყოს ფინალი.**

— მიჭირს კი არა, ეს არის ჩემთვის ყველაზე დიდი ნეტარება. ბოლო აკორდია, რომლისთვისაც სიამოვნებით ვემზადები. დაწყება უფრო რთულია, როცა არ იცი, რას ეჭიდები. დასასრული კი რა არის? საზეიმო მომენტი, რომლისთვისაც ამდენ ხანს ემზადე. ქსოვის დროს ხომ წინასწარ გაქვს განსაზღვრული, კაბა გინდა თუ წინდა? ხომ არ შეიძლება, კაბა დაიწყო და უცებ წინდა გამოგივიდეს? მაშ, რა გაბნევს? როცა ყველა თვალი ამოყვანილია, ყველა გზა ფინალამდე მისული, ადექი და დაამთავრე.

**— კი, მაგრამ ხანდახან მწერალს რამდენიმე ვარიანტი აქვს და არ იცის, რომელს მიანიჭოს უპირატესობა.**

— ასეც ხდება. რომანში „ჩვენ სამნი და ანგელოზი“ სწორედ ამგვარ ვითარებაში აღმოვჩნდი. ამ ნაწარმოების ფინალთან დაკავშირებით შევცდი. სამი დასასრული მქონდა მოფიქრებული და სამივეს დაწერა მინდოდა, მერე კი გადავიფიქრე. ძალიან კონკრეტულად დავამთავრე, რითაც დავარღვიე ჩემი და ჩემი გმირის სწავლება, რომელიც მოთხრობა „ვნებანი“-ში გადმოვეცი — მკითხველს ბოლომდე ნუ აუშენებ ყველაფერს, ერთი აგური იმასაც დაადებინე-მეთქი. მე კი მკითხველს აღარაფერი დავუტოვე, ის ბოლო აგურიც დავუდე და სრულიად უსაქმოდ დავტოვე. სამომავლოდ, თუ კიდევ ერთხელ გამოვუშვებ ამ ნაწარმოებს, აუცილებლად სამივე ფინალს დავდებ.

**— თქვენი ბოლო რომანი — „CV“ - ეხება მწერალს, რომელიც თანამედროვე ცხოვრების მორევში ადგილს ვერ პოულობს. რამდენად რთულია ამაზე წერა? ისიც საინტერესოა, ამ პერსონაჟზე მუშაობისას თქვენი თავიდან ამოდიოდით თუ ზოგადი სურათი დახატეთ?**

— მარტო საკუთარი თავიდან ვერანაირად ვერ ამოვიდოდი, იმიტომ რომ ჩემს გარშემო არაერთი მწერალია, რომელმაც არ იცის, მეორე დღეს სადილად რა გააკეთოს, ვერ წაუყვანია შვილი იმ წრეზე, სადაც უნდა, ანდა უბრალოდ, ყოფითი პრობლემებისა და დათრგუნული განწყობის გამო ვერ ახერხებს წერას. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ჩემი პრობლემაც იყო, მაგრამ მხოლოდ ჩემი არა. დიდად რომ არ ულხინს დღეს ქართველ მწერალს, ყველასთვის ცხადია. კარგი იქნებოდა, განვითარებული ქვეყნების მსგავსად, ჩვენი მწერლებიც წიგნიდან წიგნამდე მარტო მწერლობით ცხოვრობდნენ. ამ შემთხვევაში ბევრად უკეთეს ნაწარმოებებსაც დაწერდნენ და გაცილებით მეტსაც.

**— თუმცა მაშინ ალბათ ეს რომანი არ დაიწერებოდა.**

— რა თქმა უნდა, მაგრამ ვფიქრობ, რომ ამ თემაზე ღირდა წერა, რადგან ქართულ სინამდვილეში არ არის სოციალური რომანი, მით უმეტეს, მწერლის მდგომარეობაზე დღეს ნაკლებად წერენ.

**— ძირითადი აქცენტი ნარკომანიასა და მასთან დაკავშირებულ თემებზეა.**

— ჰო, მაგრამ ჩვენი სოციალური ცხოვრება არ შემოიფარგლება მხოლოდ ნარკომანიისა და პროსტიტუციის პრობლემებით. დღეს პიროვნული გარიყულობის, ზედმეტობის, საკუთარი ნიჭის ვერმიგნების, მატერიალური სიდუხჭირის პერიოდია. ამ რომანის დაწერა ჩემთვის არ იყო ადვილი, რადგან ეს ჩემი სულის სტრიპტიზია. მე ხომ სული გავიშიშვლე და როგორც წიგნის გარეკანზეა, ისე დავდე მკითხველის წინაშე. ერთი შეხედვით კი ვწერ სიცილ-სიცილითა და იუმორით, მაგრამ მარტო იმიტომ, რომ წინა პლანზე თვითირონია წამოვიდეს და მკითხველიც ძალიან არ დაითრგუნოს. რთული იყო ამ ყველაფრის ქაღალდზე გადატანა, რადგან რომანში ბევრ დელიკატურ თემას ვეხები, პირველ რიგში კი საკუთარ ცხოვრებაზე „ვკაიფობ“. გაცილებით იოლია წერა გამოგონილ სამყაროზე. ძალზე მარტივად შემიძლია შევქმნა ცრუსამყარო, გავილაღო შიგ და ჩემი თავი პირველ ლედიდ წარმოვაჩინო, მაგრამ მე არ ვარ პირველი ლედი, მე დღეს შეიძლება უკანასკნელი ლედი ვარ და ამის დაწერის არ მრცხვენია.

**— როგორი გამოხმაურება ჰქონდა ამ რომანს?**

— სხვადასხვაგვარი გამოხმაურება იყო, მაგრამ ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია ის წერილები, რასაც ჩემს პირად ფოსტაში ვიღებ. ერთ-ერთმა ჩემთვის უცნობმა მკითხველმა მომწერა — ეს ზაფხული თქვენი რომანით გავილამაზეო, თან ისე ფაქიზად წერს, ჩემივე სიტყვებით — შტრაუსულად გავატარეო. ძალიან საინტერესო მოსაზრებებს მიზიარებენ სრულიად უცხო ადამიანები. თუმცა უარყოფითი შეფასებებიც იყო. ერთ-ერთ გამოცემაში დამიწერეს, რომ მკრეხელობაა იმის თქმა, თითქოს არ ვიცი, რა იერარქიაა იმქვეყნად. არადა, მართლა არ ვიცი. ეს იმდენად ინფანტილური აზრია, ლაპარაკიც არ მინდა.

**— როგორც ვიცი, გამომცემლობა „პეგასის“ მთავარი რედაქტორი ხართ. ამ ამპლუაში როგორ გრძნობთ თავს?**

— აშკარად ვამჩნევ, რომ მთლად უმუშევრობას ვერ ვიტან, ვერც ეკონომიური და ვერც საზოგადოებასთან კონტაქტის თვალსაზრისით. გამომცემლობაში მუშაობა ამ მხრივ ძალზე საინტერესოა, რადგან ბევრ ნიჭიერ ადამიანთან ურთიერთობ, თან ლიტერატურასთან გაქვს შეხება. „პეგასი“ შედარებით ახალგაზრდაა. 2006 წელს დაარსდა. გვინდა, რომ დროთა განმავლობაში სოლიდურ გამომცემლობად ჩამოყალიბდეს, რომელიც ღირსეული წიგნების გამოცემით იქნება დაკავებული. რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი უკვე განხორციელდა, მათ შორის, ილუსტრირებული ბიოგრაფიები, სერია — „წამების გზით,“ რომელიც წითელი ტერორის მსხვერპლთა დოკუმენტურ ისტორიებს მოგვითხრობს; ახლა გამოდის ახალი სერია — „XX-XXI — ახალი ლიტერატურა“, სადაც თანამედროვე ავტორებს გამოვაქვეყნებთ. პირველ ჯერზე ბექა ქურხულის მოთხრობები დაიბეჭდება, შემდეგ კი მკითხველს ირაკლი ქასრაშვილის, მიხო მოსულიშვილისა და სხვა საინტერესო ავტორთა ნაწერებსაც შევთავაზებთ.

**— ამჟამად რაზე მუშაობთ?**

— ახლა საბავშვო თემატიკით ვარ დაკავებული. იცით, ალბათ, რომ პარალელურად ბავშვებისთვისაც ვწერ, ჰოდა, გამომცემლობა „პეგასი“ მალე გამოსცემს სერიას — „გლობუსას და ლაზარეს თავგადასავალი,“ რომელიც რამდენიმე წიგნისგან შედგება. გლობუსა — გლობუსიდან გამოჩეკილი პატარა არსებაა, კაცუნა, რომელიც მოწყენილ ბიჭუნა ლაზარეს დედამიწის გარშემო ამოგზაურებს. პირველ წიგნში მოთხრობილია მათი თავგადასავალი საქართველოში, მერე კი სხვა ქვეყნებსაც მიაშურებენ. ნაწარმოები იქნება სათავგადასავლო-შემეცნებითი, იმოგზაურებენ სხვადასხვა დროსა და ქვეყანაში. გარდა ამისა, ვწერ სცენარს მიუზიკლისთვის, წამოწყებული მაქვს რამდენიმე ახალი მოთხრობა. რომანზე ჯერ არ ვმუშაობ. მალე გამოვა „პატარა ბაყაყი კიკის ამბები“ — სერიული ზღაპარი ჩემივე ილუსტრაციებით და ეს მე ძალიან მეამაყება. ამ წიგნის გაფორმებაზე მთელი ზაფხული ვმუშაობდი. ვნახოთ, რა გამოვა.

*ესაუბრა ნანა კობაიძე*

## თინათინ დიდებულიძე:

# „მინდა, ისტორიაში პატიოსან გამომცემლად დავრჩე“

**დასასრული**

და მომავალშიც ასე იქნება. ჩვენი დევიზიც ესაა – გამოვცეთ წიგნები, რომელიც დროს გაუძლებს.

**— მრავალფეროვან არჩევანს სთავაზობთ, ასევე, საბავშვო ბაღის ასაკის ბავშვებს, მათ აღმზრდელებსა თუ მშობლებს. დამეთანხმებით, ასეთ წიგნებზე მუშაობა, არაერთი მიზეზის გამო, განსაკუთრებით რთულია. მეთოდისტები, ფსიქოლოგები თუ გყავთ?**

— საბავშვო ბაღის ასაკის ბავშვებისათვის განკუთვნილ ლიტერატურაზე პროფესიონალი და დიდი პრაქტიკული გამოცდილების მქონე მეთოდისტი და ფსიქოლოგი თამარ ადამია მუშაობს. ერთხელ გამომცემლობაში მოვიდა და მითხრა: „მაქვს იდეა“. როცა მოვუსმინე, ვუთხარი, ეს იდეები ტექსტებად უნდა ვაქციოთ-მეთქი. ხუთი წიგნი გამოვეცით მისი ავტორობით.

ამას გარდა, გამოვეცით „ჩემი პირველი ქრესტომათია“. მივაგენი საბჭოთა პერიოდში დაწერილ ბრწყინვალე ტექსტებს, რომელიც იმხანად პოპულარული არ იყო, რადგან წითელი ყელსახვევისა და კომკავშირის ქება-დიდებას არ შეიცავდა. ამ ტექსტების ერთ-ერთი ავტორი ქალბატონი მერი ბოლქვაძეა. თავდაპირველად მის ნაწერებს სამი წლის შვილიშვილს ვუკითხავდი, რომ ტექსტების ხარისხსა და სარგებლიანობაში პირადად დავრწმუნებულიყავი. მათლაც შედევრებია.

დამეთანხმებით, ბევრ საბავშვო მწერალს შორის, საუკეთესოს გამორჩევა ძალიან ძნელია. ამაზე სერიოზულად ვმუშაობდით. გარდა ამისა, გერმანიაში ყოფნისას საბავშვო ბაღებს ვსტუმრობდი ხოლმე, მაინტერესებდა ბავშვებთან როგორ მუშაობდნენ, ვიწერდი, ვინიშნავდი. ამ მასალასთან ერთად ძალიან საინტერესო უახლესი ლიტერატურა ჩამოვიტანე და თამარ ადამიას გავაცანი. მინდოდა, ჩვენს მიერ შემუშავებული მეთოდიკა მაქსიმალურად დახვეწილი ყოფილიყო. საკითხისადმი ამგვარმა მიდგომამ ბევრი რამ შეგვძინა და თანდათან საშუალება მოგვეცა შეგვექმნა „ჩემი პირველი სახელმძღვანელო“, რომელიც ორ წიგნად — „სავარჯიშოები“ და „ტესტები“ — გამოვეცით. ასევე, „ჩემი პირველი ზრდილობის სახელმძღვანელო“, „ჩემი პირველი ლექსიკონი“ და უამრავი სხვა.

მუშაობის პრინციპი ასეთია: ჯერ მასალას ვაგროვებთ, შემდეგ ქალბატონი თამარი მას ახარისხებს; მხატვარი კი ტექსტზე მუშაობას მეთოდისტის რჩევების გათვალისწინებით იწყებს. აუცილებელია, ტექსტიცა და ნახატიც ბავშვის ფსიქოლოგიურ-ასაკობრივ თავისებურებებს, მისი აღქმის უნარს შეესაბამებოდეს. ვფიქრობ, კარგი იქნება, თუკი ქართული წიგნისა და ლიტერატურის განვითარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ქალაქის მერია იზრუნებს საბავშვო ბაღებს მიაწოდოს ეს მეტად სასარგებლო ლიტერატურა. წიგნისადმი სიყვარულისა და წიგნზე მუშაობის პირველი მარცვალი ბავშვის შემეცნებაში ხომ სწორედ ამ ასაკიდან ღვივდება.

ქვეყნის მომავალი ერის განათლებაზეა დამოკიდებული. ჩვენ უნდა შეგვეძლოს იმგვარი ინტელექტუალური პროდუქტის შექმნა, რომელიც კარგად გაიყიდება.

**— „ინტელექტუალურ პროდუქტში“ თანამედროვე ქართულ მწერლობასაც გულისხმობთ?**

— დიახ. პირადად მე, არცერთ ქართველ ავტორს არ გამოვცემ, თუ დარწმუნებული არ ვიქნები, რომ მის ტექსტებს უცხოეთში გავყიდი. ზუსტად ვიცი, როგორი წიგნი უნდა შევთავაზო დასავლელ პარტნიორებს, მაგრამ იმდენად ვარ დაკავებული სხვა პროექტებით, რომ იქამდე ჯერ ვერ მივედი. სამწუხაროდ, შესაფერისი კადრიც მაკლია...

**— 1996 წლიდან მოყოლებული ფრანკფურტის წიგნის ფესტივალში მუდმივად მონაწილეობთ, ფესტივალის პრესცენტრში ხართ აკრედიტირებული, აქედან გამომდინარე, დასავლურ ბაზარს კარგად იცნობთ და, ალბათ, უცხოელ გამომცემლებთან მჭიდრო კონტაქტებიც გაქვთ. როგორი უნდა იყოს ქართული წიგნი, რომელიც უცხოელ მომხმარებელს დააინტერესებს?**

— ეს უნდა იყოს კარგი წიგნი. ვგულისხმობ ფართო თვალსაწიერის მქონე, თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურული პროცესების მცოდნე ავტორის ნაწარმოებს. ნაწერი ვიწრო პრობლემატიკასა თუ თემებს ბევრად უნდა სცილდებოდეს. მართალია, ედუარდ შევარდნაძის მემუარული პროზა ძალიან წარმატებით გაიყიდა უცხოეთში, მაგრამ ახლა მაღალი რანგის მხატვრულ ლიტერატურაზე ვლაპარაკობ.

ჩემს იქაურ მეგობრებს, კოლეგებს დავუკავშირდები, ვეტყვი: „ასეთი და ასეთი წიგნია. რა ვქნათ?“ „თარგმნა დაიწყეთ“. თავდაპირველად, ე.წ. „სასიგნალო“ ეგზემპლარს ვუგზავნი. თუ მოეწონებათ, საქმეს შევუდგები. წარმოიდგინეთ, ოთხმოცმილიონიან ქვეყანაში ორმოცდაათიათასიანი ტირაჟით — მინიმალურ ტირაჟს ვგულისხმობ — ქართული წიგნი რომ გაიყიდოს. ამას აუცილებლად შევძლებ, მხოლოდ დრო მჭირდება.

**— რომელიმე ავტორზე თუ შეაჩერეთ უკვე თქვენი არჩევანი?**

— ეს ჯერ საიდუმლოა.

**— ალბათ, ძალიან ბევრი გეგმა გაქვთ, ამაზე ნაწილობრივ ისაუბრეთ კიდეც...**

— როგორც გითხარით, ინტენსიურად ვმუშაობთ მსოფლიო ლიტერატურის სერიის გამოცემებზე. ეს ძალიან მნიშვნელოვანი პროექტია ჩვენთვის. ისტორიული თემატიკის წიგნების გამოცემას, ვფიქრობ, მალე დავასრულებ.

მთავარი არ მითქვამს — სერიაში „რა არის რა?“ ერთ-ერთი ტომი მთლიანად საქართველოს მიეძღვნება. გერმანელ გამომცემლებს ამის შესახებ უკვე მოველაპარაკეთ. წიგნი ჩვენთან მომზადდება და ამჯერად გამოცემის უფლებას ისინი იყიდიან, ერთგვარი გაცვლითი პროექტია. წარმოიდგინეთ, წიგნის მილიონობით ტირაჟი მსოფლიოს უამრავ ქვეყანაში გაიყიდება. განა, ქვეყნისთვის ამაზე უკეთესი რეკლამა არსებობს?! მალე ფრანკფურტში მივემგზავრები და დეტალებზე მოვილაპარაკებთ. მონახაზი უკვე მზად გვაქვს. ეს ჩვენი პროგრამა მინიმუმია. ჩვენი გეგმებისა და ახალი წიგნების შესახებ ინფორმაცია მკითხველს ჩვენი ვებგვერდიდანაც შეუძლია მიიღოს: WWW.elf.ge.

*ესაუბრა თამარ ჟურული*

ლიტერატურული გაზეთი
გამოდის საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით

რედაქტორი **ირაკლი ჯავახაძე**
რედაქტორის მოადგილე **უჩა შერაზადიშვილი**
ჟურნალისტები **ხათუნა ალხაზიშვილი, ნანა კობაიძე, თამარ ჟურული**

**ტელ.: 292196; მობ. ტელ.: (877)742277; (899)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com**